

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

**მროველ-განეათავის ეფლენელი მოქალაქე
XIX საუბანის სამხრეთ-დასაგლეთ
საქართველოში**

**სელიმ ხიდიაშვილის გმირული თავგანწირვიდან
200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო
სამუცნიერო კონფერენციის მასალები**

- 2015 წლის 19 ივნისი -



**გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2015**

UDC (უად) 94(479.22)(063)+378.4(479.223)

ბ-179

კრებულში იბეჭდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლის 19 ივნისს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“ – წარმოდგენილი მოხსენებები.

პუბლიკაციათა სამეცნიერო მხარეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

კრებული კარგ სამსახურს გაუწევს ამ პრობლემით დაინტერესებულ მკვლევრებსა და მკითხველთა ფართო წრეს.

მთავარი რედაქტორი: **ბიჭიკო დიასამიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რედაქტორი: **ოლეგ ჯიბაშვილი**
ისტორიის დოქტორი

ISBN 978-9941-462-13-9

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2015

მთავარი რედაქტორისაგან

2015 წლის 3 ივნისს 200 წელი შესრულდა ოსმალთაგან მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სახელოვანი წინამდღოდის – სელიძ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან.

გმირი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად ჯერ კიდევ ადრე, 1990 წელს დაფუქნდა სრულიად საქართველოს სელიძ ხიმშიაშვილის საზოგადოება, 2000 წელს გამოიცა ხიმშიაშვილების შესახებ არსებული წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურის კრებული „ხიმშიაშვილები“ (შემდგენელი იოსებ ხიმშიაშვილი), 2005 წელს დაწესდა სახალხო დღესასწაული „სელიმობა“, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მიენიჭა მისი სახელი, მოწესრიგდა სახელოვანი წინაპრის მემორიალური ადგილები.

ამჯერად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით შექმნილი სამთავრობო საიუბილეო კომისიის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ქალაქ ბათუმში, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში და ცალკეულ ორგანიზაციებში.

ქალაქ ბათუმში, მისი სახელობის ქუჩის სკერპი, დაიდგა მამულიშვილის ბიუსტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიას მიენიჭა მისი სახელი, დაწესდა სახელობითი სტიპენდია, მოეწყო საიუბილეო თემებზე შექმნილი ლიტერატურისა და ფოტოების გამოფენა, შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „სელიმ ხიმშიაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი“ (ავტორი – დოკუმენტალისტი გივი ნახუცრიშვილი), ჩატარდა სტუდენტთა საიუ-

ბილეო სამეცნიერო კონფერენცია, სპორტული დონისძიებები და სხვ.

საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, რომელშიც, ბათუმელ მკვლევრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს: ქალაქ თბილისიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა როინ მეტრეველმა და წევრ-კორესპონდენტმა გურამ ლორთქიფანიძემ; ქალაქ ქუთაისიდან – პროფესორებმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა და სულხან კუპრაშვილმა; კონფერენციის მუშაობაში ჩართული იყვნენ, აგრეთვე, მეზობელი თურქეთის რესპუბლიკი მცხოვრები ქართველები, მათ შორის, სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლები.

წინამდებარე კრებულში სწორედ ამ კონფერენციის მასალებია წარმოდგენილი.

კონფერენციის გახსნა და მისალმებები

მერაბ ხალვაში

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი**

მოგესალმებით სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული ად-
სრულებიდან 200 წლისთვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო
კონფერენციის თოთოველ მონაწილეს. განსაკუთრებით მინ-
და მივესალმო საპატიო სტუმრებს, საქართველოს მეცნიერე-
ბათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს როინ მეტრეველსა
და წევრ-კორესპონდენტ გურამ ლორთქიფანიძეს, ჩვენს უცხო-
ელ სტუმრებს, სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლებს.

აჭარის ერთიან ქართულ სივრცეში ინტეგრაციისა და
ეროვნული ცნობიერების დაბრუნების რთულ გზაზე მნიშ-
ვნელოვანია სელიმ ხიმშიაშვილის დამსახურება. ამიტომაც
გადაწყვიტა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ
დირექტორი პატივი მიეგო და განსაკუთრებული ზრუნვის
საგნად ექცია საიუბილეო დონისძიებების მასშტაბურად ჩა-
ტარება, რაშიც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მნიშ-
ვნელოვანი ადგილი დაიკავა.

საიუბილეო დღეებში ბათუმის უნივერსიტეტში გაიხსნა
სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის აუდიტორია, მოეწყო მამუ-
ლიშვილისადმი მიძღვნილი წიგნებისა და ფოტომასალის გა-
მოფენა. ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია,
დაწესდა სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის სტიპენდია, რაც

კიდევ ერთი სტიმული გახდება ჩვენი სტუდენტების წარმატებული სწავლისთვის.

საიუბილეო დღეებში ჩვენ გვსტუმრობდნენ როგორც საქართველოში, ასევე, ოურქეთში მცხოვრები სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლები, რომლებმაც გამოოქვეს სურვილი უნივერსიტეტში დაარსებულ ისტორიის მუზეუმს გადასცენ სელიმ ხიმშიაშვილის პირადი ნივთები. ჩვენ მზად ვართ სათანადო ადგილი მივუჩინოთ მათ და გამოვიყენოთ ისინი დირსეულ წინაპართა პოპულარიზაციისათვის.

დასასრულ, მინდა წარმატებული საქმიანობა ვუსურვო კონფერენციის მონაწილეებს, ხოლო კრებული, რომელიც გააერთიანებს აქ წარმოდგენილ ყველა მოხსენებას, დარწმუნებული ვარ, იქნება სელიმ ხიმშიაშვილის დვაწლის წარმოჩენისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

გიორგი თავამაიშვილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი,
სამთავრობო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე,
ისტორიის დოქტორი

ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო სტუმრებო,
კოლეგებო!

პირველ რიგში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის და მისი თამჯდომარის სახელით მოგეხალმებით
საიუბილეო დღეების მონაწილეებს და მადლობას მოგახსევ-
ნებთ დღევანდელ ღონისძიებაზე მობრძანებისთვის.

დღეს ჩვენ მნიშვნელოვან თარიღს აღვნიშნავთ – 200 წე-
ლი შესრულდა ჩვენი სახელოვანი წინაპრის, სამხრეთ-დასავ-
ლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის
ბრძოლის წინამდღოდის – სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკუ-
ლი აღსასრულიდან. მან თავი შესწირა მშობლიური მიწის
გათავისუფლების საქმეს. ამიტომ, მაღლიერი შთამომავლობა
მას დირსეულ პატივს მიაგებს. უკვე მრავალი წელია ვზე-
მობთ მისი სახელობის სახალხო დღესასწაულს – „სელიმო-
ბას“, სელიმ ხიმშიაშვილის სახელი ეწოდა ქალაქ ბათუმის
ერთ მშენებელ ქუჩას, რომლის სკვერში დღეს გაიხსნება მი-
სი ძეგლი (ავტორი – ჩვენი თანაქალაქელი დავით ბოლქვა-
ძე). წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტში დაწესდა „სელიმ ხიმშიაშვილის სტიპენდია“,
გაიხსნა მისი სახელობის აუდიტორია, ავტონომიური რეს-
პუბლიკის მუნიციპალიტეტებში ტარდება მრავალფეროვანი
ღონისძიებები, ბათუმი მასპინძლობს საერთაშორისო სამეც-
ნიერო კონფერენციას, რომელიც ეძღვნება დიდი წინაპრის
სახელის უკვდავყოფას, მისი შთამომავლების საგმირო საქ-
მების წარმოჩენა-პოპულარიზაციას.

ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენი დიდი წინაპრების გახსენება, მათი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა უპირველესად ჩვენ, მათ შთამომავლებს გვჭირდება, რადგან მათი საგმირო საქმეები მაგალითია სამშობლო ქვეყნისადმი უანგარო სამსახურის.

ვუერთდები თქვენს სულიერ განწყობას და მადლობას მოგახსენებთ, უპირველესად, მეზობელი თურქეთის რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმრებს – დიდი სელიმის შთამომავლებს, და თქვენ, საიუბილეო ღონისძიებების მონაწილეებს. მადლობას ვუხდი ქალაქ ბათუმის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელობას, ყველას, ვინც ნაყოფიერად იღვაწა ჩვენი დიდი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად დაგეგმილი ღონისძიებების ღირსეულად ჩატარებისათვის.

როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ვიცეპრეზიდენტი

გულწრფელად მივესალმები სელიმ ხიმშიაშვილის ტრა-
გიკული აღსასრულიდან 200 წლისადმი მიძღვნილ საერთა-
შორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებს.

პირველი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქართველი სა-
ზოგადოება არ ივიწყებს გამოჩენილ ქართველ საზოგადო
და პოლიტიკურ მოღვაწეს, სამხრეთ საქართველოს მტრის-
გან გამოხსნისათვის წამებულ რაინდს, სელიმ ხიმშიაშვილს.
არდავიწყება მოყვრისა, თანაც ლირსეფული პიროვნებისა,
უდავოდ მისასალმებელია.

მეორე ის გახლავთ, რომ ბათუმელმა მეცნიერებმა, სხვა-
დასხვა ჰუმანიტარული დარგის წარმომადგენლებმა, განიზ-
რახეს თავიანთი კვლევების, მეცნიერული მიღწევების დე-
მონსტრირება.

ეს ხდება იმ ფონზე, როცა სახელმწიფომ, ხელისუფლე-
ბამ გარკვეული ყურადღება მიაქცია მეცნიერებას, განსაკუთ-
რებით, ფუნდამენტური დარგების განვითარებას. თავის
მხრივ, ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან გარკვე-
ულ დროს – წინა პერიოდში მეცნიერება იგნორირებული
იყო (საერთოდ, ლექსიკური ფონდიდან ტერმინი „მეცნიერე-
ბა“ ამღვებული იყო). ვფიქრობთ, რომ ეს საერთაშორისო
კონფერენცია და სხვა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებები
აჭარაში მეცნიერების წინსვლას ახალ ბიძგს მისცემს.

სელიმ ხიმშიაშვილი მრავალმხრივად გამორჩეული ქარ-
თველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. საერ-
თოდ, ხიმშიაშვილთა გვარი თავისი ისტორიითაა ცნობილი.
მეცნიერთა დასკვნით, ისინი (მხედველობაშია აჭარელი ხიმ-
შიაშვილები) არაგვისპირეთის ხიმშიაშვილთა მონათესევნი
არიან. XVII საუკუნეში კაცი შემოკვდომიათ და აჭარისათ-

ვის მიუშერებიათ. სხვა ვერსიით, ხიმშიაშვილები XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლი ხიმშიას შთამომავლები არიან. XVI საუკუნეში ამ გვარის წარმომადგენლები მესხი ფეოდალები არიან. განსაკუთრებით ჩანს მათი პოლიტიკური აქტიურობა აჭარაში XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან.

სელიმ ხიმშიაშვილი განსაკუთრებულად ჩანს 1784 წლიდან, მამის დაღუპვის შემდეგ, როცა იგი აჭარის მმართველი გახდა. სელიმის დიდი პოლიტიკოსობა და დიპლომატია აშკარად გამოჩნდა, როცა იგი, ცხადია, ოსმალეთის ხელმძღვანელი ელიტის ხელშეწყობით, სამთულიანი ფაშის ტიტულით აღიჭურვა. ეს ოსმალეთის სამეფო კარზე ერთ-ერთი უმაღლესი საფეხური იყო. მთავარი ისაა, რომ ფაქტობრივად ოსმალების სამსახურში მყოფ სელიმ ხიმშიაშვილს არასოდეს დავიწყებია თავისი ქართველობა, ერთი წუთითაც არ უღალავია საკუთარი მისიისთვის. ეს მისია კი მან პირადად განსაზღვრა – თავის სანუკვარი მხარის, აჭარის გამოხსნა ოსმალთა კლანჭებისაგან.

თავისთავად, კარიურა იოლად არ მიუღია სელიმს. იგი მაღალი განათლებისა და კულტურის ადამიანი იყო. მან კარგად ისარგებლა ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისით და ხელს უწეობდა არათურქული პროგნოზების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. „სამაშადიანო საქართველოს“ ხელმძღვანელობა ხიმშიაშვილებს ეპრათ (თანაც მემკვიდრეობით). სწორედ ისინი ითვლებოდნენ ამ მხარის ბეგებად.

მამის – აბდულა-ბეგის გარდაცვალებისას, სელიმი 20 წლისა იყო, ფიზიკურად ძლიერი და გონებრივად მომწიფებული. იგი ჩაება ახალციხის საფაშო ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლაში. საქმე ისაა, რომ სელიმ ხიმშიაშვილს, როგორც ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლება არ ენდობოდა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ (1803 წელს) სულთნის

კარმა სელიმი – დე ფაქტო გამგებელი – დე იურედ სცნო („სელიმ ფაშას თუდები და მუყარლამა მოუვიდა“).

სამცხე-საათაბაგოს მმართველობის ისტორიაში ჯაფელების გვარი ფაშის ტახტზე ხიმშიაშვილებმა ჩაანაცვლეს. სელიმ ხიმშიაშვილი ორჯერ ედგა ახალციხის საფაშოს სათავეში. მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე, სელიმი საქართველოს მეფე-მთავრებთან კეთილი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. მას უნდოდა გურჯისტანის ეს მხარე (აჭარა), რუსი ჯარის დახმარებით, ოსმალეთის-თვის ჩამოეცილებინა. ნიშანდობლივია, რომ სამთუდინამა ფაშამ სელიმმა 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს არ შეასრულა ოსმალთა სარდლობის მითითება და არ ააოხრა ქართლის სასაზღვრო სოფლები. სელიმ ხიმშიაშვილის ანტიოსმალური ქმედებები შემდგომშიც გრძელდებოდა. სულთანმა 15-ათასიანი ჯარი გამოგზავნა სელიმ ხიმშიაშვილის დასასჯელად. ტრაგედია ხიხანის ციხესთან მოხდა, სადაც შეფარებული იყო სელიმი.

იმისათვის, რომ თანამომქთა ხოცვა-ულება აეცილებინა, სელიმ ხიმშიაშვილი თავად ჩაბარდა მტერს (ჩვენ ეს ვერსია მიგვაჩნია შესაძლებლად) და საკუთარი სხეული შესთავაზა, იმ რწმენით, რომ „აჭარა მაინც გურჯისტანს დარჩებოდა“. 1815 წლის 3 ივნისს სელიმ ხიმშიაშვილს თავი მოჰკვეთეს ხიხანის ციხის მახლობლად, სოფ. ბაკი-ბაჯოში.

სელიმ ხიმშიაშვილი თავისი მოღვაწეობით გადადგმული რადიკალური, მკვეთრი ეროვნული ნაბიჯებით ქართველ მამულიშვილთა დირსეულ კოპორტაშია ჩარიცხული. მისი სახელი – როგორც ქავენის გადარჩენისთვის მებრძოლი გმორისა, საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერილი – სამარადევამოდ დარჩება.

ძვირფასო კოლეგებო,

ერთხელ კიდევ მოგესალმებით და ჩვენს კონფერენციას გუსურვებ წარმატებით საქმიანობას.

როინ მალაყმაძე

ბეჭ-ხ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

პატივცემულო საზოგადოებავ, ქალბატონებო და ბატონებო!

მაქვს პატივი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლების სახელით მივესალმო ჩვენი კონფერენციის მონაწილეებს: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცეპრეზიდეტს, ბატონ როინ მეტრეგელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს, ჩვენს კოლეგებსა და მეცნიერებს ქუთაისიდან, სტუმრებს თურქეთის საქართველოდან, სელიმის შთამომავლებს. ბუნებრივია, მეც ვუერთდები იმ მიღოცვებს, იმ განწყობას, რომელიც სუფეს დღეს ამ დარბაზში.

როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მათ შორის აჭარას, ოდითგანვე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერია, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი წინაპრების გმირულ სახელთან, მათ დიდებულ ქმედებასთან. სწორედ დათისა და ერისათვის თავდადებული პირები საკუთარი სიცოცხლის ფასად ზეარაკად ეწირებოდნენ სამშობლოს. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ „ხინანის არწივი“ – სელიმ სიმშიაშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, მისი დიდი დამსახურებაა, რომ არ გაწყდა საერთო ქართული ძარღვი, რომ ამ საერთო ქართულ ძარღვში არ გაშრა ქართული სისხლი.

ჩვენ მოვალენი ვართ გავიხსნოთ და დირსევული პატივი მივაგოთ დიდი სელიმის სახელსა და მის ნათელ ხსოვნას. ამის დასტურია ის, რომ ნიკო ბერძენიშვილის ინტიტუტმა მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი სელიმ სიმშიაშვილის

საიუბილეო დღეების აღნიშვნისა. ამის შედეგია ის, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის აუდიტორია, დაწესდა მისი სახელობის სტიპენდია, გაიხსნა ბიუსტი. ამის დასტურია ისიც, რომ სელიმის გარდაცვალებიდან 200 წლისთავს მიუძღვნა დღეებანდები სამეცნიერო კონფერენცია. დღეს ხარობს ზეციური საქართველო და დიდი სელიმის სული ზეციური საქართველოდან გვლოცავს.

მართალია, სელიმის გარდაცვალებიდან 200 წელი გავიდა, მაგრამ მის სახელს დაკიტყება არ უწერია. ის ცოცხლობს და იცოცხლებს ქართველი ერის ხსოვნაში. ეს კი უბავდავებადა. ასეა, ადამიანები ორი სიცოცხლით ცოცხლობენ. ერთია საკუთარი, პირადი სიცოცხლე, რომელიც მთავრდება აღსასრულით, ხოლო მეორე – სიცოცხლე ხალხის გულში, რომელიც არასოდეს მთავრდება. ასეთი რჩეულობა ხვდა წილად სელიმ ხიმშიაშვილს.

კიდევ ერთხელ ცხონება და დიდება სელიმ ხიმშიაშვილის დაუკიტყარ სახელს. ჩვენ კი ჩვენი დიდებული წინაპრის სახელს დიდი მოკრძალებით ყოველთვის გავიხსენებთ და სიამაყიოთ წარმოვთქვამთ სამარადუამოდ.

იმედს გამოვთქვამ, რომ კონფერენცია წარმატებით, საჭმიან ვითარებაში ჩაივლის და მრავალი სიახლით იქნება გამორჩეული. იგი დირსეულ წვლილს შეიტანს სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საჭმიანობის შესწავლაში.

მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი)

*სტამბოლის ქართველთა სათვისტომოს
წარმომადგენელი (თურქეთი)*

ძვირფასო საზოგადოებავ!

ჩვენო გულითადო მასპინძლებო, ბათუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ლამაზო ეზოვ, უნივერსიტეტის შენობის
თბილო კედლებო, აქ მოღვაწე მეცნიერებო, ლექტორ-მასწავ-
ლებლებო და სტუდენტებო...

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმებით
და მადლობას მოგახსენებო დიდი სელიმ-ფაშა ხიმშიაშვი-
ლის გარდაცვალებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საი-
უბილეო დონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ამ თა-
რიღის აღსანიშნავ სამეცნიერო კონფერენციაზე სიტყვის
სათქმელად რომ მომიწვიეთ, საყვარელ საქართველოში,
ჩვენს დედასამშობლოში – ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხებოვან
აჭარაში ჩამოსვლის შესაძლებლობა რომ მარგუნეთ!

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უდრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით მოგე-
სალმებით, ძვირფასო ბათუმელებო, კონფერენციის სტუმრე-
ბო, დამსწრე საზოგადოებაგ! ჩემთვის დიდი პატივია თქვენ-
თან ერთად მონაწილეობა ამ საინტერესო ღონისძიებაში.

ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქართველთა შორის
სელიმ ხიმშიაშვილი ფაქტობრივად პირველი დიდი მამუ-
ლიშვილია, რომელმაც დასაბამი მისცა იქაური ჩვენი მომე-
ბის თავგანწირულ ბრძოლას ამ იმპერიის მიერ საუკუნეე-
ბის განმავლობაში მიტაცებული ქართული მიწების დედა-
სამშობლოსთან კვლავაც შემოსაერთებლად. უფრო მეტიც,
იგი კ. წ. ოსმალოს საქართველოში არა მარტო ამ ბრძოლი-
სათვის სათავის დამდებ ეროვნულ გმირს წარმოადგენს,
არამედ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ამ ბრძოლის ხიმ-
ბოლოდ დამკვიდრებული პიროვნებაცაა. პირველ ყოვლისა,
სწორედ ამგვარი შეფასების საფუძვლად იქცა ის სიტყვები,
რითაც მან სიკვდილის წინ მიმართა ჯალათებს: „მე ჭრით
თავს, მაგრამ გამყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ არ
შერჩება ოსმალეთს! ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებსა და
შთამომავლობას დავუტოვებ!”

მტრების მიერ მიტაცებული მშობლიური მხარის განსა-
თავისუფლებლად აქტიურად მებრძოლი ამ დიდი მამულიშ-
ვილისათვის ძეგლის დადგმით, რაც დღეს უნდა ვიზემოო
ბათუმში, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გამოხატავს უდ-
რმეს მადლიერებას მის მიმართ და მისთვის ამგვარი პატი-
ვის მიგებით იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რომ თავისი
პატრიოტული საქმიანობითა და ქვეყნისათვის თავდადებით

სელიმ ხიმშიაშვილმა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში წარუშდელად დაიმკვიდრა სამშობლოსათვის წამქბული გმირის სახელი.

როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიის ბატონობისა-გან მშობლიური მხარის განსათავისუფლებლად ბრძოლის გამო, ამ იმპერიის სელისუფლების მიერ სიკვდილით დასჯი-ლი სელიმ ხიმშიაშვილის მოკვეთილი თავი სტამბოლში გა-უგზავნეს უძვირფასეს საჩუქრად სულთანს, სადაც დღემდეა დაკრძალული; სელის დარჩენილი ნაწილი კი ზემო აჭა-რაში მდებარე მის მშობლიურ სოფელ ნიგაზეულშია დასაფ-ლავებული.

ეს ტრაგიული მოვლენა ტერიტორიულ მთლიანობას მოკლებული ჩვენი ქვეყნის ისტორიულ და თანადროულ მდგომარეობასაც შეიძლება მივუსადაგოთ სიმბოლურად, რადგანაც სელიმ ხიმშიაშვილის ორად გაყოფილი საფლა-ვის მსგავსად ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილიც ჯერ-ჯერობით კვლავაც სხვა სახელმწიფოთა შემადგენლო-ბაშია მოქცეული.

დმერთმა ინებოს, რაც შეიძლება მალე დამდგარიყოს ის დრო, როცა სელიმის ორად გაყოფილი საფლავიცა და ტე-რიტორიულად დანაწევრებული ქართული სახელმწიფოც შე-ერთდება და გამთლიანდება!

სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნისადმი პატივგების მიზნით, ბათუმსა და, საზოგადოდ, მთელს აჭარაში გამართულ მრა-ვალფეროვან საზეიმო ღონისძიებებს კიდევ უფრო მასშტა-ბურსა და ემოციურად შთამბეჭდავს ხდის ის ფაქტი, რომ ეროვნულ დღესასწაულად ქცეულ ამ მოვლენებში მონაწი-ლეობის მისაღებად უამრავი სტუმარი ჩამობრძანდა თურქე-თიდან. მათ შორის ამ ქვეყანაში მცხოვრები სელიმის შთა-მომავლებიც არიან.

ტრაგიული სიკვდილიდან ორასი წლის გასვლის შემ-დეგ თავის ისტორიულ სამშობლოში სელიმ ხიმშიაშვილის-

თვის ძეგლის დადგმით ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გამოხატავს უდალატო ერთგულებას იმ ეროვნულ-სახელმწიფო ებრივი იდეალებისადმი, რასაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ემსახურა და ფიზიკურად შეეწირა კიდევ ეს დიდი მამულიშვილი.

სეზენ (სალომე) გონიერზ თქვანი სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის პრეზიდენტის მთავრობა (თურქეთი)

ძვირფასო საზოგადოებაში, სტამბოლში არსებული ქართული კულტურის ცენტრის სახელით მოგესალმებით და გადმოგცემთ ამ ცენტრში გაერთიანებული 45 ათასზე მეტი ქართველის სიყვარულსა და პატივისცემას ამ მნიშვნელოვანი თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

სამშობლოს დაჭრილი სხეულის გამთლიანებისა და გაჯანსაღებისათვის თავდადებული გმირის, დიდი სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული სიკვდილიდან ორასი წელი გავიდა. დღეს საქართველო ამ საიუბილეო თარიღს აღნიშნავს და პატივს მიაგებს მის ხსოვნას. მე ვიტყოდი, რომ ეს საიუბილეო თარიღი უნდა აღნიშნოს სრულიად ქართველობამ და არა მარტოდენ საქართველოში მცხოვრებმა ქართველებმა. ქართველები ბევრ ქვეყანაში ცხოვრობენ. ჩვენ, ყველანი, ვალში ვართ ამ თავგანწირული შეილის წინაშე.

2015 წელი საქართველოს ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის ხელნების წელიწადია. სტამბოლში ჩამოყალიბებული ქართული კულტურის ცენტრი ამ თარიღის აღსანიშნავად ემზადება; დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერაში – ქალაქ სტამბოლში ამ სახელოვანი ქართველის ხსოვნა სათანადოდ აღინიშნება. სტამბოლში დიდი სელიმის შთამომავალთა უმრავლესობა ცხოვრობს. ისინი მოუმტენდად ელოდებიან ამ დღეს.

ძვირფასო საზოგადოებაში, მე გახდავარ სტამბოლში ჩამოყალიბებული ქართული კულტურის ცენტრის პრეზიდენტის – ფერები უსტიაშვილის მოადგილე. გაზრდილი ვარ ასევე სახელოვანი ქართველი მამულიშვილის ახმედ ოზქან-მელაშვილის იდეებზე. სულ ახალგაზრდა ვიჟავი, როცა წავიკითხე ახმედის შესანიშნავი წიგნი – „საქართველოს ისტო-

რია“ . მას შემდეგ საქართველოს კეფერები შორიდან. ამ ბოლო დროს საშუალება მეძლევა ხშირად შევავლო თვალი ჩემს ისტორიულ სამშობლოს, დავტკბე მისი მშვენიერებით, მოვესიყვარულო მისი ობლად დარჩენილი შვილი, გამოთხოვებისას მიწას ვაპკურო ცხელი ცრემლები განშორების გამოსახატავად; ჩემს მშობლიურ მიწას დავემშვიდობო იმ იმულოთ, რომ კვლავ მექნება მონახულების საშუალება.

ძეირფასო საზოგადოებავ, ჩვენო ლამაზო ბათუმი, ჩვენო კარის მეზობელო აჭარავ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელოვანო უნივერსიტეტო! მეც თქვენი შვილი ვარ, ბედის ბორბლის უკულმა ბრუნვის გამო თქვენგან შორს დარჩენილი, მაგრამ გულითა და სულით თქვენთან მარადუამს ახლოს მყოფი. წუთისოფლის ბორბალი ჩემს სასარგებლოდ რომ დაბრუნებულიყო, მე დღეს თქვენს შორის ვიქნებოდი, შეიძლება პროფესორის წოდებასაც მიწყალობებდა უფალი. წარმოშობით ართვინელი ვარ. ბათუმი და ართვინი ერთმანეთის მეზობლადაა გაშენებული. ბათუმში ჩამოვიდოდი და აქ მივიღებდი უმაღლეს განათლებას. მაგრამ ბედმა სულ სხვა მხარეში მარგუნა ცხოვრება.

ჩემი წინაპრები ართვინიდან მუჰაჯირად გადასახლდნენ შიდა თურქეთში. მეც იქ დაგიბადე და გავიზარდე. დავამთავ-რე სტამბოლის სამართლის ინსტიტუტი. მაქვს საკუთარი ადგომატურა სტამბოლში. დავუძავშირდი ქართული კულტურის ცენტრს და ამ ცენტრში მუშაობით ვიკმაყოფილებ ჩემს ეროვნულ ინტერესებს.

დიდ მადლობას მოვახსენებ ბათუმის უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, ამ დირსშესანიშნავ დონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად რომ მომიწვია. იმედი მაქვს, კვლავაც მექნება ასეთი ბედნიერების მიღების შესაძლებლობა.

ქედს ვიხრი დიდი ეროვნული გმირის, სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის ნათელი სულის წინაშე! დიდება და უკვდავება მის ხსოვნას, ჩვენს სათავევანებელ სამშობლოს!

პუსეინ უიგუნი

ქობულეთელი მუჭაჯირის შთამომავალი,
ქალაქ ფაცის ქართული კულტურის
ცენტრის წარმომადგენელი (თურქეთი)

პატივცემულო სახოგადოებავ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებო, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერებო, საქართველოს ქალაქებიდან მოწვეულო სტუმრებო!

მოგესალმებით ქალაქ ფაცის ქართული კულტურის ცენტრის სახელით, მინდა პირადად ჩემი და ჩვენი კოლეგების – ჩვენებურების გულიდან, სულიდან ამოღებული სიტყვებით მოგეფერო, მადლობა მოგახსენოთ სამშობლოს ნათელი მომავლისათვის თავდადებული გმირის, წამებული სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი სამეცნიერო კონფერენციის მოწეობისათვის.

მადლობას მოვახსენებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომლის მეთაურობით ქ. ბათუმში უნდა გაიხსნას სელიმ ხიმშიაშვილის ძეგლი. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ბათუმის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ბატონ მერაბ ხალგაშის მეთაურობით, რადგან უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში გაიხსნა სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის აუდიტორია. მე ვნახე ეს აუდიტორია და ვთქვი, რომ მომავალში ამ აუდიტორიაში შესული ახალგაზრდობა, როცა შეხედავს მხატვარ გურამ ფუტკარაძის მიერ შესრულებულ სურათს – „სამშობლოს დასაცავად ამხედრებული სელიმი“ – კიდევ უფრო მეტად დაიტვირთება სამშობლოს სიყვარულით და იქცევა მშობელი მიწის ერთგულ დარაჯად. დიდი მადლობა ამ სანეტარო გრძნობის ასე ამაღლებისათვის.

მე ისტორიკოსი ვარ, მასწავლებელი. ბევრი ისტორიული შრომა წამიკითხავს თურქულ ენაზე, თურქეთის შესახებ. მინდა, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა თავიანთი ნაშრომები, წიგნები თურქულადაც გამოაქვეყნონ, რომ თურქეთში მცხოვრებმა მილიონობით ქართველმა შეძლოს თავისი ისტორიული სამშობლოს – საქართველოს წარსული ცხოვრების უკეთ გაცნობა. ხიმური შვილების გვარის ისტორიაც უნდა ითარგმნოს თურქულად. ეს ჩვენი თხოვნა გულში უნდა ჩამოიღოს ბათუმის უნივერსიტეტმა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა და ჩვენი გული უნდა გაახაროს.

რა ვქნათ?! ბედის უკუდმართობამ რამდენიმე მილიონ ქართველს ცხოვრება გვარგუნა საქართველოს გარეთ, უცხო ქვეყანაში. ეს მოხდა იძულებით, ჩვენი სამშობლოს ბედუკუდმართობით, წუთისოფლის მუხანათობით. **სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს ობლად, უყურადღებოდ ნუ მიგგატოვებთ.** საქართველო ჩვენც გვიყვარს, ჩვენი სამშობლოცაა საქართველო, ჩვენი ფესვი აქაა. ჩვენი წინაპრების მიერ ამ მიწაში ჩაღვრილი სისხლი და ოფლი, ჩვენი წინაპრების საფლავები გვეძახის, გვეწევა აქეთ.

სარცის კარის გახსნის შემდეგ სული, გული აქეთ მოგვირბის. თქვენგან მოწვევა რომ მივიღე, დღეებს ვითვლიდი, მეჩქარებოდა ბათუმში ჩამოსვლა. ერთხელ კიდევ დიდი მადლობა მოწვევისათვის; დმიტრი დაგლოცოთ და ბევრჯერ მოგაწვევინოთ საზღვარს გარეთ დარჩენილი ჩვენებურები, ბევრჯერ გაგეხარებინოთ ჩვენი გული.

ამ ბოლო დროს საქართველოდან ბევრი მკვლევარი მოაწყდა თურქეთის რესპუბლიკას. იკვლევენ მუჰაჯირი ქართველების ენას, ეთნოგრაფიის, კულტურის ისტორიის საკითხებს; სწავლობენ ისტორიული საქართველოს მხარეებს (შავშეთს, იმერხევს, ტაოს), მაგრამ მათი ნაშრომები ქართულად იძებელება მხოლოდ და ჩვენთვის უცნობი რჩება. ჩვენი თხოვნაა, ასეთი ნაშრომები დაიბეჭდოს თურქულ ურნალ-

გაზეთებშიც, რომ შევძლოთ მათი გაცნობა; გვინდა გავი-
გოთ, რა იწერება ჩვენს შესახებ. ესაა ჩვენი მთავარი სათხ-
ოვარი.

უფალს ვთხოვ, ჩვენს უძველეს, უგანათლებულეს ერს
უმრავლოს სახელოვანი მამულიშვილები. მაგრამ ვთხოვ, აგ-
რეთვე, იმასაც, რომ ამ სახელოვან ქართველებს მშვიდობია-
ნი ცხოვრება არგუნოს, თავის დადგება აღარ დასჭირდეს
ქართველს.

ქედს ვიხრი დიდი ეროვნული გმირის, სამშობლოსათვის
თავშეწირული ვაჟკაცის სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნის წი-
ნაშე. ფაცის ქართული კულტურის ცენტრში ჩავიტან ამ ლა-
მაზ ამბავს და იქაც მოვაწყობთ ხსოვნის სადამოს.

ბათუმის უნივერსიტეტის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტი-
ტუტის მეცნიერებს ვთხოვ, ასეთი ღონისძიებები ბევრჯერ
ჩაატარონ თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების მონაწილეო-
ბითაც.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

მოხსენებები

ბიჭიკო დიასამიძე

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქოლოგიის განყოფილების უფროსი,
ისტორიის მუცნიურებათა დოქტორი, პროფესორი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა XVI-XVIII საუკუნეებში

ამ დღეებში მადლიერი შთამომავლობა პატივს მიაგებს და საზეიმოდ აღნიშნავს სელიმ ხიმშიაშვილის – XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალთაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის მეთაურის გმორულად დადუპვის 200 წლისთავს.

მართალია, XIX საუკუნის დასაწყისიდან სელიმ ხიმშიაშვილის მეთაურობით განსაკუთრებით გააქტიურდა და გაძლიერდა ოსმალთა მიერ XVI-XVII საუკუნეებში მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებისათვის ბრძოლა, მაგრამ მანამდე განვლილი ორი-სამი საუკუნის მანძილზეც, ქართველი ხალხი არ შერიგებია დამპყრობელთა ბატონობას. წარმოდგენილი მოხსენების მიზანია, მოკლედ მაინც, აჩვენოს ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რამაც ხელი შეუწყო დამპყრობელს საქართველოს ტერიტორიების მიტაცებაში და წარმოაჩინოს დაპყრობილ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება და ბრძოლის ის ფორმები, რომელიც გამოიყენებოდა დამპყრობითაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად.

XVI საუკუნის დასაწყისს საქართველო სამეფო სამთავროებად (ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიის სამთავროები და სამცხე-საათაბაგო) დაყოფილ-დაქუცმაცებული დახვდა. არადა, ამ დროს მას უშუალოდ ესაზღვრებოდა ორი დიდი მუსლიმანური სახელმწიფო: ოსმალეთი და სეფიანთა ირანი. ოსმალეთმა აქამდე დალაშქრა ბალკანეთის ქვეყნები – სერბია და ბულგარეთი, საფრთხე შეუქმნა ცენტრალურ ევროპას, 1453 წელს აიღო ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, 1461 წელს დაიმორჩილა ტრაპიზონის იმპერია, ხოლო 1475 წელს დაიპყრო ყირიმი და შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად“ აქცია. ოსმალეთის გაბატონებამ მცირე აზიასა და შავ ზღვაზე, გამოიწვია საქართველოს ეკონომიკის შემდგომი დაქვეითება, რამაც თავის მხრივ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე (ჯავახიშვილი, 1967:194-207).

ამავე ხანებში, 1502 წელს ცალკეული ირანული გაერთიანებებისაგან შეიქმნა ირანის სეფიანთა სახელმწიფო, რომელიც ასევე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოსათვის. ასე რომ „XVI საუკუნის დასაწყისში შეიკრა საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის რკალი“ (გაბაშვილი, 1958:61-62).

ოსმალეთმა XV საუკუნეშივე გამოავლინა თავისი დამპყრობლური მიზნები საქართველოს მიმართ. იმის საბაბით, რომ საქართველოს წარმომადგენელი არ ეწვია მეშვეოდ II ფათიჟს და არ მიუღიოცა კონსტანტინებოლის აღება, 1454 წელს ოსმალები გემებით მოადგნენ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და თავს დაესხნენ სოხუმს. ეს ოსმალთა პირველი გამოჩენა იყო საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგ, 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობით, ოსმალეთმა მთავარი დასაყრდენი გაიჩინა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსაჭრელად. ალბათ, შემთხვევითი არც ის იყო, რომ სულთან მეშვეოდ II ფათიჟის (1451-1481 წწ.) მომდევნო

სულთნები – ბაიეზიდი (1482-1512 წწ.) და სელიმ I (1512-1520 წწ.), ვიდრე სულთნის ტახტს დაიკავებდნენ, ტრაპიზონის ბეგლარბეგებად (ფაშა) ინიშნებოდნენ.

სწორედ ტრაპიზონის ბეგლარბეგობის დროს შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე ბაიეზიდი გიუმიშხანეს ქართულ სოფლებში 1479 წელს, ხოლო სელიმ პირველი იმპერეტოში 1510 წელს, როცა გადაწვა და დაანგრია ქუთაისი და გელათი (სვანიძე, 1971:41, 44). სწორედ ამ დროიდან იწყება ოსმალეთის შემოსევები სამცხე-საათაბაგოსა და კერძოდ, აჭარის დაპყრობისათვის, რომელიც 1514-1555 წლების ირან-ოსმალეთის ომის შემადგენელი ნაწილი იყო. დაპყრობილები კარგად იყენებდნენ ქართველ მეფე-მთავართა ურთიერთდაპირისპირებას თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. 1535 წელს დააარსეს არზრუმის საბეგლარბეგო (საფაშო), რომელიც მათოვის დასაყიდენი გახდა საქართველოსა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ არზრუმის ბეგლარბეგმა მკვედ ფაშამ დალაშქრა 1536 წელს ტაო-კლარჯეთი და პირველად საქართველოს ტერიტორიაზე შექმნა ოთხი სანჯაყი, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ოსმალეთი აღარ კმაყოფილდება დაპყრობილი ტერიტორიების მოხარკეობით, აწესებს ოსმალურ მმართველობას და იწყება ქვეყნის ინკორპორაცია (იბრაიმ ფეჩევის... 1964:24). მტერი ქვეყნის ტერიტორიის დაკავებას ცდილობდა ზღვიდანაც. **1554** წელს ოსმალთა ფლოტი მიადგა ფოთს. ფიქრობენ, რომ ამ დროს მოხდა მათი თავდასხმა ბათუმზეც. ბერი ეგნატაშვილი წერს: წარგზავნა სპანი მრავალნი გურიასა ზედა და მოვიდეს ბათომს, დაიწყეს შენება ციხისა“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959:504). მართალია, ქართველების დიდი წინააღმდეგობის გამო ამჯერად მტერმა ვერ შეძლო თავისი გეგმების განხორციელება (საბაჟოების გახსნა, მათზე კონტროლის დაწესება), მაგრამ ამასის ზავის დადების (1555 წ.) შემდეგ, რომლის მიხედვით დასავლეთი საქართველო და მესხეთის დიდი

ნაწილი ოსმალეთს ერგო, გააქტიურდა მათი მოქმედება და 70-იანი წლებისათვის ოსმალეთმა მთელი სამცხე-საათაბაგო აჭარითურთ ჩაიგდო ხელში და ამ ტერიტორიაზე 14 სანჯაყი დააარსა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს..., 2009:234), მათ შორის, აჭარის სანჯაყიც. ახლა უკვე დადგენილია აჭარის სანჯაყის (მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას – პ.დ.) შექმნის თარიღი იმ ორი ოსმალური დოკუმენტის მონაცემებით, რომლებიც გამოაქვეყნა ზ. შაშიკაძემ (შაშიკაძე, 2002:141). ამ ოსმალური წყაროებით ირკვევა, რომ აჭარის სანჯაყი შეიქმნა 1563 წლის 15 დეკემბერს (შაშიკაძე, 2002:141).

გაცილებით გვიან შეძლეს ოსმალებმა ბათუმ-ქობულეთის მხარის დაკავება. 1647 წელს, ევლია ჩელების ცნობით, ოსმალეთ-საქართველოს საზღვარი ჭოროხზე გადიოდა, ამასვე იმეორებს ფრანგი მოგზაური შარდენიც, რომელმაც 1673 წელს გონიოც მოინახულა (ჟან შარდენის..., 1975:127, 202-204), მაგრამ 1703 წელს ოსმალებმა დაიკავეს ბათუმის მხარე და ჩაქვის მხარის ნაწილი. ბათუმის, ფოთის ანაკლიის, რუხისა და ბადდადის ციხეებში მეციონევნები ჩააყენეს (სინ, 1973:457-458). XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალებმა ბათუმ-ქობულეთის მხარე ციხისძირით საბოლოოდ დაიპყრეს (სდინ, 2009:238). ფაქტობრივად, ამით დამთავრდა ოსმალთა მიერ ქართული ტერიტორიების დაპყრობა.

XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან ოსმალები დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებზე თავიანთი მმართველობის სტრუქტურებს ქმნიდნენ და ოსმალური ცხოვრების წესს ამ-კვიდრებდნენ. 1579 წლის 25 ივნისს ოსმალეთის სულთანმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე **ჩილდირის** (ახალციხის) საფაშო (საბეგლარბეგო) დაარსა და მის გამგებლად გამაჰმადიანებული მანუჩარი (მუსტაფა) დანიშნა (სვანიძე, 1964: 70-80). მართალია, ქართველი ათაბაგები პირველ ხანებში იბრძოდნენ სამცხიდან ოსმალთა განდევნისათვის, მაგრამ 1628 წელს სულთანმა მურად IV (1623-1640 წლ.) ათაბაგი ბექა მე-

სამე (1628-1651 წწ.) ფაშად დანიშნა საფარ ფაშას სახელით. ამით სულთანმა სამცხეში შემორჩენილი ადგილობრივი ხელისუფალი (ათაბაგი) გააუქმა და ამიერიდან ქართულმა ფეოდალურმა სამთავრომ პოლიტიკური არსებობა შეწყვიტა. მისი ადგილი საფაშომ დაიკავა. მართალია, საფაშოს მართვა-გამგებლობა, აღმინისტრაციული დაყოფა ოსმალური წესით მოხდა, მაგრამ მთელი რიგი თავისებურებებით: ოსმალეთში დაუშვებელი იყო პროვინციების მართვა მემკვიდრეობითობის წესით. ფაშას ნიშანვდნენ სამი, შემდეგ ორი და შემდეგ ერთი წლით. ამით სულთანს ფაშები მორჩილებაში ჰყავდა და გაძლიერების საშუალებას არ აძლევდა. აქ, სამცხეში კი მურად IV დათმობაზე წაგიდა, ბექა III-ს ფაშობა მემკვიდრეობით უბოძა და ეს უფლება ჯაფელებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე შეინარჩუნეს (სვანიძე, 1971:305). საფაშო იყოფოდა სანჯაებად და მათ ლივა ერქვა, სანჯაყი (ლივა) იყოფოდა ნაპიებად (რაიონი), ნაპიები – კარიებად (სოფელი) და დასახლებულ პუნქტებად.

ოსმალთა სახელმწიფო, როგორც წესი, ქვენების დაპყრობის შემდეგ, მათ აღწერას და რეესტრებში (დაგორებში) გატარებას იწყებდა. მოსახლეობა აღიწერებოდა კომლებად სულადობის ჩვენებით, მიწა, წყალი, ტყე, სახნაფ-სათესი და საძოვარი, პირუტყვი, შემოსავალი, გადასახადების სახეები და სხვა. აღწერის დიდ დავთრებს ახლდა ერთგვარი ინსტრუქცია (კანუნ-ნამე). ფიქრობენ, რომ მარტო XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგო სამჯერ აღუწერიათ: XVI საუკუნის შუა ხანებში, 1573–1574 წლებში და 1595 წელს (სვანიძე, 1971:192). 1595 წელს ჩატარებული აღწერის მასალებით „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სამცხე-საათაბაგოში 1160 სოფელია აღწერილი რვა სანჯაესა (ლივა) და 28 ნაპიები, აქედან 364 სოფელი დაცარიელებულია (ტივაძე, 1946:126). XVII საუკუნის პირველ ნახევარში ამ საფაშოში უკვე 13 სანჯაყი ჩანს (სვანიძე, 1971:307).

დაპყრობილი ტერიტორიების აღწერის მიზანი და დავ-
თრის სტრუქტურა-აგებულება კარგად ჩანს 1566-1574 წლებ-
ში შედგენილ „ზემო აჭარის ლივის დიდი დავთრის“ ანალი-
ზის მიხედვით, რომლის ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გა-
მოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მო-
ამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ (აჭარის ლი-
ვის..., 2011:5-11). მასში აღწერილია აჭარისწყლის ხეობის
სოფლები (თანამედროვე ხულოს, შუახევის, ქედის რაიონები
– ბ.დ.) მდ. აჭარისწყლის ჭოროხთან შეერთებამდე. დავთრის
სახელწოდება (ზემო აჭარის ლივის...) გვაფიქრებინებს, რომ
XVI საუკუნეში ოსმალებმა კარგად იცოდნენ ეთნიკური აჭა-
რის საზღვრები და რადგან მხოლოდ მთიანი მხარე ჰქონ-
დათ დაპყრობილი და აღწერილი, დოკუმენტსაც ასეთი სახე-
ლი მისცეს. დავთრის მიხედვით, ამ სანჯაუში (ლივაში) 95
სოფელია, რომელთაგან 35 დაცლილია მოსახლეობისაგან.
თუ „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრისა“ და „ზემო
აჭარის ლივის დიდი დავთრის“ მონაცემებს შევადარებთ ამ
თვალსაზრისით (1160 დან 364 და 95 დან 35 მოსახლეობისა-
გან დაცლილი სოფელი), აშკარაა, რომ ორივე დავთრის მი-
ხედვით სოფლების მესამეზე მეტი დაცლილია მოსახლეო-
ბისაგან. როგორც ჩანს, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დამ-
პყრობელისადმი შეურიგებლობა და დაუმორჩილებლობა ამ
ფორმით გამოხატა. ოსმალთა სოციალური და ეკონომიკური
პოლიტიკა დაპყრობილ ქვეყნებში კარგად ჩანს ცალკეულ
სოფლებზე გაწერილი გადასახადების რაოდენობით და
ფორმებით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არამე-
ლიმანს მიწაზე კერძო საკუთრების უფლება არ ჰქონდა,
რაც განსაკუთრებით საზოგადოების მაღალი ფენისთვის იყო
ძალზე დამთრგუნველი და აიძულებდა მას მუსლიმანობა მი-
ეღო. მძიმე იყო გადასახადები სოფლად. მაგალითად, სოფე-
ლი დიდაჭარა, სადაც დავთრის მიხედვით 6 კომლია, იხდის
15 000 ახას: ისფენჯი (საკომლო გადასახადი) – 6 კომლზე

– 150 ახჩა (25 ახჩა ერთ კომლზე), ხორბალზე – 6000, ქერზე – 6400, ფეტზე – 400, კაკალზე – 100, გამოსაღები ხილზე – 150, ბოსტანზე – 150, იონჯასა და თივაზე – 180, კანაფზე – 120, თაფუსა და დეშთიბანზე – 300 (დასამუშავებელ მიწებზე გადასახადი), ფუტგარზე – 90, მურახეასიე – 12 (ფეოდალებზე მისაცემი გადასახადი), ლორზე – 88, იალაღზე – 100, ცხვარზე – 200, წისქვილი ერთი თვალი 6 თვით – 30, ბადავა და საქორწინო – 280 ახჩა. აქ ჩამოთვლილ 17-20 გადასახადს გარდა, მოსახლეობა იხდიდა მთელ რიგ გადასახადებს, რომლებიც კანუნ-ნამებით არ იყო გათვალისწინებული და არც დავთორებში აღირიცხებოდა. ესენი იყო ათასგვარი საბეგრო ვალდებულებები, გარდა ამისა, გლეხებს ევალებოდათ რიგი სამუშაოების შესრულება, გზებისა და ხიდების შეკეთება და სხვა... ამასთან, ქრისტიანი გაცილებით მეტ გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსლიმი... (აჭარის ლიკის..., 2011:50). ყველაზე მძიმე და შემაძრწუნებელი იყო იანიჩართა კორპუსის შესავსებად ქრისტიანი ოჯახებიდან ბავშვების იძულებით წაყვანა და გაწვრთნა (დევშირმეს წესი), ასევე შეურაცხმულფელი იყო ის, რომ ქრისტიანს არ ჰქონდა უფლება ეტარებინა იარაღი, ჩაეცვა ძვირფასი ტანსაცმელი (სიასამურის ქურქი, ატლასის ქუდი, როგორიც მაჭმადიანებს ჰქონდათ), ევლოთ ცხენით, მაჭმადიანებთან შეხვედრისას უნდა დაეთმო გზა და სხვა. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა დაპყრობილი მოსახლეობის გამუსლიმანებას და საბოლოოდ დამორჩილებას. ამავე მიზანს ისახავდა დაპყრობილ აღგილებში ოსმალთა ჩასახლებაც. „ოუ სხვა ადგილიდან რეაია (ოსმალო გლეხი) დასახლდება და სამწელიწადს იცხოვრებს ისე, რომ არ იქნება ვინმეზე მიწერილი, ის თიმარის მფლობელის რეაია ხდება, რადგან აქ საზღვარია და ხალხის ჩასახლება საჭიროა“ – გეითხულობთ დავთარში (სვანიძე, 1964:70-84). სინამდვილეში ოსმალო მუსლიმანი რეაიების ქრისტიანულ სოფლებში ჩასახლე

ბაზე ხელისუფლების მხრივ ხელშეწყობის მიზანი მხოლოდ ერთი შეიძლება ყოფილიყო – ქრისტიანული მოსახლეობის გამუსლიმანება. ოსმალეთის ხელისუფლებამ კონიმიკური საშუალებებით შედარებით იოლად მოახერხა საზოგადოების მაღალი ფენების დამორჩილება-გამუსლიმანება, ამიტომ ზომებს იდებდა დაბალ ფენებშიც ამის მისაღწევად. ბევრ შემთხვევაში ამას აღწევდნენ კიდევ. XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის ვახუშტი ასეთ სურათს იძლევა: „ჩვენს დროში ქრისტიანებად დარჩნენ უმთავრესად გლეხები, ახლა მხოლოდ გლეხებიდა იხდიან ხარჯასა და სხვა გადასახადებს (ვახუშტი, 1941:123). უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ასეთ ვითარებას გაერიდა მოსახლეობა იმ მესამედზე მეტი დაცლილი სოფლებიდან. ოსმალობას მოყვა აგრეთვე საქართველოსათვის უაღრესად შეურაცხმყოფელი და საზოგადოების ზნეობრივად გამხრიშებილი ტყვეთა სყიდვა, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა საზოგადოების ყველა ფენა. „ბატონები პირუტყვებივით ყიდდნენ თავიანთ ყმებს, უფრო საშინელი ის გახლდათ, მშობლებიც არ ამბობდნენ უარს ამ შემზარავ ვაჭრობაზე: ზოგჯერ იმიტომ, რომ შვილები დაქსნათ თავიანთი ბატონების ტირანიისაგან, ზოგჯერ კი სიღარიბისაგან თავდასაღწევად (თამარაშვილი, 1995:604-605).

მსგავსი მდგომარეობა იყო აჭარის ტერიტორიაზეც. „ბეგები არა მარტო საქართველოდან მოპარული ტყვეებით ვაჭრობდნენ, არამედ ვაჭრობდნენ აჭარლებითაც, მიუხედავად იმისა, რომ ქურანი კრძალავდა ამას. ბეგები გოგო-ბიჭებს საჩუქრებად უგზავნიდნენ ნაცნობ-მეგობრებს“ (ახვლედიანი, 1943:28).

ქართველი ხალხი თავგანწირვით ებრძოდა ოსმალთა ძალადობას, არასდროს შერიგებია მათ ბატონობას. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ოსმალებმა აიღეს კონსტანტინეპოლი და აშკარა საფრთხე დაემუქრა ქვეყანას, ქართველმა მეფე-მთავრებმა დროებით დაივიწევს ურთიერთშუღლი და უყოფმანოდ

დათანხმდნენ რომის პაპის ელჩს ლუდოვიკო ბოლონიელს ანტიოქიანალურ კოალიციაში მონაწილეობაზე. ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII კოალიციაში მონაწილე ბურგუნდიის პერცოგს ფილიპეს 1459 წელს ატყობინებდა: „ჩვენ ყველა ქრისტიანმა მთავრებმა, რომლებიც ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ურთიერთშორის ზავი, კავშირი და ერთობა დავდეთ და ერთმანეთს შევფიცეთ მთელი ჩვენი ცოდნითა და ძალდონით თურქებს ვეომოთ, განსაკუთრებით იმათ, რომელიც კონსტანტინოპოლიში არიან, რადგან ისინი ქრისტიანთა ყველაზე მოძღვდენი არიან“ (თამარაშვილი, 1902:536). უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველთა ამ ერთიანობაზე გავლენას ოსმალთა 1454 წელს საქართველოს ტერიტორიაზე პირველად შემოჭრა, სოხუმზე თავდასხმაც მოახდენდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ დროს ქართველები მზად იყვნენ 80 000 მოლაშქრე მაინც გამოეყვანათ (ჯავახიშვილი, 1967:80-83). მართალია, კოალიციური ლაშქრობა ოსმალთა წინააღმდეგ არ შედგა, მაგრამ აჩვენა, რომ ქართველ პოლიტიკოსებს შეგნებული პქონდათ მოსალოდნელი საფრთხე და ამასთან ისიც, რომ მას საქართველო მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომაა, რომ მომდევნო საუკუნეებშიც, როცა ოსმალებმა ქართული მიწები მიიტაცეს, მათ დასაბრუნებლად ქართველი პოლიტიკოსები ხან დასავლეთში ეძებდნენ მოკავშირეს და ხან ჩრდილოეთით.

თუ XV-XVI საუკუნეებში ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ოსმალეთი და ირანი იბრძოდა, XVII საუკუნიდან მასში რუსეთიც ჩაერთო. ქართველმა პოლიტიკოსებმა ამის საქართველოს სასარგებლოდ გამოყენება სცადეს. 1618 წელს რუსეთს გაემგზავრა გურიელის, დადიანის, იმერეთის ელჩი ბები დახმარების თხოვნით, 1626-29 წლებში მეფე თეიმურაზ I-ის ელჩი ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოვაშვილი) ცდილობს ევროპის ქვეყნების კოალიციის ორგანიზებას, 1693 წელს იმერეთის მეფის არჩილ II-ის ინიციატივით შემოქმედე-

ლი მიტროპოლიტი, იაკობ დუმბაძე მიემგზავრება მოსკოვს და მათი ინტერესების გაზრდის მიზნით ხაზს უსვამს მისი ეპარქიის ქობულეთთან სიახლოვეს („ჩემი ეპარქია ახლოსაა ქობულეთთან“), მაგრამ ყველგან დაპირებებს თუ იღებდნენ.

ამის პარალელურად, ქართველი მეფე-მთავრები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ დამპურობ-ლებს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველო-ში. ერეპლე მეორესა და სოლომონ პირველის დონისძიებანი ფეოდალური დაშქრის პარალელურად რეგულარული, ევრო-პულ ყაიდაზე გაწვრთნილი ჯარის შესაქმნელად იმ მიზანს ისახავდა, რომ საჭირო შემთხვევაში ერთობლივი ძალებით დაეხრუნებინათ სამხრეთ-დასავლეთით მტრის მიერ მიტაცე-ბული ტერიტორიები. ოსმალური ცხოვრების წესისა და მტრისადმი შეურიგებლობის დემონსტრირება იყო ამ მეფეთა მიერ ტყვეთა სყიდვის აკრძალვაც. ერეპლეს გამარჯვებები მოთარეშე ლეპაზე და 1757 წლის 14 დეკემბერს სოლომონ პირველის გამარჯვება ხრესილთან, მტერზე გამარჯვების რწმენას უნერგავდა მოსახლეობას. 1760, 1761, 1763 და 1764 წლებში დასავლეთ საქართველოში ერთი მეორეზე მიყოლე-ბით თავდასხმებს აწყობდნენ ოსმალები, მაგრამ მაღალი სამხედრო ხელოვნებისა და გმირული თავდადების ფასად მტრები უკუაქციეს ქართველებმა (სდსინ, 2009:261). სამეგრუ-ლოს მთავრებმა, მათი მოხერხებული ქმედებებით (არქანჯე-ლო, 1938:25-26), იმას მიაღწიეს რომ, სულთანი დიდ ანგა-რიშს უწევდა დადიანებთან ნორმალური ურთიერთობის შე-ნარჩენებას, რადგან „მან კარგად იცოდა, რომ მეგრელები არავის არაფერს უთმობენ, სულ უბრალო საბაბით ხმალზე ხელს იკრავენ და ვინც აწყებინებს, ის ვერაფერს მოიგებს (ტავერნიე, 1974:121). განმათავისუფლებელ ბრძოლას განსა-კუთრებით მასშტაბურსა და ეფექტიანს ხდიდა მოსახლეო-ბის დაბალი ფენების ფართოდ მონაწილეობა. ხალხის მეხ-სიერებას შემოუნახავს მაჭახლელთა თავგანწირული ბრძო-

ლა ოსმალთა წინააღმდეგ 1519 წელს, კახაბრის ველზე ბრძოლა 1520 წელს (ახვლედიანი, 1943:18), საყოველთაო აჯანყება აჭარაში 1586 წელს, როცა ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ომი მიმდინარეობდა (სდსინ, 2009:236), აჯანყებები: აჭარაში 1680 წელს, ლიგანის ხეობაში 1684 წელს, შავშეოში 1690 წელს, გამოსვლები მთელ სამუსლიმანო საქართველოში 1697 წელს და სხვა (ახვლედიანი, 1943:20). განსაკუთრებული იყო 1702 წელს მთელ დასავლეთ საქართველოში (გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი) დაწყებული დაუმორჩილებლობის მოძრაობა, როცა აჯანყებულების წინააღმდეგ, ოსმალეთის ხელისუფლებას ახალი ჯარების მობილიზება დაჭირდა მათ დასაწყინარებლად და ზღვისპირა ციხეების გასამაგრებლად (სინ, 1973:457-458).

გამათავისუფლებელ ბრძოლაში ქობულეთის მოსახლეობის განსაკუთრებული აქტიურობის მაჩვენებელია 1737 წელს, ათი წლის განმავლობაში სულთანის ტყვეობაში ნამყოფ პატრიარქ დომენტისთან (ვახტანგ VI ძმა) შეხვედრა, პატრიოტ აალთა გაერთიანება და დედოფალ დარეჯან თავდგირიდის მოთავეობით კავშირის დამყარება იმერეთის მეფე ალექსანდრე V-თან. ასეთივე მაგალითია 1771 წელს ჭახათის, ხინოს, ასკანის, ლიხაურის მცხოვრებთა მიერ სოლომონ მეფისადმი მირთმეული პირობისა და ფიცის წიგნი, რომელშიც გამოხატულია მოსახლეობის მზადყოფნა მხარი დაჭირონ მეფეს მტრის მიერ მიტაცებულ მხარეთა გამოხსნისათვის საჭირო დონისძიებების განხორციელებაში (სდსინ, 2009:264).

მსგავსი განწყობა ჩანს აჭარისწყდის ხეობის მოსახლეობაშიც.

1774 წლის 5 ივლისით დათარიღებულ მოხსენებაში გრაფ პანინისადმი, რუსეთის რწმუნებული ქართლ-კახეთის სამეფოში – კაპიტანი ი. ლვოვი, ეხება რა იმავე წელს აჭარაში მომხდარ ანტიოსმალურ აჯანყებას, აღნიშნავს: „მებრძოლი ქრისტიანი ხალხი, აჭარლებად სახელდებული, მცხოვ-

რები მთებში გურიასა და თურქეთს შორის, შავი ზღვიდან აღმოსავლეთით, თურქთა ქვეშევრდომობიდან სრულიად განდგა; ასე რომ, როცა ახალციხის ფაშა თურქთა გარკვეული რიცხვით ამ ხალხის დასამორჩილებლად აჭარაში შევიდა, მათ იგი დაამარცხეს და აჭარიდან განდევნეს“

მტრის მიერ მიტაცებული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის სოლომონ I-ის მიერ ჩატარებულ ბრძოლათაგან განსაკუთრებული იყო 1784 წლის მარტში მოწყობილი ლაშქრობა იმერეთისა და გურიის რაზმებით, აჭარის ტერიტორიიდან ოსმალთა განდევნის მიზნით, მაგრამ მიუხედავად პირველი წარმატებისა – ქობულეთ-ჩაქვის ტერიტორიების დაკავებისა, ციხისძირთან (ნაჭიშქრევი) ბრძოლაში დამარცხების გამო, დასახული მიზანი ვერ განხორციელდა. ეს მოვლენა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მას წინ უსწრებდა ოსმალთა და მუხლიმან ქართველთა შეჭრა გურიის ტერიტორიაზე, სადაც აკეთთან ბრძოლაში დაიღუპა აჭარის მმართველი აბდულ ბეგ ხიმშიაშვილი. მიერიდან აჭარის და შემდეგ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მმართველი გახდა სელიმ ხიმშიაშვილი, რომლის დროსაც განმათავისუფლებელი ბრძოლა კიდევ უფრო მასშტაბური გახდა და ახალ საფეხურზე ავიდა.

ამან შესაძლებელი გახადა სელიმის შვილიშვილის – შერიფ ხიმშიაშვილის აქტიური მონაწილეობით, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომით, დედასაქართველოს დაბრუნებოდა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციების დიდი ნაწილი აჭარითურთ.

ლიტერატურა:

არქანჯელო, 1938: არქანჯელო ლამბერტი, სამეცნიელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბილისი;

აჭარის ლივის... 2001: აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მომზადეს; ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი;

ახვლედიანი, 1943: ხ. ახვლედიანი (კირისილოდლი), ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (XVI-XIX საუკუნეები), ბათუმი;

გაბაშვილი, 1958: ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წევზილება XVI-XVII სს., თბილისი;

გახუშტი, 1941: გახუშტი, აღწერა სამეცნიელოსა, თბილისი;

თამარაშვილი, 1902: მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი;

თამარაშვილი, 1995: მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია და-საბამიდან დღემდე, თბილისი;

იბრაიმ ფეჩევის..., 1964: იბრაიმ ფეჩევის ცნობები საქართველო-სა და კავკასიის შესახებ, თურქელი ტექსტი ქართულ თარგმანი-თურთ გამოსცა, შესაფალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიაძ. თბილისი;

გან შარდენის..., 1978: ეან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მგალობლიშვილმა, თბილისი;

სინ, 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი;

სდსინ, 2009: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი;

სვანიძე, 1971: მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბილისი;

სვანიძე, 1990: მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. თბილისი;

სვანიძე, 1964: მ. სვანიძე, ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან. – „მაცნე“, ისტორიის სერია, 3;

ტავერნიე., 1974: ტავერნიე ქან ბატისტ, დიდი სენიორის სახლის ახალი აღწერა, ფრანგულიდან თარგმნა კ. გურულმა, თბილის;

ტივაძე, 1946: გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვოლაეთის დიდი დავთრის მიხედვით, „მნათობი“, 8;

შაშიკაძე, 2002: ზ. შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. კრებული, III, ბათუმი;

ჯავახიშვილი, 1967: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისი.

Bichiko Diasamidze

The Struggle for the Freedom of South-west Georgia from the Ottoman Empire in the XVI-XVIII centuries

Summary

By the concrete examples, the author studies the irreconcilable fight of the Georgian people against the Ottoman supremacy in the XVI-XVIII. That struggle was revealed in the different forms (to flee from their homes and settle down in the safer places far away from the enemy; the total disobedience and refusal to pay taxes and do corvee; the armed uprisings; the liberation fights organized by the Georgian kings and Princes; the readiness to take a part in the coalition campaigns and the attempt to use one enemy against the other one etc.).

From the end of the XVIII century about for a century, the representatives of the Khimshiashvilis' family headed the liberation war for the freedom of south-west Georgia. After the 1877-1878 Russian-Turkish war because of Sherif Khimshiashvili's (Selim Khimshiashvili's grandson) accomplishments the most part of South-west Georgia with Adjara was returned to the Motherland.

გურამ ლორთქიფანიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**ხიმშიაშვილის საზოგადოებრივი
აკადემიური მინისტრი**

აჭმედ აჭარი (1920-2013), ავტორი წიგნისა „ხიმშიაშვილების საგვარეულოს ისტორია“, პირდაპირი შთამომავალია დიდი ქართველი პატრიოტის – სელიმ ხიმშიაშვილისა (1755-1815). სელიმ-ბეგის გარეშე წარმოუდგენელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. მისი მოწამებრივი აღსახვული დაკავშირებული ადმონინდა ორი იმპერიული გველეშაპის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების სტრატეგიული ინტერესების შეჯახებასთან სამხრეთ კავკასიაში.

ხიმშიაშვილთა გვარის ისტორია საქართველოს ისტორიის სისხლხორციელი ნაწილია. აჭმედ აჭარის პირმშო ილდიმირ აჭარი (აჯარი) თავადვე აღნიშნავს (იხ.: ვებგვერდი: www.batumelebi.ge), „ჩვენ სადაც არ უნდა ვიყოთ, ამ ქვეყნის შვილები ვართ, ეს ჩემი სისხლის ყივილია“ (Ahmed Acar. Tarihte Hamosiogluları Ankara, 1995; იხ. აგრეთვე: ქეთევან და გურამ ლორთქიფანიძები, აჭმედ აჭარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი, 2004, გვ. 5-83; რამაზ სურმანიძე, კომენტარები აჭმედ აჭარის წიგნზე, იხ. წიგნში: სურგულაძე ა., სურმანიძე რ., სელიმ ხიმშიაშვილი, თბილისი, 2013, გვ 108-206). საუბარი ბატონ ილდიმირთან ჩაწერა ეთერ თურაძემ, თარგმნა ტარიელ ნაკაიძე.

„ეს ჩემი ქვეყანაა. აქ რომ ჩამოვდივარ, რაც არ უნდა თავის ტკივილი მქონდეს, მაშინვე მექსნება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მამაჩემი ხშირად ჩამოდიოდა. კარგი

ურთიერთობა ჩამოყალიბდა ასლან აბაშიძესთან. მემედ აბაშიძე ჩემი ბების ბიძა იყო დედის მხრიდან. შესაბამისად, ასლან აბაშიძე ბიძაშვილია ჩემი... მაშინ ჭორი გაავრცელეს თოქოს მამაჩემი მიწების დაბრუნებას ფიქრობსო...“

„მინდა იცოდეთ“, – აღნიშნავს ბატონი ილდიმირი, სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ცნობილი ბიზნესმენი, – რომ „საქართველო სამშობლოა და უბრალოდ გვინდა ჩვენი სისხლი ჩვენს ქვეყანაში დუღდეს“.

ილდიმირ აჭარი მოგვითხრობს: „მამაჩემის სახლში, ანკარაში, სელიმ ხიმშიაშვილის ძალიან ბევრი ნივთი ინახება, მაგალითად, დურბინი, ხმალი, ტანსაცმელი („ჩერქესკა“, ჩოხა-ახალუხი – გ. ლ.) და ფეხსაცმელები. ასევე, მაქვს ოსმალური ხელნაწერები, ის წერილები, ფირმანები, რომლებსაც სელიმს უგზავნიდნენ. ძალზე ბევრი გრაგნილია შესასწავლი. ასევე, ჩემთან ინახება სელიმის ქალიშვილის სამკაულები – ბეჭდები, მძივები და საყურებები. გვაქვს მისი შვილის – თემურის სამკაულები, ასევე, გვაქვს ფოტოსურათი“.

აღსანიშნავია, რომ აშედ აჭარი თავის წიგნში აქვეჭნებს საოჯახო რელიქვის, ხმლის ფოტოსურათს. ბატონმა ასლან აბაშიძემ მთხოვა გამერკვია ამ ხმალზე ამოტვიფრული ვრცელი წარწერის შინაარსი, წარწერა სომხური აღმოჩნდა, რომლის პალეოგრაფიული დათარიღება ვერ მოვახერხე...

ილდიმირ აჭარი აღნიშნავს: „კიდევ ერთი ხმალი მაქვს, რომელთან დაკავშირებითაც ასეთი ისტორია გამიგია: სომხეთის ერთ-ერთი დამარცხებული მთავრისთვის თავი უნდა მოეკვეთათ“, სელიმის შვილს, შერიფ ხიმშიაშვილს ის გადაურჩნია სიკვდილისგან. მადლიერ სომებს დიდებულს მისთვის საჩუქრად ძვირფასი ხმალი გადაუცია.

საინტერესოა ილდიმირისეული ხედვა გენერალ-მაიორ შერიფ ხიმშიაშვილის მოღვაწეობისა. მისი სიტყვებით, „ეს სულ სხვა მოვლენა იყო. მის შესახებ რუსები ამბობდნენ – ჩვენი გენერალია, ოსმალები – ჩვენი ვეზირია საქართვე-

ლოშიო; სინამდვილეში ის, როგორც სამთუდიანი ფაშის და ოსმალეთის დიდვეზირი პაპის, სელიმ ხიმშიაშვილის ლირსეული შვილიშვილი, საქართველოს, აჭარის, ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის იბრძოდა. დიდი სელიმიც ამ სულისკეთებით, ხებაყოფლობით ავიდა ეშაფოტზე, მისი უკანასკნელი, წინასწარმეტყველური სიტყვებიც აჭარის მომავალზე ამით იყო ნაკარნახევი.

1815 წლის 3 ივნისს სოფელ ბაკი-ბაკოში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთი თავდადებული, ჰეშმარიტად ეროვნული გმირის უკდავი სახელი შეპმატა ქვეყანას. შთამომავლობის ვალია სათანადოდ დაგაფასოთ მისი მოღვაწეობა. პირველი ნაბიჯები გადადგმულია – აჭარაში დამკვიდრდა სახალხო დღესასწაული „სელიმობა“, ბათუმში დაიღდა მისი ძეგლი, არსებობს მისი სახელობის ქუჩა. სამომავლოდ უნდა ვიფიქროთ ხიმშიაშვილებისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსის შექმნაზე, მით უმეტეს, რომ ილდიმირ აჭარი იდგვის ამისთვის, ისევე, როგორც თავის დროზე მისი მამა პმედი, რათა უანგაროდ ჩამოიტანოს საქართველოში სელიმისა და მისი შთამომავლობის სახელთან დაკავშირებული რელიგიები და ისტორიული დოკუმენტები. როგორც ბატონი ილდიმირი აღნიშნავს, „სელიმი ამ ქვეყნის შვილი იყო და აუცილებელია ის დაბრუნდეს თავის სამშობლოში“. მე დავუმატებდი, რომ მისი ნეშტი მთაწმინდას მიებაროს, მით უმეტეს, რომ ამაზე ფიქრობს აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ილდიმირ აჭარი კიდევ ერთ საყურადღებო პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. ის იხსენებს: „მე, პირადად, ერთი ისტორიის მოწმე ვარ. თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი მამაჩემის მეგობარი იყო. დემირელისა და შევარდნაძის დროს ისაუბრეს სელიმის გადმოსვენებაზე საქართველოში“. იქნებ ახლა მაინც მოხერხდეს ხიმშიაშვილის გადმოსვენება მემკვიდრეებთან ერთად, მოხერხდეს ამ ეროვნული, ზნეობრივი აქციის აღსრულება.

რამაზ სურმანიძე

მედიცინის მუცნიურებათა დოქტორი, პროფესორი

სალიმ ხიმშიაშვილი – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გათავისუფლებისთვის პრემიის წინამდობი

XVIII საუკუნის დასასრულის და XIX საუკუნის დასაწყისის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია სელიმ ხიმშიაშვილს. ის იყო გამჭრიახი პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა ოსმალეთის იმპერიაში დაწყებული მწვავე სეპარატისტული მოძრაობა, აქტიურად ჩაება მასში და პატარა პოვინციის, აჭარის მმართველი ახალციხის საფაშოს ტახტს ორჯერ დაეუფლა: 1803-1809 და 1812-1815 წლებში.

სელიმის ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებს ვხვდებით რუსულ და ოსმალურ წერილებში, საარქივო მასალებში და ოფიციალურ მიმოწერებში. მის შესახებ ყურადღება განსაკუთრებით გაცხოველდა აჭარაში ქართველ მეცნიერთა და მოგზაურთა ექსპედიციების დროს (იგანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, გრიგოლ გურიელი, ზაქარია ჭიჭინაძე, თევდო სახოკია, მოგიანებით ხარიტონ ახვლედიანი, გიორგი ტივაძე და სხვ). მათი ჩანაწერები და დღიურები საკმაოდ ობიექტურად ასახავენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მეთაურის ცხოვრებას, იდეებსა და მისწრაფებებს.

საბჭოთა პერიოდში, სხვა დიდგვაროვანთა მსგავსად, სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიაც ერთგვარად გამრუდდა, რისი ანარეკლები ჩვენი დროის ნარკვევებში, სამწუხაროდ, დღესაც იჩენს ხოლმე თავს.

ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსები ქართველ მთავრებს რომ ეხებიან, რომელი კუთხის შვილიც არ უნდა ყოფილიყო (სამეცნიერო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, მესხეთი), მიაჩნიათ, რომ ისინი „საქართველოს გაერთიანების მტრები, გაერთიანებული საქართველოს დამლის მოღვაწენი იყვნენ“.

რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც მუსლიმანურ სამყაროში მოხვდნენ, მათზე ნათქვამია: „ქელაიშბეგი ისეთივე „გმირია,“ როგორი „გმირებიც“ იყვნენ სელიმფაშა ხიმშიაშვილი ან შერიფ-ფაშა ჯაფელი, მიხრწნილი ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეს რომ გრძნობდნენ და სხვა, უფრო მწყალობელ „პატრონს“ ეძებდნენ“ [1].

ასეთი რადიკალური დასკვნა ერთგვარად პასუხობს მაშინდელ პოლიტიკურ კონიუნქტურას, რომლის მიხედვით, რუსეთში გახიზნული ყველა გენერალი გმირი, ხოლო ისინი, ვინც საარსეთსა და ოსმალეთში ტყველ გაყიდეს, ან მათ ამ ქვეყნებში გაქცევით საკუთარი და ოჯახის წევრთა სიცოცხლე გადაარჩინეს, – მოღალატე და ქვეყნის დამაქცევარია. ბუნებრივია, ასეთი შეფასების თავი და თავი რწმენის შეცვლაა. თუმცა მხედველობაში მისაღებია, რომ ეს იძულებითი ნაბიჯი იყო და ბევრი რჯულშეცვლილი ქართველი ბოლომდე თავისი ქვეყნის და ერის მსახურად დარჩა (ფარულად მაინც). თუ მაგალითები გვინდა, დიდ ქართველებს დავასახელებ: სიმონ დიდმა იძულებით აღიარა ისლამი, მაგრამ ქართველობისთვის არ უდალატნია. დიდმა მოურავმა ორჯერ მიიღო უცხო რჯული, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე საქართველოზე ფიქრობდა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი სელიმში დამოუკიდებლობის-თვის თავდადებულ მებრძოლს, ოსმალთა ბატონობისგან სამხრეთ-საქართველოს გათავისუფლების მებაირახტრეს ხედავს, ზოგს კი მიაჩნია, რომ „იგი ამ ბრძოლას, ხალხის პატრიოტულ მისწრაფებას პირადი ინტერესებისთვისაც იყვ-

ნებდა და მისი პოლიტიკური სფერო „ვიწრო ფეოდალურ ჩარჩოებს არ სცილდებოდა“ [2].

საკითხავია, რომელი ქართველი ფეოდალი, გნებავთ, მეფე არ იბრძოდა თავისი პირადი ინტერესებისთვის, ანდა ფეოდალური პრესტიჟის შესანარჩუნებლად?

„რუსეთთან სამცხე-სათაბაგოს შეერთების შემთხვევაში მის იდეალს წარმოადგენდა, აღჭურვილიყო ისეთივე ავტონომიური უფლებებით, როგორი უფლებაც პქონდა სამეგრელოს მთავარს, მთავრის ხელისუფლება კი, როგორც ვიცით, არის ერთიანი საქართველოს საწინააღმდეგო გამოხატულება“ [3].

როგორც ვხედავთ, საბჭოთა პერიოდის ამ გამონათქვა-მებში ბევრია საერთო, თუმცა თუ სასწორის პინაზე დავ-დებო მთავრის და ფაშის მოვალეობას, ჩემი აზრით, მთავ-რის სტატუსი გადასწორის, რამეთუ ის უფრო ახლოს დგას ეროვნულ ტრადიციებთან (ენა, მამული, სარწმუნოება) და, ბუნებრივია, შეძლებისდაგვარად იბრძოლებდა მათ დასაცა-ვად.

მას შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა, ძალიან ბევრი ქარ-თველი მოღვაწის ბიოგრაფიას მოეფინა ნათელი, დღეს სრუ-ლიად ახლებურად ვაფასებთ ჩვენი სვევამწარებული წინაპ-რების ცხოვრებას. ზემოთქმულის ავტორები დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყვნენ, დარწმუნებული ვარ, ახლადგამოვ-ლენილი მასალების შესწავლით, მათს ცხოვრება-მოღვაწეო-ბაზე სრულიად განსხვავებული შეფასებები ექნებოდათ.

მეცნიერების მისაღებია ის გარემოება, რომ სელიმ ხიმშიაშვილმა, ქართველ მოღვაწეთაგან ერთ-ერთმა პირველ-თაგანმა ყველაზე მეტად გამოამჟღავნა პორტადან გამოყო-ფის სურვილი და გვიანფეოდალური საქართველოს ორი დი-დი ლოზუნგიდან – „გამოხსნა“ და „აღდგომა“, აქტიურად ჩაება პირველის, ე. ი. სამხრეთ-საქართველოს დიდი ტერიტო-რის გამოხსნისთვის ბრძოლაში. ეს კი ეროვნულ-განმანთა--

ვისუფლებელ ბრძოლაში გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. თუ გამოხსნა არ მოხდა, ეს არის არა იმდენად სელიმ ხიმშიაშვილის ბრალი, რამდენადაც რუსეთის ორპირი მოხელე ეებისა, რომლებიც ერთი ხელით სელიმს აქეზებდნენ პორტასთან დაპირისპირებისთვის, პირდებოდნენ თანამდებობებს და ჯილდოებს, მეორე ხელით კი სულთანს წერდნენ, რომ მეამბოხე ქართველი ფაშა რუსეთის მხარდაჭერას ვერასდროს ედირსებაო [4].

მოვლენათა ასეთი განვითარების გამო ძალიან დიდხანს სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის შეფასება წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი, ხოლო ლეგენდა და სინამდევილე ერთმანეთში იყო არეული.

მიუხედავად ამისა, საზოგადოება, ქართული მწერლობა ობიექტურად აფასებდა იმდროინდელ ვითარებას და სელიმ ხიმშიაშვილსაც თავისი დროის გმირად თვლიდა. ასე აისახა მისი პიროვნება მიხეილ ჯავახიშვილის რომან „არსენ მარაბდელში“, „ფრიდონ ხალვაშის პიესა „ხიხანის ძახილში“, „მამია ვარშანიძის ეპოკე „ხიხანის არწივებში“, „ზურაბ გორგილაძის, შოთა ზოიძის, ემენ დავითაძის, ზურაბ ზოიძის, ამირან ხაბაზის და სხვა პოეტების ლექსებში.“

მეცნიერთაგან პირველი, ვინც თავისი დროის და შესაძლებლობების კვალობაზე შეისწავლა სელიმ ხიმშიაშვილის ძალზე რომელი ცხოვრება და შექმნა მასზე პირველი მონოგრაფია, იყო პროფესორი აბელ სურგულაძე (1933-2001) [5].

სხვებისგან განსხვავებით ავტორი შორსაბ პიროვნების იდეალიზაციისგან, მაგრამ იგი ობიექტურად აფასებს მის მოღვაწეობას და დამსახურებას სამშობლოს წინაშე. სელიმი ფეოდალურ-სეპარატისტული ეპოქის შეილი იყო, ამდენად – რომელი პიროვნებაც ქრისტიან ქმებთან და კავკასიის რუსულ ხელისუფლებასთან გულთბილ ურთიერთობას ის უხამებდა სულთანის სამსახურს, ლეპ აბრაგებთან კავშირს, ზოგჯერ სისასტიკეს და დაუნდობლობას. ვერ განვხსჯით მას

ამის გამო, რამეთუ ასეთი იყო იმდროინდელი ცხოვრების წესი. გერცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ მეფეს, მთავარს, ბოიარინს, ლორდსა თუ ბეგლარ-ბეის, რომელსაც თავისი ძალა-უფლების შესანარჩუნებლად სისასტიკე არ გამოეჩინოს, ვინ-მე არ დაესაჯოს (სიკვდილითაც), ან არ დაემახინჯებინოს (თვალების დათხრა, დასაჭურისება და სხვ). ბევრი მათგანი ჩვენ გმირ მეფედ, ან მთავრად გვყავს წარმოდგენილი, რად-განაც მათი კეთილი საქმეები გადასწონიდა ხოლმე ავტო-ბას.

1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს სელიმ-მა რუსეთის მხარე დაიჰირა, არ შეასრულა სულთნის დავა-ლება, ყარსის ოპერაციის დროს ბრძოლის ველზე ავადმყო-ფობის მომიზეზებით არ გავიდა და ამით რუსებს გზა გაუხ-სნა ყარსისკენ. ამის საფასურად თითქოს გადაწყვეტილიც იყო მესხეთ-ჯავახეთის და აჭარის რუსეთის მფარველობაში შესვლა, მაგრამ ეს მაშინ არ მოხერხდა, რადგანაც არ შე-დიოდა რუსეთის უახლოეს გეგმებში.

სელიმის ამ “აგადმყოფობამ” პირველი ეჭვი გაუჩინა სულთან სელიმ III-ს, რომ ის სხვაგარად აზროვნებდა, მაგ-რამ პორტას პოლიტიკა თავისებური იყო. ერჩივნა მხარეში ძლიერი მფლობელი პყოლოდა. სელიმს სწორედ მისი ძალ-მოსილებით იცნობდნენ და ვერ ელეოდნენ. სხვათაშორის, ასეთივე ეჭვი გაუჩნდა ახალ სულთანს მაჰმუდ მეორეს. დე-დიოთ ქართველს მეუღლეებიც ქართველები ჰყავდა, გვარად ქუთათელაძე (აბდულ-მეჯიდ II-ეს დედა) და თავდგირიძე (აბ-დულ-აზიზის დედა). როგორც ამბობენ, მაჰმუდ II დიდად გა-ნიცდიდა ამ ბრძენი ქალბატონების კეთილისმყოფელ გავლე-ნას. შესაძლოა ამითაც იყო გამოწვეული, რომ სულთანმა მეამბოხე ვეზირის, სელიმ ხიმშიაშვილის სიკვდილით დას-ჯაზე უარი თქვა და სტამბოლში მისი ცოცხლად ჩაუვანის ბრძანება გასცა.

1810 წლის შემდეგ, როცა ცარიზმის დამქაშებმა გააუქმეს იმერეთის სამეფო და სოლომონ მეორე შეიპურეს, სელიმი დარწმუნდა, რომ მის დამოუკიდებელ არსებობას რუსეთის სელისუფლება ადრე თუ გვიან ადარ მოითმენდა და მასაც მისი მეგობრის, იმერეთის მეფის ბედი ელოდა. მან ისიც კარგად უწყოდა, რომ სელისგულისოდენა აჭარა დიდ დამპყრობლებს ვერაფერს დააკლებდა, ამიტომ სხვა გზები უნდა ეძებნა. ერთად-ერთი გზა, რაც სელიმს დარჩა, ეს იყო ქართველ მეფებატონიშვილებთან კავშირი და ანგირუსულ მოძრაობაში მათთან გაერთიანება.

პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, აბელ სურგულაძის ნაშრომი გამოირჩევა მეცნიერული კალევის სიღრმით, იმ დროისთვის ნაკლებად ცნობილი საკითხების წარმოჩენით და მათი ახლებურად გადაწყვეტით. თუმცა ამ წიგნის გამოსვლიდან მეოთხედი საუცუნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ადამიანებს მიეცათ სიტყვის თავისუფლება, ის რაც ადრე მკაცრად გასაიდუმლობული იყო, ახლა კველასთვის მისაწვდომი გახდა. ამ მოვლენებმა მაფიქრებინეს ხელი მომეკიდა ჩემი მეგობრის, აბელ სურგულაძის წიგნზე, რომლის ერთერთი რეცენზენტი გახლდით და ახალი მასალებით შევსებული, მეორეჯერ გამოგვეცა, რაც კიდევ შევძელით [6].

ჩვენს მიერ ახლადგამოვლენილ ფაქტებს ვიწყებთ სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიით, რაც მანამდე ერთობ ბუნდოვანი იყო. იგი დაიბადა არა სოფელ ქოჩახში, არამედ სოფელ ნიგაზეულში, სადაც ჯერ კიდევ მის მამას გააჩნდა ციხე-სიმაგრე და რეზიდენცია.

მისი მშობლები იყვნენ **აბდულ-ბეგი** (?-1784) და ახალციხელი თავადის **ბეჟანიძის** ქალი, რომლის სახელი უცნობია. იგი 1803 წელს ცოცხალი იყო. მისი წინაპრები ზენდიდიდან ახალციხეში გადასულან და დაწინაურებულან.

სელიმის ოჯახურ განათლებაზე რაიმე საბუთი არ გაგვიჩნია, თუმცა თუ გაგანალიზებო რუსი მადალი ჩინოვნიკებისადმი გაგზავნილ ქართულ ბარათებს (ქართველ დიდებულებს ჩვეულებრივ ქართულად წერდა), უნდა ვიგულისხმოთ, რომ მან, არაგვისპირელ ხიმშიაშვილთა ახლო ნათესავმა, ოჯახური განათლება ქართულ ენაზე მიიღო.

დაახლოებით 1775 წელს სელიმი სტამბოლის, დარულ-ბადის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა. ოთხის შემდეგ დაამთავრა იგი, სამშობლოში მაიორის ჩინით დაბრუნდა და იქორწინა კიდევ. მისი მეუღლე იყო წარმოშობით აჭარელი (ს. ძენწმანი. ქედის რ.) **შაქირ-ფაშა** სურმანიძის (1733-1805) ქალი ელმასი, რომლის სახელთან დაკავშირებულია გვიანფერდალური ხანის (1780 წ.) თაღიანი ხიდის აშენება სოფელ ვარჯანაულში. ხიდი ახლაც დგას. თვით შაქირ-ფაშა ახალციხის ფაშის კარზე დიპლომატ-თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა და ხშირად ხვდებოდა ქართველ მეფეებსა და დიდებულებს [7].

სელიმის მჭიდრო ურთიერთობა სოლომონ მეორესთან იწყება ჯერ კიდევ მაშინ, როცა იმერეთის სამეფო ტახტზე მას მეტოქე დავით გიორგის ჟე გამოუჩნდა. ამ უკანასკნელს მხარს უჭერდა სიმონ გურიელი, რომელიც 1790 წელს 300 კაცით ახალციხის სულეიმან-ფაშა ჯაფელს ეწვია და დავით გიორგის ძის გამეფებაზე მხარდაჭერა სოხოვა. ფაშამ სიმონი უარით გაისტუმრა. უკან მომავალი გურიელი სელიმ ხიმშიაშვილის რაზმებს გადაეყარა. იგი ფაშას მიგვარეს. სელიმმა პირველ რიგში სიმონ გურიელს სოხოვა მხარი დაუჭირა სოლომონ მეორესთვის. აგრეთვე შესთავაზა დამოყვრებულიერენ, მშვიდობიანად ეცხოვრათ, უარი ეთქვათ ურთიერთშეუღლზე, ტაციობასა და რბევა-აწიოკებაზე. მოლაპარაკება შედეგით დასრულდა. სიმონ გურიელი სიხარულით შეხვდა ამ წინადაღებას. გადაწყვიტეს სიმონის უმცროსი ქალი ქესარია დაენიშნათ სელიმის მეორე გაუზე აბდიზე, რაც

მათი ქორწინებით დაგვირგვინდა. ამიერიდან, მოძმეთა შორის თავდასხმები და გაუგებრობები თითქმის შეწყდა.¹

1791 წელს გარდაიცვალა **სიმონ გურიელი**. მემკვიდრე მთავრის, **მამიას** მცირეწლოვანების გამო რეგენტის მოვალეობას მისი დედა **მარინე წერეთელი-გურიელისა** ასრულებდა. სამთავროს შიგა საქმეებში კი აშკარად ერეოდა მარინეს ძმა, რუსოფილი **ზურაბ წერეთელი**. მან იკისრა რუსეთის ჩვეული გეგმის აღსრულება – ერთმანეთისთვის გადაემტერებინა ქართველი დიდებულები და დაესუსტებინა მათი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. უკვე ჭაბუკი მამია ზურაბმა გადაიბირა და დაარწმუნა იგი, რომ რუსეთის ხელისუფლების საფარველის ქვეშ დადიანივით დამოუკიდებელი მთავარი იქნებოდა, თუ სოლომონს გადაუდგებოდა[8].

უფრო მეტიც, 1810 წლის მარტში მამია **გურიელმა** თავისი ლაშქარი რუსეთის ჯართან გააერთიანა და იმერეთზე გაილაშქრა. სოლომონ მეფე სანის ხეობაში შეამწყვდიეს და ახალციხეში გადასასვლელი გზები ჩაუქმებეს. მეფე იძულებ-

¹ 1819 წელს ეს მოყვრობაც რუსმა ჩინოვნიკებმა ჩაშალეს. მამია გურიელს მისი და კესარია გურიაში დააპატიუებინეს. მან სამი შვილი ნიგაზეულში დატოვა, ხოლო ჩვილი ესმა („ხერიხით“) თან წაიყვანა. მთავარმართებელი საგანგებოდ ჩამოვიდა გურიაში, რათა კესარიას უარი ეთქვა აჭარაში დაპრუნებაზე. ამას დაუინებით მოითხოვდა მისი ძმა მამიაც. კესარია სასტიკი უარი განაცხადა დარჩენაზე. როცა თხოვნაშ არ გაჭრა, იგი დილევში ჩასევს. უდედოდ დარჩენილი ესმა სიკვდილის პირას მივიდა. ბოლოს კესარია გამოუშვეს. შვილების დარდისგან და პატიმრობისგან დაოსტებული ქალი თანდათან შეეგუა საშინელ ცხოვრებას, დააპირა გურიელის მწერალზე ალექსანდრე თავდგირიძეზე გათხოვება, მაგრამ მამიამ იუკადრისა და იგი კულაშელ თავადს გიორგი მიქელაძეს მიათხოვა. კესარია 1861 წელს გარდაიცვალა (დავით წერეთლის დღიურები. აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი).

რაც შეეხება ესმას, იგი ოდიშელ თავადს ოტია ჯავანს (დაიდგა გურიის ჯანეის დროს) მიათხოვეს. დაქვრივებული ერთხანს გურიაში, შემდეგ ქუთაისში ნათესავ ლორთქიფანიძეების ოჯახში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1893 წლის დეკემბერში.

ასე დაიშალა სიმშიაშვილთა და გურიელთა მოყვრობა, ეს ბორტება კი რუსეთის ჩინოვნიკებმა ჩაიდინეს.

ბული გახდა დანებებოდა რუსებს. იგი 1810 წლის 1 აპრილს თბილისში შევიდა, სადაც პატიმარ ჰყვეს და სუმბათაშვილის სახლში ჩაკეტეს, მაგრამ 10 მაისს სოლომონმა მოახერხა გაპარვა და ახალციხეში თავის მომხრევებთან ჩასვლა [9].

ცარიზმის ერთგულ სამსახურში ჩამდგარმა მამიამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, განუდგა სოლომონ მეორეს და მტრად გადაეკიდა. ამ აქტმა შეაშფოთა სოლომონის მომხრე ქართველი დიდგულები. სელიმ ხიმშიაშვილმა მამია გურიელს საგანგებო წერილით მიმართა, რომლითაც აშკარად დასტურდება მისი თავგამოდება სოლომონ მეფის მხარდასაჭერად, აგრეთვე ანტიცარისტული ორიენტაცია და საკუთარი მხარის საქართველოსთან გაერთიანების სურვილი.

„...ჩემს საყვარელს და უერთგულებს შვილს მამია გურელს დიად სიყვარულით მოკითხვას მოგახსენებთ. მერმეთ, ჩემო საყვარელო შეიღო, მეფე სოლომანი, ჩემ ძმა ხაზინადაროდლი სულეიმან-ფაშასთან მისულა და ამიტომ მოგახსენებთ ამ წერილითა, რომ თუ ჩემი მამა-შვილობა გაქვს და ჩემგან არ გაგივლია, მეფე სოლომანს ნახამ და სულეიმან-ფაშასაც შეკერები და მათ საქმესა და სამსახურზედ მუყაოთი გაუხდები, რომ პამ ხელმწიფის სამსახურია და პამ ჩვენი მოყვრობა და მამა შვილობა ამ საქმით გამოცხადდება და დგოთით ჩემი ხელმწიფის წყალობაც შეზურგ იქნება და ჩემიც უდეოუსი ერთგული საყვარელი იქნები და ჩემი ხაზინადარი მუსტაფა-აღა გამიგ ზავნია და ისიც ამოგივლის და მოგახსენებს და რაც ამ წერილით მოგახსენეთ, თუ ამდარიგად არ ქნის, მე და შენი მოყვრობა და ერთობა აღარ იქმნება და აღარც გულშიდ გაიტარო, თუ მეც მოყვარე და მოკეთე მყავსო. ასე მოგეხსენებოდეს.

აღიწერა ნოემბრისა 10-ში. 1813 წ.“ [10]

ვფიქრობ, ამ წერილს კომენტარები არ სჭირდება. იმასდა ვიტყვით, რომ სოლომონ მეფეს იგი ძმას უწოდებს, ამავე დროს აგრძნობინებს ახალგაზრდა გურიელს, რომ თვლის

“ერთგულ და საყვარელ შვილად,” ნამუსზე აგდებს მას, თანაც აფრთხილებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათი “მოყვრობა და ერთობა აღარ იქნება.”

სელიმ ხიმშიაშვილი მოდგაწეობდა სწორედ მაშინ, როცა გაუქმდა ქართული სამეფოები, ხოლო მეფის მემკვიდრეები სხვადასხვა ადგილებში აფარებდნენ თავს. ისინი სელიმის მსგავსი მეამბოხების დახმარებით ცდილობდნენ ტახტის დაბრუნებას. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამორჩეულია **ალექსანდრე ბატონიშვილი**, რომელმაც სწორედ ახალციხის საფაშოს მეშვეობით დაამყარა კავშირი იმერეთიდან გაძევებულ სოლომონ მეორესთან.

პავლე ციცანგვი სელიმისგან მოითხოვდა ალ. ბატონიშვილის და მისი ემისრების **ზაალ თუმანიშვილის** და სოლომონ დავითაშვილის გადაცემას, მაგრამ სელიმმა მთავარმართებელს დიპლომატიური პასუხი გასცა: ისინი იმერეთში გაემგზავრნენ და თქვენს ქვეშევრდომ სოლომონ მეორეს მოთხოვეთო. გარდა ამისა ელჩებს არავინ აკავებს და ეს თქვენთვის და ჩვენთვისაც საძრახისი საქციელიაო.

ქართველ დიდებულებთან, განსაკუთრებით ტახტის მაძიებელ ბატონიშვილთან ურთიერთობის გამო სელიმს ციცანგვის მსგავსად საყვედურობდა მისი შემცვლელი ტორმასოვიც.

თუმცა ოსმალეთის სამთულიანი ფაშის და პირველი ვეზირისთვის, ვინც პორტას კანონებსაც ეურჩებოდა, ძნელი არ იყო არაფრად ჩაეგდო რუსი გენერლების საყვედურები.

რუსეთმა მოითხოვა დროებით ფოთის ციხის გამოყენება, მაგრამ სელიმისგან უკმეხი პასუხი მიიღო: “მთელი იმერეთი დანიშნული არს ჩვენად, ხვანიქრის ფირმანის ბრძანებით იქ უნდა დაგვესვა მეფე სოლომონ, რადგან მამული ჩვენი გვეგონა, ციხესაც ავაშენებთ და თუ ხელშეკრულებით განირჩევა და და დარჩება თქვენ მამულში, ადვილად შეიძლება მისი დაქცევა” [11].

ამ წერილიდან ირკვევა, რომ სელიმ ხიმშიაშვილი ფორმალურად იმერეთს სულთნის ხელქვეითად თვლის, მაგრამ არამარტო სამცხე-საათაბაგოს და აჭარას, არამედ იმერეთსაც ექომაგება და თავხედ რუს გენერლებს შესაფერის პასუხს აძლევს: აქ იმერეთის სამეფოა, მეფედ სოლომონი უნდა იჯდეს, ჩვენ კი რაც გვსურს იმას ავაშენებთ, მაგრამ თუ თქვენ ამას დააპირებთ, მას ძალიან ადვილად დავანგრევთო.

ეს წერილი დაიწერა ფოთში, სადაც სელიმთან ერთად იყვნენ სოლომონ მეორე და ალექსანდრე ბატონიშვილი, ბუნებრივია, მათთან შეთანხმებით. ისინი რამდენიმე დღე ქობულეთში შეჩერდნენ, საიდანაც მეფე ტრაპიზონში დაბრუნდა.

ალ. ტორმასოვი იმულებულია ქართველი ღიდებულების მეშვეობით სელიმთან გამართოს მოლაპარაკებები. დასაწყისში მასთან გაგზავნა პოლკოვნიკი ბეგლარ (თამაზ) ორბელიანი, რომელიც ხიმშიაშვილს სოხოვდა საფაშოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი შეეშვა. სელიმმა ბეგლარი ალ. ბატონიშვილსაც შეახვედრა, რომლის ჩარევით, ბუნებრივია რუსებს მათ თხოვნაზე უარი უთხრეს.

ალ. ტორმასოვი არ ცხრება. ამჯერად სელიმთან მოსალაპარაკებლად გზავნის ელიზბარ ერისთავს, მაგრამ მისმა მისიამ, კიდევ უფრო დიდი კრახი განიცადა. ელიზბარი იმერეთში რუსულ ჯარს მეთაურობდა და დიდი როლი მიუძღვდა სოლომონ მეფის დაპატიმრებაში და მოსახლეობის რბევა-აწიოკებაში. ეს კარგად იცოდა სელიმმა, ამიტომ სტუმარი თავიდან ჩამოიცილა ისე, რომ მოლაპარაკება არც გამართულა [12].

ჩვენთვის ნაწილობრივ ცნობილია სელიმის თვისებები, რომელსაც ის ავლენდა თავის ხელქვეითებთან, მტრებთან და საგჭვო პირებთან, მაგრამ სრულიად არ ვიცით მისი ხასიათი, გარეგნობა, აგებულება, ჩაცმულობა, მიხრა-მოხრა, შინაურებთან დამოკიდებულება და ა.შ. რამდენიმე წლის წინ ბათუმელმა მხატვრებმა სელიმ ხიმშიაშვილი ქართულ ჩოხა-

ში დახატეს. როგორც ყველა სიახლეს, ამასაც გამოუჩდნენ თპონენტები: აქაო-და მას ჩაქვურა უნდა სცმოდაო. სელიმზე და მის მომდევნო თაობებზე ვერ ვიტყვი, მაგრამ აჭარაში და ოსმალეთში გადასახლებულ ხიმშიაშვილთაგან, რომელთა რიცხვი 500-ს აღემატება, არცერთი მათგანი არ მინახავს ჩაქვურაში – ყველა მათგანს ქართული ჩოხა აცვია.

რაც შეეხება თვით სელიმს, საინტერესოა ერთი დოკუმენტის გაცნობა, რომელიც, შეიძლება ითქვას წერტილს უსამს ამ გაუგებრობას.

1803 წლის 10 სექტემბერს ახალციხის საფაშოს სალახორი სელიმ-ადა ყიფიანი იოსებ ბებუთაშვილს (მიშკარბაშს) სწერს, რომ როცა დააპირებს ახალციხეში ჩამოსვლას, “ფაშისთვის ერთი კარგი ჩერქეზის შავი ჩოხა უშოვეთ, რომ ძალიან ეამება, იცოდე“ [13].

ამგვარად ნათელია, რომ სელიმი თავის საყვარელ და საამო სამოსად თვლიდა ჩოხას და არა რომელიმე სხვა ტან-საცმელს.

სელიმ ხიმშიაშვილის სიცოცხლის უგანასკნელ დღეებზე ბოლო დრომდე ბატონობდა მოსაზრება, რომ მას უდალატა ყველაზე ახლობელმა და უსაყვარლესმა პიროვნებამ, კერძოდ ბიძამ ახმედ-ბეგ ბეჟანიძემ. მან ციხის კარები გააღო და მტერი შემოუშვაო. ერთად-ერთი წყარო, სადაც ამას გვითხულობთ, არის კავკასიის ჯარების მთავარსარდლის, გენერალ ნიკოლოზ რტიშჩევის წერილი, რომელიც რუსეთის სახელმწიფო საიდუმლო მრჩეველს თ. ა. ვეიდენმაიერს გაუგზავნა. 6. რტიშჩევი ქართველ დიდებულებთან შუღლის ჩამოგდების ოსტატი იყო. ეს წესი მან სელიმის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო განავითარა, რათა მის მემკვიდრეებს მტრობა ჰქონიდათ იმ დროისთვის საკმაოდ ძლიერ ბეჟანიძეთა ფეოდალურ გვართან, დასუსტებულიყვნენ და გაადვილებულიყო მხარის დაპყობა.

სამწუხაროდ, ნ. რტიშხევის მზაკვრული ჩანაწერი გავრცელდა და ჩვენს დრომდე მოატანა. ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა კი სულ სხვა რამ დაადასტურა.

როგორც ცნობილია, ხიხანის ციხეში სელიმს თან პყავდა 1 000-მდე მებრძოლი და 400-ზე მეტი ოჯახის წევრი. მიუღომელ ადგილას მათი სურსათით მომარაგება გაჭირდა, საუბედუროდ საიდუმლო დარანიც ჩაიქცა და ეს გზაც გადაიკეტა. ციხეში შიმშილმა დაისადგურა. მრავალი თავშეფრებული შიმშილით გარდაიცვალა. პირველად სწორედ ამ მიზეზმა გადააწყვეტინა სელიმს, ჩაბარებოდა მტერს. შემდგომში მეორე კიდევ უფრო სერიოზული მიზეზიც გაჩნდა. ბაბა-ფაშა ფეხლევანის ხელმოცარულმა რაზმებმა, რომელთა ნაწილი სელიმმა ციხის მისადგომებთან თრჯერ გაანადგურა, ახლო-მახლო სოფლების გადაწვას და რბევა-აწიოკებას მიჰყეს ხელი. ხიხანის ციხიდან მთელი ხეობა ხელისგულივით ჩანს და სელიმიც ხედავდა, როგორ ნადგურდებოდა სოფლები.

ამ ორმა მომენტმა ხიმშიაშვილს გმირული გადაწყვეტილება მიაღებინა. მან ბრძანება გასცა თავის სარდალს ბეჭანიძეს, მოლაპარაკებოდა მტრის ემისრებს, რომ მზად იყო ჩაბარებოდა მათ იმ პირობით, თუ ციხის ბინადრებს უვნებლად გაუშვებდნენ და შეწყვეტდნენ სოფლების აწიოკებას. ასეც მოხდა.

ამგვარად, სელიმ ხიმშიაშვილმა თავისი სიცოცხლე თავისივე ნებით მიიტანა საკუთარი მიწა-წყლისა და ხალხის გადარჩენის სამსხვერპლოზე, ამიტომ იგი დირსეული სახალხო გმირია და შესაბამისი პატივით უნდა მოვიხსენიოთ.

ლიტერატურა:

1. ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი. 1966. გვ. 282, 283.
2. შამშე მეგრელიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიდან. თბილისი. 1963. გვ. 42.
3. შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი. თბილისი. 1975 წ. გვ. 145.
4. Акты т. 5. Тифлис, 1873. стр. 819.
5. სელიმ ხიმშიაშვილი. ბათუმი. 1986 წ.
6. აბელ სურგულაძე, რამაზ სურმანიძე. სელიმ ხიმშიაშვილი. თბილისი. 2013 წ. რედაქტორი გახაბერ სურგულაძე.
7. რამაზ სურმანიძე. სურმანიძეები. ბათუმი. 2001 წ. გვ. 62-71.
8. ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 2. ობ. 1965. გვ. 375.
9. მიხეილ რეხვიაშვილი. იმერეთის მეფენი. ქუთაისი. 1992 წ. გვ. 249.
10. Акты Кавказской Аадা�иАаÀ 'еeâbêié комиссии (AKAK), Т. 5, Тифлис. 1873. стр. 510.
11. ქველი ჩხატარაიშვილი. გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბილისი. 1985 წ. გვ. 46.
12. AKAK. т. 4. Тифлис. 1889 г. стр. 236, 275, 283, 308, 313.
13. საქართველოს ხიმშიაშვილი. ტ. 3. ტფილისი. 1910 წ. გვ. 99. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით.

ოთარ თურმანიძე

ბეუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინტიმურის ინტორისა და
არქეოლოგის განერფილების მთავარი მუცნიერი თანამდებობები,
ინტორის მუცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ხიმენიშვილები XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცენტრები

აჭარელი ხიმენიშვილების შესახებ არაერთი ნაშრომი დაიბეჭდა, რომლებშიც გაშუქებულია მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ხიმენიშვილების ინტორის შესახებ ზოგიერთი საკითხი საკამათოა, ზოგიც დაზუსტებას საჭიროებს. აჭარაში ხიმენიშვილების პირველი წარმომადგენელი სახელად აბდული ყოფილა, რომელიც ზემო აჭარის სოფელ ნიგაზეულში ცხოვრობდა. აბდულ ხიმენიშვილი თავისი გამჭრიახობითა და გაბედულობით ოსმალეთის სულთნის ყურადღების არა-აღმი აღმოჩნდა. იყო ხიმენიშვილების საგვარუულოს პირველი ბეგი იყო აჭარაში.

აბდულ ხიმენიშვილი (1735-1784 წწ.) შეიარაღებული რაზმით 1784 წელს თავს დაესხა გურიის სოფელ აკეთს, რომელიც თავდგირიძეების გურიის შტოს რეზიდენცია იყო. ჩვენი აზრით, ეს თავდასხმა განხორციელდა ოსმალეთის სულთნის დაკვეთით, მიზანი იყო გურიის თავდგირიძეების განადგურება. აბდულ ხიმენიშვილმა ოსმალეთის სულთნის ეს დავალება წარმატებით ვერ შეასრულა. ბრძოლის დროს დამარცხდა, თვითონ მოკლეს.

აბდულის შვილებს შორის გამოიჩეოდა სელიმ ხიმენიშვილი (1755-1815 წწ.), რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ აჭარის სანჯაყის გამგებელი გახდა. 1801-1802 წლებში სელიმ ხიმენიშვილი ახალციხის ეიალეთის (1864 წლიდან –

ვილაიეთი) მუსალიმი (ფაშის მოადგილე) იყო. ეს ისეთი დროა, როდესაც ოსმალეთის სულთნის ხელისუფლება და-სუსტებულია, ფაშები აღარ ემორჩილებიან სულთანს, ერთო-მეორეს ებრძვიან ძალაუფლებისათვის. 1803 წელს ახალცი-ხის გამგებელი შერიფ ჯაფელი მეორედ განდევნეს საფაშოს რეზიდენციიდან, რომელიც ბაიაზეთის ფაშას, თავის სი-მამრს, დროებით შეეკვდლა. მაგრამ აქ არ გააჩერეს. ბაიაზე-თის ფაშის რჩევით ერევნის სახანოში გადავიდა და პოლი-ტიკური თავშესაფარი მიიღო. მაშინ ერევნის სახანო ირანის მფლობელობაში იმყოფებოდა.

ცხადია, შერიფ-ფაშა ჯაფელის თანამდებობიდან გადაყე-ნება შეუძლებელი იქნებოდა ოსმალეთის სულთნის დასტუ-რის გარეშე. საქმე ის არის, რომ ოსმალეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ჯაფელების საგარეულოს ფარული ომი გა-მოუცხადა, მიზანში აღებული პქონება მათი სამოხელეო ხე-ლისუფლებიდან ჩამოშორება. ამის პარალელურად ეწეოდა ხიმშიაშვილების გვარის აღზევებას. სწორედ ამით იყო გან-პირობებული, რომ 1803 წელს სელიმ ხიმშიაშვილი ახალცი-ხის საფაშოს გამგებელი გახდა, რომელსაც 1809 წლის ბო-ლომდე მართავდა. მაგრამ ბრძოლა ძალაუფლებისათვის გრძელდებოდა და შერიფ ჯაფელმა 1810 წელს შეძლო ახალ-ციხის საფაშოს გამგებლის თანამდებობის დაბრუნება და ორი წლის განმავლობაში მართავდა. 1812-1815 წლებში სე-ლიმ ხიმშიაშვილი მეორედ იყო ახალციხის საფაშოს გამგე-ბელი.

ამრიგად, სელიმ ხიმშიაშვილი დაახლოებით 9 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ახალციხის საფაშოს გამგებ-ლად. ამ ხნის განმავლობაში გამოვლინდა მისი ქართული ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება და პოლიტიკური ორიენტაცია. მართალია, სელიმ ხიმშიაშვილი ფორმალურად, კი. გარეგნულად ოსმალეთის სულთნის ერთგული რჩებოდა, მაგრამ პრაქტიკულად, თავისი შინაგანი მრწამსით ქართველ

ხალხს თანაუგრძნობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა-ში.

ამის დასტურია სელიმ ხიმშიაშვილის მიმოწერები გენე-რალ პავლე ციციანოვთან, იმერეთის მეფე სოლომონ მე-რექსთან, ურთიერთობა ერეკლე მეორესთან, ნათესაური კავ-შირის დამყარება გურიის მთავარ სვიმონთან და ა.შ. სელიმ ხიმშიაშვილის სწრაფვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან „გამოხსნისათვის“ ყველაზე მკა-ფიოდ გამოვლინდა რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომის დროს. 1807 წლის საბრძოლო ოპერაციების დროს იგი პასი-ურობდა, რითაც ხელს უწყობდა რუსების გამარჯვებას. 1809 წელს საიდუმლო მოლაპარაკება გაიმართა კავკასიის მთა-ვარმართებლის ტორმასოვის წარმომადგენელ მაიორ ჯორაშ-ვილსა და სელიმ ხიმშიაშვილს შორის.

შეთანხმდნენ, რომ სელიმ ხიმშიაშვილი აქტიურად იბ-რძოლებდა ოსმალთა წინააღმდეგ სამხრეთ საქართველოს „გამოხსნისათვის“. რუსეთის მხარე სელიმს შეპირდა მფარ-ველობაში მიღება, ფაშობის შენარჩუნება მემკვიდრეობის უფლებით, ახალციხის საფაშოსათვის ავტონომიის სტატუ-სის მინიჭება, სამეგრელოსა და გურიის სამთავროების მსგავსად. სელიმ ხიმშიაშვილს მიანიჭებდნენ რუსეთის გენე-რალ-ლეიტენანტის წოდებას (აქტები, ტ. II, გვ. 782). რუსე-თის მხარის შეპირებაში კიდევ მეტად დარწმუნებისათვის სელიმ ხიმშიაშვილმა თავისი სპეციალური წარმომადგენელი მიავლინა თბილისში კავკასიის მთავარმართებელთან მოსა-ლაპარაკებლად. ამის თაობაზე ტორმასოვი 1809 წლის 10 ივ-ლისს გრაფ რუმიანცევს მოახსენებდა: სელიმ ფაშა ახალცი-ხელმა ჩვენთან მოავლინა თავისი წარმომადგენელი მეგობ-რობისა და კეთილი თანხმობის ნიშნად (აქტები, ტ. IV, გვ. 203).

რუსეთის მხარესთან მოლაპარაკება გაჭიანურდა. ამას-თან, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების ეჭვი სელიმ

ხიმშიაშვილის ერთგულების შესახებ გაიზარდა. იმპერიის მაღალი რანგის მოხელეებს შორის გაჩაღებული ბრძოლის, სულთნის ცენტრალური ხელისუფლებისადმი ურჩობის გამო სელიმ ხიმშიაშვილი სიცოცხლეს გამოასალმეს. 1815 წლის ივნისში არზრუმის სერასქირის იბრაიმ ბაბა-ფაშა ფეხლევანის მრავალრიცხვან ლაშქარსა და სელიმ ხიმშიაშვილის მებრძოლებს შორის ხიხანის ციხეში გამართული ბრძოლის შედეგად იგი დამარცხდა. 1815 წლის 31 მაისს სელიმ ხიმშიაშვილი შეიძყრეს, სოფელ ბაკოში ჩამოიყანეს და „სერიფანაში“ 3 ივნისს თავი მოჰკვეთეს (სურგულაძე, 1986: 82-83).

სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ სამხრეთ-დასავალეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მისი მემკვიდრეები: ვაჟიშვილები ახმედი, აბდი, ფარხადი, დურსუნი, ხუსეინი და ასული ქეხანი. ეს უკანასკნელი ცოლად პყავდა ფოცხოვის ფაშას, გვარად ჯაედლს. მამის სიცოცხლის ტრაგიკულად დასრულების შემდეგ სელიმ ხიმშიაშვილის ოჯახის წევრები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ახმედმა და აბდიმ თავშესაფარი ნახეს მამია გურიელთან, ხოლო ოჯახის დანარჩენი წევრები ახალციხეში პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

გურიის სამთავროში ახმედისა და აბდის თავის შეფარება შემთხვევითი არ ყოფილა. გურიელები ხიმშიაშვილების მოყვრები იყენენ. ს. ხიმშიაშვილმა სვიმონ გურიელის ასული კესარია ჯერ კი დევ 5 წლის ასაკში დანიშნა თავის შვილ აბდიზე, მათ შვილებიც შეეძინათ. ამის მიუხედავად მამია გურიელი ახმედისა და აბდის თავშეფარებისათვის ნებართვას თხოვდა კავკასიის რუსულ მართველობას. ამის თაობაზე გენერალი რტიშჩევი 1815 წლის 27 ივნისს მამია გურიელს სწერდა: წინააღმდეგი არ ვარ შეიფარო სელიმ ხიმშიაშვილის შვილები ახმედი და აბდი (აქტები, ტ. VIII, გვ. 513).

ოსმალეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ხელიმ ხიმ-შიაშვილების შვილების შემორიგება გადაწყვიტა, რადგან მათი რუსეთის მფარველობაში ყოფნა იმპერიისათვის სახი-ფათოდ მიიჩნიეს. რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკე-ბის შედეგად სელიმ ხიმშიაშვილის შვილები სტამბოლში წაიყვანეს, დაშოშმინება დაუწეუს და ამის შედეგად სამ-ხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციებში სამოხელეო თანამდებობებზე დანიშნეს. კონკრეტულად, ახმედ ხიმშიაშ-ვილი დანიშნეს აჭარისა და არტანუჯის გამგებლად, აბდი – შავშეთ-იმერხევის, ფარხადი – ახალქალაქის, დურსუნი – ტაოსკარის, ხუსეინი – ფანაგის. აქედან იწყება სელიმ ხიმ-შიაშვილების მემკვიდრეობის აქტიური საზოგადოებრივ-პო-ლიტიკური საქმიანობა. მაგრამ აჭარელი ხიმშიაშვილების, კერძოდ, სელიმის მემკვიდრეების ერთმნიშვნელოვნად შეფა-სება შეუძლებელია. მათი ნაწილი ბოლომდე დარჩა ქართუ-ლი ორიენტაციის, ფარულად თუ აშპარად იბრძოდა სამ-ხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნისა და დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნე-ბისათვის. მეორე ნაწილი, მართალია, მტკიცნეულად აღიქვამ-და სელიმის (მამისა თუ პაპის) სიცოცხლის ტრაგიკულ აღ-სასრულს, მაგრამ ერთგულად ემსახურებოდა ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას.

ამ მხრივ გამოირჩეოდა ახმედ ხიმშიაშვილი (1781-1836 წწ.), რომელიც 1816 წლიდან აჭარასა და არტანუჯს მართავ-და. 1821 წელს ახალციხის საფაშოს გამგებლის მოადგილედ (მუსელიმი) დანიშნეს. მისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კუთხით დადგ-ბითი მომენტებიც შესამჩნევია. მაგალითად, 1816 და 1818 წლებში ანტიოსმალურ გამოსვლებსაც აწყობდა. მაგრამ შემ-დგომში, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ოსმა-ლეთის ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის გამტა-რებლად გვევლინება, რისი წყალობითაც სამხრეთ-დასავ-

ლეთ საქართველოში მაღალ სამოხელეო კარიერას მიაღწია
და უმსხვილესი მიწათმფლობელიც გახდა. 1828-1829 წლებში
ა. ხიმშიაშვილი ახალციხის საფაშოს გამგებლად დააწინაუ-
რეს და ორთულიანი ფაშის ტიტულიც მიანიჭეს. სამცხე-ჯა-
ვახეთის რუსეთის მფლობელობაში გადასვლის შემდეგ ა.-
ხიმშიაშვილი ყარსის ეიალეთის გამგებელია, ხოლო 1834
ზელს არზრუმის საფაშოს ვალად (გუბერნატორად) გადაიყ-
ვანეს და სერასკირის წოდებაც უბოძეს.

ახმედ ხიმშიაშვილის პროოსმალური საქმიანობა არაერ-
თხელ დადასტურდა. ოსმალეთის სულთნის დავალებით იგი
აწყობდა საქართველოს საზღვრისპირა ხოფლების დარბე-
ვას, ახმობდა სახალხო გამოხვლებს, რომელიც მიმართული
იყო ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. 1819 წლის 9 აპრილს
შეიარაღებული რაზმი ა. ხიმშიაშვილის მეთაურობით თავს
დაესხა გურიის ხოფელ ასკანას, საშინლად დაარბია, თავ-
დამსხმელებმა დაიტაცეს დიდხალი ქონება და ტყველ აიგვა-
ნეს ქართველები. მამია გურიიდი თავისი შეიარაღებული
რაზმით გზაზე დაეწია მომხდურებს. ბრძოლის შედეგად და-
იღუპა ა. ხიმშიაშვილის 34 მოლაშქრე, ხოლო 87 ტყველ ჩა-
ვარდა. დაიბრუნეს დატაცებული ნადავლი და გაათავისუფ-
ლეს ტყვეები. ამის შესახებ მამია გურიიდმა 1819 წლის 2
მაისს აცნობა გენერალ ერმოლოვს (აქტები, ტ. VI, გვ. 669).

ოსმალეთის სულთნის ბრძანებით ახმედ ხიმშიაშვილმა
1819-1820 წლებში დაარბია ლიგანა და ლაზეთი. საქე ის
არის, რომ ლიგანის ბეგი ალი ჯაფელი ოსმალეთის სულ-
თანს აღარ ემორჩილებოდა, ურჩობდა, რითაც ამ კუთხეში
მღელვარების ნაპერწალს აღვივებდა. ოსმალეთის სულთნი-
სადმი ერთგულების დადასტურებისათვის ახმედ ხიმშიაშ-
ვილმა შეიარაღებული რაზმით შევიდა ლიგანაში, ააოხრა
კუთხე, გადაწვა ალი ჯაფელის სახლ-კარმიდამო, რის შედე-
გად განადგურდა ჯაფელების საგვარეულოს მიწათმფლობე-

ლობის და სხვა ქართული საბუთები. ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონება (ყაზბეგი, 1876:89).

ახმედ ხიმშიაშვილის, როგორც ოსმალეთის სულთნის მოხელის, სისახტიკე გამოვლინდა ლაზეთის ქვეყნის დარბევისას. ნიშანდობლივია, რომ ლაზები არაერთხელ გამოვიდნენ ოსმალეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1819-1820 წლებში ლაზეთში სახალხო მღელვარების ძირითადი მიზეზი იყო მძიმე გადასახადები, აღგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური შევიწროვება. ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების ბრძანებით ლაზების აჯანყების ჩასაქრობად აჭარიდან დაიძრა ლაშქარი, რომელსაც მეთაურობდა ახმედ ხიმშიაშვილი, ხოლო ბორჩხისა და ჩხალის ხეობიდან შევიდა ტრაპიზონელი ოსმან-ფაშას ლაშქარი. ლაზეთი ნაცრად და ფერფლად აქციეს. ახმედ ხიმშიაშვილის მოლაშქრეები ლაზების ქვეყანაში ექვსი თვის განმავლობაში დარჩნენ და ულმობლად აწიოკებდნენ მოსახლეობას. გიორგი ყაზბეგის შეფასებით, აჭარლებმა (ახმედ ხიმშიაშვილის ლაშქარი) ლაზისტანში ის გააკეთეს, რაც თურქებს არ გაუკეთებიათ (ყაზბეგი, 1876:109).

რუსეთ-თურქეთის 1828 წლების ომის დროს აჭარელი ხიმშიაშვილები ოსმალეთის მხარეს იბრძოდნენ. ახმედის მმა ფარხადი ახალქალაქის ბრძოლის დროს დაიღუპა 1828 წელს. ახმედმა 20 ათასი მოლაშქრე გამოიყვანა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, მონაწილეობდა ახალციხის, აწყურის, სოფელ წურწყამის საბრძოლო ოპერაციებში. იგი დამარცხდა და აჭარაში გადმოვიდა.

რუსეთის არმიის კავკასიის სარდლობა შეეცადა ახმედ ხიმშიაშვილის გადმობირებას. კავკასიის მთავარმართებლის ივანე პასკევიჩის დავალებით მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალი ვასილ ბებუთოვი. მისი შეცვლის შემდეგ – გენერალი ოსტენ-საკენი. რუსეთის მხარე ახმედ-ფაშას შეპირდა გენერალ-მაიორის წოდების მინიჭებას და სხვა პრივილეგი-

ებს. ახმედ ხიმშიაშვილი მერყეობდა, საბოლოოდ პროსმა-ლური ორიენტაცია აირჩია. ი. პასკევიჩი 1829 წლის 13 აგვისტოს პატაკში იუწყებოდა: ჩემი დავალებით გენერალმა ოსტენ-საკენმა ახმედ ფაშასთან მიავლინა რუსი ოფიცერი, მაგრამ მოლაპარაკება გაჭიანურდა. რუსეთის მხარემ 14 დღის შემდეგ მიიღო ახმედ ხიმშიაშვილის პასუხი, რომელშიც ნათქვამია: ქვემო აჭარის მოსახლეობა რუსეთთან შეერთების წინააღმდეგია. გენერალმა ოსტენ-საკენმა ახმედ ხიმშიაშვილის საბოლოო პასუხისათვის 4 დღე დაუდგინა. თუ არ გამოცხადდებოდა ახმედი, ან მძველად არ გამოაგზავნიდა შვილს, რუსეთის ჯარი დაიძრებოდა ზემო აჭარის წინააღმდეგ (აქტები, ტ. VII, გვ. 816).

მართლაც, 1829 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარმა დაიკავა ზემო აჭარის რეზიდენცია (ხულო), გადაწვა ახმედ ხიმშიაშვილის სახლ-კარი; ორი დღის შემდეგ უკან გაბრუნდა, მაგრამ ახმედ ხიმშიაშვილის მეთაურობით აჭარლებმა ცეცხლი გაუხსნეს და დიდი ზიანი მიაყენეს. ამრიგად, ახმედ ხიმშიაშვილის მერყეობის, გაუბედავობის გამო აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან „გამოსხნის“ შანსი ხელიდან გაუშვეს.

ახმედ ხიმშიაშვილის მმართველობის დროს აჭარაში ძლიერდება მოსახლეობის ისლამიზაცია. მის სახელს უკავშირდება ხულოს ეპლესის დანგრევა, რომელიც სხალთის ეპლესიაზე უკეთესი ყოფილა. ახმედ ხიმშიაშვილის ინიციატივით ააგეს ხულოს მეჩეთი, რომელზედაც გამოიყენეს დანგრეული ეპლესის თლილი ქვები, ჩუქურთმებით შეამკეს. მეჩეთთან წყლის აუზიც ააშენეს (ბაქრაძე, 1985:60).

აჭარელი ხიმშიაშვილები ახმედ-ფაშას მმართველობის დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უმსხვილესი მემამულეები იყვნენ. ახმედ-ფაშას საკუთრებაში იყო 8681 დესტრინა ადგილ-მამული. აქედან 5834 დესტრინა მდებარეობდა აჭარაში, ხოლო 2847 დესტრინა – არტაანის სანჯაყში. ამადგილ-მამულში შედიოდა სახნავ-სათენი, სათიბ-საძოვრები,

მდელოები და ტყის მასივები. ახმედ ხიმშიაშვილმა თავისი მიწების მოსახლეობის მიერ სარგებლობისათვის საკუთარი გადასახადები შემოიღო. მას ექუთვნოდა აგრეთვე სავაუუფო სოფლები (ალმე, დიდაჭარა, ღორჯომი და პაქსაძეები), რომლებიც ხელოს მეჩეთს 1829 წელს შესწირა (თურმანიძე, 2009:127, 132). ამრიგად, ახმედ ხიმშიაშვილი ქართული ორიენტაციის ერთგული ბოლომდე ვერ დარჩა. ოსმალეთის სულთნისადმი ერთგული სამსახურის შედეგად საკმაოდ მაღალ სამოხელეო ქარიერას მიაღწია და უმსხვილესი მემამულე გახდა.

ახმედისაგან განსხვავებით აბდი ხიმშიაშვილმა (1783-1859 წწ.) ბოლომდე შეინარჩუნა ქართული ორიენტაცია. იგი შავშეთში დასახლდა, ადგილ-მამული შეიძინა აქაური ჯაყელებისაგან. საქართველოს სიყვარულით ცხოვრობდა, რაც არაერთხელ გამოვლინდა ქართულ სამეფო-სამთავროებთან პირადი ურთიერთობისა და რუსეთ-თურქეთის ომების დროს. რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის დროს აბდი ხიმშიაშვილი ოსმალეთის ერთ-ერთ სამხედრო შენაერთს მეთაურობდა, მონაწილეობდა არაერთ საბრძოლო ოპერაციაში. მაგრამ იგი აქტიურობას არ იჩენდა. ფაქტობრივად, რუსეთის არმიას ხელს უწყობდა საბრძოლო წარმატებებში. ამდენად, აბდი ხიმშიაშვილმა თავისი ტაქტიკური ქმედებით გარკვეული წვლილი შეიტანა რუსეთის გამარჯვებაში.

აბდი ხიმშიაშვილის ანტიოსმალური ქმედება აშკარად გამოვლინდა ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.). იგი ოსმალეთის არმიას სარდლობდა და ნაბრძანები ჰქონდა შეტევა განევითარებინა თბილისისა და ბათუმის მიმართულებით. აბდი ხიმშიაშვილმა ცენტრალური სარდლობის ბრძანება შეგნებულად არ განახორციელა. მისი ქმედება სამხედრო ოპერაციების დროს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის უურადღების არეალში აღმოჩნდა. კ. მარქსი სტატიაში „აღმოსავლეთის ომი“ წერდა: საომარ ოპერაციებს ყარსისა და ახალცი-

ხის მხარეებში ოურქეთის მხედართმთავარი აბდი-ფაშა ხელ-მძღვანელობს. იგი ან გამყიდველი იყო ან სულელი. შემდეგ გაიწვიეს და ყარსში დაპატიმრეს.

ფ. ენგელსი 1853 წლის 25 ნოემბერს წერდა: აბდი ხიმში-აშვილს თურქეთის სულთანმა ბრალდებები წაუყენა, მოდა-ლატედ შერაცხეს და გაიწვიეს. იგი იყო თურქეთის ერთა-დერთი გენერალი, რომელიც რუსებს საშუალებას აძლევდა გამარჯვება მოეპოვებინათ ადგილობრივ ბრძოლებში. ფ. ენ-გელსის მიხედვით აბდი ხიმშიაშვილმა მის დაქვემდებარება-ში მყოფი ჯარი გააბნია ბაიაზეთსა და ბათუმს შორის, საბ-რძოლო ოპერაციებში არ განავითარა თბილისისა და ბათუ-მის მიმართულებით.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხიმშიაშვილები ხელ-მძღვანელობდნენ არაერთ სახალხო მოძრაობას სამხრეთ-და-სავლეთ საქართველოში. მაგალითად, 1844 წლის აჯანყებას შავშეთ-იმერხევებში აბდი ხიმშიაშვილის ვაჟი შვილი სელიმი მეთაურობდა. იგი მაშინ 15 წლისა ყოფილა. ცხადია, მის გვერდით იდგა სელიმის მამა აბდი ხიმშიაშვილი. მაშინ შავ-შელებმა 10 ათასიანი შეარაღებული რაზმი გამოიყვანეს ოს-მალეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. მართალია, აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ აბდი ხიმშიაშვილი და მისი მემკვიდრეები შეური-გებელნი იყვნენ თხმალეთის კოლონიური პოლიტიკის მი-მართ და მოსახლეობის მხარდაჭერაც ჰქონდათ.

აჭარაში 1843-1844 წლების სახალხო გამოსვლას ქვემო აჭარის მმართველი ხუსეინ სელიმის ძე ხიმშიაშვილი მეთაუ-რობდა (ქორ ხუსეინი). აჯანყებაში ხუთი ათასამდე კაცი მო-ნაწილეობდა. მოსახლეობა აჯანყდა გადასახადების დამბიმე-ბისა და ოსმალეთის ჯარში ახალგაზრდების გაწვევასთან დაკავშირებით. აჯანყებულებს თანაუგრძნობდა ახმედ ხიმში-აშვილის ქვრივი – დუდი ბექანიძე, რომელიც მაშინ ზემო აჭარის მმართველი იყო. ხუსეინ ხიმშიაშვილის წინამძღო-

ლობით აჯანყებულებმა მოიგერიეს ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი ჭყონია-ფაშას შეიარაღებული რაზმის შემოტევა. ჭყონია-ფაშის დაშქრის დამარცხებისა და განდევნის შემდეგ სულთნის მიერ გამოგზავნა კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმი, რომელსაც სისასტიკით განთქმული ქეი-ოფლი მეთაურობდა. მან საშინლად ააოხრა აჭარა, ხოლო ხუსეინ ხიმშიაშვილი შეიძყრეს და სტამბოლში მოკლეს.

ამრიგად, ხიმშიაშვილების წელილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო. მათი ბრძოლა ოსმალეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ქართული ორიენტაცია რამდენადმე ხელს უწყობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნისა და დედასამშობლოსთან დაბრუნების საქმეს.

ლიტერატურა:

აქტები – Акты собранные кавказского археографической комиссии, тт. III, IV, VI, VII, VIII;

ბაქრაძე, 1985: – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი;

ჯზბეგი, 1876: – Казбек Г., Три месяца в турецкой Грузии. Записки кавказского отдела императорского русского географического общества, книжка X, выпуск первый. Тифлис;

თურმანიძე, 2009: – თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობა და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1876-1928 წწ.), ბათუმი;

სურგულაძე, 1986: – სურგულაძე ა., სელიმ ხიმშიაშვილი. ბათუმი,,

Otar Turmanidze

**Socio-political activities of Khimshishvili in South-Western Georgia
in the first half of XIX century**

Summary

The article discusses socio-political activities of Khimshishvili in South-Western Georgia in the first half of XIX century. After tragic death of Selim Khimshiashvili, his sons Akhmed, Abdi, Phardikh, Dursun and Huseyn continued his work. Among them featured was Akhmed Khimshiashvili, who after Akhaltsikhe Kingdom, in 1828-1829 was the governor of Kars and Arzrum governorates (vilayet).

In the fight against Ottoman colonial domination, from the heirs of Selim especially active were Abdi and Huseyn Khimshiashvili. Their merit is clearly revealed in the 1843-1844 rebellion, and in the Crimean War (1853-1856).

By their actions they contributed to the weakening of the Ottoman Empire and the south-west Georgia „rescue~ from the Ottoman domination.

მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი)
სტამბოლის ქართველთა სათვისტო
წარმომადგენელი (თურქეთი)

სიმამართულის გვარის ისტორიიდან

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

თურქეთში მცხოვრები ხიმშიაშვილების სახელით, ერთხელ კიდევ მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – ისტორიულ სამცხე-საათაბაგოში – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის, **დიდი სელიმ ხიმშიაშვილის** გარდაცვალებიდან 200 წლის აღსანიშნავად, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, გაწეული საქმიანობისათვის. ასე დიდებულად, ასეთი სიყვარულით გამობარი შეხვედრები აჭარაში აქამდე არ ჩატარებულა. როგორც ჩანს, საზოგადოება აკვირდებოდა დიდი სელიმის ხსოვნის გამდლეობას.

200 წლის მანძილზე დრო-ჟამის ცვლამ, წუთისოფლის ბორბლის ტრიალმა ყველა დაარწმუნა, რომ სამშობლოსათვის თავდადებული, მისი ერთიანობისათვის თავშეწირული გმირის ხსოვნა უკვდავია; მისი სახელი ხალხის გულშია სათუთად შენახული და მას დრო-ჟამის ტრიალი ვერ წაშლის. უკვდავთან სიკვდილი უძლურია, რადგან ამ ხსოვნის მატარებელი ქართველი ხალხია უკვდავი და ფერუცვლელი. ქართული სისხლის ყივილი თაობიდან თაობაში გადადის და უკვდაგეოფას სამშობლოსათვის თავდადებული გმირის – **დიდი სელიმ ხიმშიაშვილის** სახელს.

ვინმე უცხოელი შეიძლება იკითხავს: რა გააკეთა ამ კაცმა ისეთი, რომ სიკვდილიდან 200 წლის შემდეგაც სიყვარულით იხსენებენ და უკვდაგეოფას მის სახელს. პასუხი

მოკლეა და გასაგები: მან თავი შესწირა საქართველოს ერთოანობისათვის ბრძოლას, მშობელი ხალხის თავისუფლებისაკენ სწრაფვას. მან, სამშობლოს სიყვარულით გულანთვებულმა ვაჟაპატარი, სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა საქართველოს დაჭრილი სხეულის გაერთიანების საქმეს, მის ნათელ მომავალს. მას შეეძლო ამაყად წარმოეთქვა გიორგი ლეონიძის სიტყვები: „**სიცოცხლეს ვერვის დავესესხები, თუ სამშობლოსგან გავიწირებიო**“. მართლაც, ამ თავშეწირვით მან უკვდავება, უკვდავი სიცოცხლე მოიპოვა ქართველი ხალხის გულში.

თაობები მოდიან და მიდიან. საუკუნეთა ჭიდილში ზოგი გვარი გადაშენდა, ზოგიც გადაშენების პირასაა. ხიმშიაშვილების გვარი დიდი სელიმის სახელმა, მისმა თავდადებამ უკვდავყო.

ისტორიკოსები ბევრს წერენ ამ გვარის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ. ჩვენ, თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა, ჩვენი წინაპრების ნაამბობიდან მომდინარე ვიცით, რომ ეს ძირძველი ქართული გვარი – **ხიმშიაშვილი** – მომდინარეობს მამაკაცის სახელიდან „ხიმშია“. ბევრმა იცის, ვინ იყო **ხიმშია ზედგინიძე**. ჩვენ ვიზიარებთ იოანე ბაგრატიონის მოსაზრებას. იგი სამართლიანად წერს, რომ „**ხიმშიაშვილები იყვნენ აჭარის თავადები**. ოსმალეთის ბატონობის დროს ხიმშიაშვილების ერთი ნაწილი აჭარიდან გადასახლდნენ ქართლსა და კახეთში. კერძოდ, 1605 წელს, ლეონ მეფის დროს, ხიმშიაშვილთა რამდენიმე ოჯახი „საგურამოს თავს, საკნაგორაიას დაესახლნენ“.

ქართლ-კახეთში განსახლებულ ხიმშიაშვილებსაც თავიანთი საქმიანობით სასახელო ფურცლები ჩაუწერიათ საქართველოს ისტორიაში. მათ შორის აღსანიშნავია:

ნიკოლოზ ხიმშიაშვილი – საქართველოს უკანასკნელი დედოფლის – მარიამის მხლებელი, რომელმაც 1803 მოკლა

რუსი გენერალი ლაზარევი და ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი;

გიორგი ხიმშიაშვილი – საქართველოს დამოუკიდებლობას შეეწირა; იგი 1923 წელს დახვრიტეს.

ნიკოლოზ ხიმშიაშვილი – ილია ჭავჭავაძის მეგობარი. მან დამოუკიდებლად დაიწყო ილიას მკვლელობის გამოძიება და 1909 წელს ვერაგულად მოკლეს.

გორგ ხიმშიაშვილი – 1942 წელს დახვრიტეს, შეოქმულებაში მონაწილეობისათვის.

ქართლ-კახეთის ხიმშიაშვილებიდან ბევრი გაჰყვა მეცნიერებას, ბევრიც – მწერლობას. მათ შორის აღსანიშნავია: **ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილები** – გეოგრაფია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორები.

მწერალი ქალბატონი გახლავთ დოდო ხიმშიაშვილი.

აჭარაში დარჩენილი ხიმშიაშვილების შესახებ ისტორიული ცნობები მოიპოვება XVIII საუკუნის ბოლოდან. **აბდულ ხიმშიაშვილი** იყო აზნაური – ადა, დიდი სელიმის მამა; სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის ორი ვაჟი – ახმედი და პუსეინი, მამის მსგავსად, ფაშის წოდებას ატარებდნენ. ახმედმა დიდი როლი შეასრულა სამცხე-ჯავახეთის, არტაან-ჩილდირის საქართველოსთან დაბრუნების საქმეში 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. **პუსეინი**, მართალია, ფაშის ტიტულს ატარებდა, მაგრამ, ამასთანავე, ხელმძღვანელობდა აჭარაში გაჩადებულ აჯანყებას 1844 წელს. იგი სასტიკად დაისაჯა ამის გამო. ჯერ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ შეიწყნარეს და კუნძულ კრეტაზე გადასახლება დაუპირეს, მაგრამ კრეტაზე გადასახლებამდე, 1847 წელს გარდაიცვალა და სტამბოლშია დაკრძალული. **ახმედი** კი, როგორც ცნობილია, ეზრუბში მოწამლეს ბაბა-ფაშას მომხრეებმა და იქვეა დაკრძალული. ესე იგი, **სელიმ ფაშის ორივე ვაჟიშვილი** – **ახმედი** და **პუსეინი** – მამის (სელიმის) მსგავსად, სამშობლოს ინტერესებს შეეწირა.

სელიმის ორ შვილს – შავშეთის გამგებელს აბდის და ტაოსკარის გამგებელს დურსუნს – ბეგის წოდება ჰქონდათ. მათი შთამომავლები იყვნენ დიდი მეცნიერის ექვთიმე თავა-იშვილის მასპინძლები ისტორიულ ტაოში.

რუსეთის იმპერიის სამეფო კარი, როგორც ცნობილია, ოსმალეთის სამეფო კარის მსგავსად, პატივს სცემდა ხიმში-აშვილებს. აჭარელმა ხიმშიაშვილებმა რუსეთის სამეფო კა-რისაგან მიიღეს „რუსეთის უგანათლებულები თავადის წო-დება“; შავშეთელ ხიმშიაშვილებს კი ერგოთ რუსეთის თავა-დის წოდება.

როგორც ცნობილია, ხიმშიაშვილები ახლოს იყვნენ ქარ-თლ-კახეთის სამეფო კართანაც. სელიმ ხიმშიაშვილს ურთი-ერთობა ჰქონდა მეფე ერეკლესთან, გიორგი მეთორმეტესთან, იმერეთის მეფეებთან – სოლომონ პირველთან და სოლომონ მეორესთან; მოყვრობა ჰქონდა სვიმონ გურიელთან (სელიმის ვაჟი აბდი და სვიმონის ქალიშვილი კესარია მეუღლები იყ-ვნენ). სელიმი მფარველობდა ერეკლე მეფის ვაჟს ალექსან-დრე ბატონიშვილს, რომელსაც სურდა რუსეთისგან გამოეხ-სნა ქართლ-კახეთის სამეფო.

თუ გადავხედავთ ხიმშიაშვილების ისტორიას, დაგინა-ხავთ, რომ ეს გვარი საქმაოდ დაწინაურებული, საპატიო გვარი იყო. ამ გვარის შვილებს ბევრი სასახელო საქმე გაუ-კეთებიათ საქართველოს ნათელი მომავლისთვის ბრძოლის საქმეში; თავგანწირულნიც ყოფილან ამ გვარის შვილები.

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ხიმშიაშვილებიც სასახელონი არიან, მოდგაწოდებნ სხვადასხვა სფეროში. არიან ექიმები, მასწავლებლები, სამხედრო პირები, საჯარო სამსახურის თანამშრომლები, ინჟინრები და სხვ. ყველანი თურქეთის რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქის სახელს ატარებენ. ბევრმა მიიღო ორმაგი მოქალაქეობის ნებართვა და საქართველოს მოქალაქეც გახდა.

დიდი სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნის 200 წლისთავზე ქალაქ ბათუმში დაიდგა ამ სახელოვანი მამულიშვილის ძეგლი; შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში გაიხსნა სელიმ ხიმშიაშვილის აუდიტორია. მე, როგორც ამ გვარის მატარებელი რიგითი ქართველი, მადლობას მოვახსენებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, შოთა რუსთაველის უნივერსიტეტს, მის სელმძღვანელს – რექტორს, ბატონ პროფესორ მერაბ ხალვაშს უნივერსიტეტში ამ დღეების ასე სასახლოდ წარმოჩენისათვის. მადლობა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს, სტუდენტობას სელიმ ხიმშიაშვილის ღვაწლის დაფასებისათვის.

ჩვენც, თურქეთში მცხოვრები ხიმშიაშვილები, ვცდოლობთ, გარკვეული წვლილი შევიტანოთ დიდი წინაპრის დამსახურების წარმოჩენის საქმეში. პირადად მე შევეცდები, რომ თურქეთში ხიმშიაშვილების ოჯახებში შემონახული სამუზეუმო მასალები გამოვავლინო, შევაგროვო და გადავცე უნივერსიტეტის რექტორატს, უნივერსიტეტში სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმის მოსაწყობად. მჯერა, ეს მუზეუმი იქნება სტუდენტთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მნიშვნელოვანი კერა, სამშობლოს მოსიყვარულე ქართველების სამსულო.

სელიმ ხიმშიაშვილი ქართველი ხალხის საამაყო, სამაგალითო, მისაბაძი გმირია. იმედს გამოვთქვამ, რომ მისი საიუბილეო დღეები გაიმართება არა მხოლოდ აჭარაში, არამედ ამ თარიღს გამოეხმაურება სრულიად საქართველო და ჩვენ დედაქალაქშიც ვიზეიმებთ მისი ხსოვნის უკვდავყოფას, ჩვენი დედაქალაქიც გულში ჩაიკრავს მის უკვდავ სახელს.

საქართველოს პრეზიდენტს, რესპუბლიკის მთავრობას ვთხოვთ, ჩვენს დიდებულ წინაპარს, საქართველოს ერთიანობისათვის თავგანწირულ მამულიშვილს, სელიმ ხიმშიაშვილს ეწოდოს ეროვნული გმირის სახელი.

მადლობას მოგახსენებთ უკრადღებისათვის.

ოლეგ ჯიბაშვილი

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი

ხიმენიაშვილთა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები სამხრეთ-დასავლეთ სკანდინავიუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში

XIX საუკუნის დასაწყისისათვის აჭარა და სამხრეთ-და-სავლეთ საქართველოს სხვა კუთხეები ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში იყო მომწყველეული. „დიდებული მესხეთი“, ან როგორც დიდი ილია იტყოდა – „ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო“ – სხვათა მოდგმის ისტორიის სამჭედლოდ იყო ქცეული. თუმცა, აქაურ ქართველობას არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. XIX საუკუნის დასაწყისიდან ამ ბრძოლამ ახალი შინაარსი შეიძინა – ამიერკავკასიაში მყარად ჩამოდგა რუსეთის მზარდი იმპერია, რითაც ანტიოსმალურ ძალებს მეტი ლაგირების საშუალება მიეცათ.

აღნიშნული საუკუნის მთელ სიგრძეზე აჭარაში მიმდინარე ანტიოსმალურ ბრძოლებს, ძირითადად, ხიმშიაშვილთა საგვარეულო ედგა სათავეში. ხშირად ეს ბრძოლა და ხიმშიაშვილთა გავლენა აჭარის ფარგლებს გასცდებოდა ხოლმე და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებსაც მოიცავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის მოღვაწეობა.

სელიმ ხიმშიაშვილი XVIII საუკუნის მიწურულს გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე. ეს იყო საქმაოდ მძიმე დრო, რაც სელიმს რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მი-

დებასა და გამედული ნაბიჯების გადადგმას აიძულებდა. ასეთი ვითარების გამო მისი ქმედებები მოტივირებული იყო როგორც ზოგად-ეროვნული მისწრაფებებით, ისე ფეოდალური, საგვარეულო-კლანური ინტერესებით. თუმცა აქ გასაკვირი არაფერია – მოტივაციათა ასეთი სიმბიოზი საერთოდ იყო დამახასიათებელი იმდროინდელი ფეოდალური რეალობისათვის. მთავარი აქ ის არის, რომ, როგორც ამას სამართლიანად მიუთითებენ, „სამუსლიმანო საქართველოს“ ქართველ პოლიტიკოსთა შორის მან პირველმა ოფიციალურად უარყო სულთნისადმი მორჩილება და აშკარად შეეცადა აჭარისა და მთელი სამცხე-საათაბაგოს ოსმალთაგან გათავისუფლებას. ამ ურთულეს საქმეში სელიმ ხიმშიაშვილი საუკეთესო მოკავშირეს ოსმალთაგან დაუპყრობელ ქართულ სამეფო-სამთავროებში ხედავდა.

ჯერ კიდევ 1790-იან წლებში იგი კავშირს ამყარებს ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეებთან, ხოლო 1800-იანი წლების დასაწყისში უმოყვრდება გურიის მთავარ სვიმონ გურიელს – სელიმის ერთ-ერთ მცირეწლოვან ვაჟს, აბდის, უნიშნავენ სვიმონის ხუთი წლის ქალს – კესარიას. თავის-თავად ცხადია, რომ ეს დამოყვრება პოლიტიკური ხასიათის იყო და კავშირების განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

მალე სელიმ-ბეგმა ისარგებლა ახალციხის ფაშის შერიფ-ბეგ ჯაყელის პოლიტიკურად აწევილი მდგომარეობით, განდევნა იგი ახალციხიდან და ფაშობა თვითონ იგდო ხელთ. როგორც ცნობილია, სელიმი 1803-1809 და 1812-1815 წლებში ორჯერ იყო ამ მაღალ თანამდებობაზე. აღნიშნულ პერიოდში სელიმ-ფაშა კავშირს ამყარებს რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებთან და ამ გზით ცდილობს საკუთარი პოზიციების განმტკიცებას. იგი მზად არის მიიღოს რუსეთის ქვეყნებრდომობაც, სანაცვლოდ კი სურვილი აქვს ახალციხის საფაშოსათვის დააკანონოს ისეთივე უფლებრივი მდგომარე-

ობა, როგორიც იმ პერიოდში სამეგრელოს სამთავროს გააჩნდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში.

ოსმალეთის ქვეშევრდომობის რუსეთის ქვეშევრდომობით შეცვლა, რა თქმა უნდა, არ იყო დამოუკიდებლობის მოპოვება, მაგრამ, იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, ეს ცალსახოვნად და ერთმნიშვნელოვნად დადგებითი მოვლენა იქნებოდა.

რუსეთი ნელ-ნელა, ეტაპობრივად, მაგრამ შეუწერებლად ახორციელებდა ქართული პოლიტიკური ერთეულების დაპყრობა-მიერთების გეგმას. ეს პროცესი კი პერსპექტივაში გამოიწვევდა საქართველოს დაქსაქსული ნაწილების ერთ პოლიტიკურ სივრცეში თავმოყრას. რა თქმა უნდა, უმჯობესი იყო ასეთი შემცრებლის მისია რომელიმე ქართულ სამეფოს აეღო თავის თავზე და განეხორციელებინა, მაგრამ, რადგან ეს ასე არ მოხდა, ამ ეტაპზე უმჯობესი იყო ისევ რუსეთის ფარგლებში შეკრებილიყო ყველა ქართული მიწა, ვიდრე დარჩენილიყო იგი სხვადასხვა სახელმწიფოს შორის დანაწილებული. ცნობილია, რომ ამ პროცესს თვით ილია ჭავჭავაძეც კი მიესალმებოდა.

ვითარების გათვალისწინებით, გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქართველი ერის მომავლისათვის სელიმის გეგმების წარმატებული რეალიზება. ამ გზით საქართველოს უდიდესი ნაწილი უკვე XIX საუკუნის დასაწყისისათვის მოიყრიდა თავს ერთ პოლიტიკურ სივრცეში და უკვე ამ დროიდანვე დაიწყებოდა საუკუნეების განმავლობაში დაქუცმაცებული ქართველი ერის როგორც ფიზიკური, ისე სულიერი გაერთიანება. სხვათა შორის, არსებობს დიდი ალბათობა, რომ მუჭაჯირობის ტრაგედიაც თავიდან იქნებოდა აცილებული.

სამწუხაროდ, მოვლენები ასე არ განვითარდა. ამას თავისი მიზეზები გააჩნდა. მაგ. რუსეთის წარმომადგენლების მხრიდან ქართული ინტერესების ჯეროვანი გაუთვალისწი-

ნებლობა, სელიმ-ფაშასთან ურთიერთობისას პარალელურ რეჟიმში შერიც-ფაშასთან ურთიერთობა, გარკვეული ურთიერთუნდობლობის ფაქტორის არსებობა, იმერეთის სამეფოს გაუქმება და სხვ. ამას ზედ დაერთო 1812 წლის 16 მაისის ბუქარესტის ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რის შედეგადაც ამ ეტაპზე სელიმ-ფაშამ რუსეთისათვის აქტუალობა დაკარგა, რითაც კარგად ისარგებლა სულთნის ხელისუფლებამ და დამარტოხელებული აჭარის ურჩი წინამდლოლი სიკვდილით დასაჯა. ნიშანდობლივია სელიმის ცნობილი სიკვდილისწინა სიტყვები: „მე ჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს არ შერჩება, ამ ხსოვნას ჩემს შეიღებს დავუტოვებ“. მათში კარგად ჩანს ეროვნული სულისკვეთება და ანტიოსმალური განწყობილება.

სელიმის სიკვდილის შემდეგ, მისი ვაჟები აბდი და ახმედი მამია გურიელის ძალისხმევის შედეგად გურიაში გადაიყვანეს. აბდი ხიმშიაშვილი გურიელების სიდე იყო, ამდენად, მამია გურიელის აქტიურობის მიზეზი გასაგები და ნათელია.

მები ხიმშიაშვილები მამია გურიელის შუამდგომლობით მოლაპარაკებებში ჩაერთვნენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ცდილობდნენ მათი დახმარების მიღებას მამისეული მემკვიდრეობის დასაბრუნებლად. რადგან მოცემულ ეტაპზე რუსეთს ხელს არ აძლევდა მდგომარეობის გაუარესება ოსმალეთის იმპერიასთან, სელიმის ვაჟების ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა. მალე სულთნის ხელისუფლებამ ძმები შეირიგა და ისინი აჭარაში დააბრუნა.

სელიმ-ბეგის მემკვიდრეები იძულებული იყვნენ სულთნის სამსახურში ჩამდგარიყვნენ. თანდათან ისინი დაწინაურდნენ და ხიმშიაშვილების გავლენა აჭარის ფარგლებს კვლავ გასცდა. ახმედ-ბეგი აჭარასა და არტანუჯს განაგებდა, აბდი-ბეგი – შავშეთსა და სათლელს, მესამე მმა ჰუსეინი

დაეუფლა ბანას, ხოლო მეოთხე – დურსუნ-ბეგი – ტაოს-კარს.

1828-29 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი გაჩაღდა. ამ ომში ახმედ სიმშიაშვილმა რუსეთის წინა-აღმდეგ ბრძოლით გამოიჩინა თავი და სულთნისაგან ფაშას ტიტული დაიმსახურა. რუსეთის ხელისუფლება, მართალია, შეეცადა საერთო ენა გამოენახა სიმშიაშვლებთან და თავის მხარეზე გადაებირებინა ისინი, მაგრამ უნდობლობის ფაქტორმა, გურიის სამთავროს გაუქმებამ, ოსტენ-საკენისა და სხვათა დაუფიქრებელმა ქმედებებმა და სხვა მიზეზებმა ეს წამოწყება ჩაშალა. მიუხედავათ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილისა, თავი დაედწია ოსმალეთის საუკუნოვანი ბატონობისაგან, ამ ომის შედეგად აჭარის გამოხსნა არ მოხერხდა, თუმცა ამის შანსები არსებობდა. ადრიანოპოლის 1829 წლის 2 (14) სექტემბრის ზავით მხოლოდ სამცხისა და ჯავახეთის მიწები გადაეცა რუსეთს. აჭარის დანარჩენ საქართველოსთან გაერთიანება ამით რამდენიმე ათწლეულით დაგვიანდა. თუმცა, შეიძლება ამან აჭარა სამცხე-ჯავახეთის ხევდრისაგან იხსნა. ყველასათვის ცნობილია, რომ ქართულმა საზოგადოებრიობამ იმ ეტაპზე ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება და სომხურმა ნაციონალისტურმა წრეებმა რუსი მოხელეების ხელშეწყობით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური ჩანაცვლება განახორციელეს.

ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეები სულთნის ხელისუფლების გაძლიერებული ზეწლის ქვეშ აღმოჩნდა. რუსეთის წარმატებული სვლა მცირე აზიის სიღრმეში სტამბოლის შეშფოთებას იწვევდა. სასაზღვრო პერიმეტრის გახვრივ პოზიციების განმტკიცების მიზნით სულთნის ხელისუფლება გაძლიერებული ძალისხმევით ახორციელებდა ადგილობრივი ქართველობის საბოლოო ისლამიზაციისა და გათურქების პოლიტიკას. ამან ისედაც მძიმე ოსმალური

უდელი კიდევ უფრო დაამძიმა, რასაც, თავის მხრივ, ანტი-ოსმალური გაწყობილების გაძლიერება მოჰყვა. როდესაც 1877-1878 წლებში კიდევ ერთი მორიგი რუსულ-ოსმალური ომი გაჩაღდა, აღნიშნულმა განწყობილებამ აშკარად იჩინა თავი და ქართული კუთხეების ოსმალთაგან გამოხსნა საგრძნობლად გაადვილა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი კვლავ ხიმშიაშვილებმა ითამაშეს, განსაკუთრებით სელიმის შვილიშვილმა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ახმედ-ბეგისა და დუდი ხანუმ ბეჯანიძის შვილი იყო. იგი ლირსეული შემსრულებელი აღმოჩნდა სელიმ-ბეგის სიკვდილისწინა ანდერძისა და დიდი წვლილი შეიტანა ოსმალთა განდევნის საქმეში.

სხვათა შორის, შერიფ-ბეგთან, ჯერ კიდევ ომამდე ბევრად ადრე, აქტიური ურთიერთობა პქონდათ ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ ივანე კერქელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი და სხვები. ამ ურთიერთობებს ანტიოსმალური გამოსვლების მომზადების განზრახვა ედო საფუძვლად. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ქართველების სურვილი და რუსეთის ხელისუფლების დავალება ერთმანეთს დაემთხვა. ამ დროისათვის ქართული საზოგადოებაც აღარ იყო მთლად ისეთი მოუმზადებელი, როგორც 1828-1829 წლების ომის დროს. უპიკე აქტიურად იყო გამოსული სამოდვაწეო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე და მისი დასი, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზოგად-ქართული ეროვნული ცნობიერების აღმავლობის საქმეში.

ერთობლივი ძალისხმეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ოსმალების განდევნის საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. როდესაც ზემო აჭარიდან წამოსული რუსული რაზმი გენერალ ტრეიტერის მეთაურობით 1878 წლის 2 (14) სექტემბერს ბათუმში შემოვიდა, მას წინ მოუძღვდა ზემო აჭარისა და შავშეთ-იმერხევის მოსახლეობის დგპუტაცია შე-

რიც და ნური ხიმშიაშვილების მეთაურობით. შვილიშვილები მა დირსეულად აღასრულეს პაპის დანაბარები და „გურჯის-ტანი ოსმალეთს არ შეარჩინეს“. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ სათანადოდ შეაფასა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის დამსახურება, გენერლის წოდება მიანიჭა მას და წმინდა გიორგის ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა ა. ტოტოჩავამ, ბათუმი, 1988;
2. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი, 2009; III, ბათუმი, 2008;
3. სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაფანო, აფხაზეთი), ბათუმი, 1985;
4. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნებს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი, 1995;
5. ლომისაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლები-დან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბილისი, 1975;
6. სურგულაძე აბ., განმათვისუფლებელი მოძრაობის ისტორიდან აჭარაში, ბათუმი, 1978;
7. სურგულაძე აბ., სელიმ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 1986;
8. სურგულაძე აბ., სურმანიძე რ., სელიმ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2014;
9. ჭიჭინაძე ზ., ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი, ბათუმი, 1911;
10. ხიმშიაშვილები (წყაროები, ლიტერატურა, პუბლიკაციები), გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და საძიებელი დაურთო იოსებ ხიმშიაშვილმა, წიგ. I, ბათუმი, 2003.

Oleg Jibashvili

The Khimshiashvilis' Foreign Relations in the Years of the Fight for the Freedom of South-west Georgia

Summary

At the beginning of XIX century Adjara and the other regions of South-west Georgia were a part of the Ottoman Empire. However, it must be emphasized that the Georgians from those regions never ceased the fight for the national independence.

In the course of XIX century, the Khimshiashvilis headed the struggle against the Ottomans. Often this struggle and the Khimshiashvilis' influence exceeded the territory of Adjara and covered the other regions of South-west Georgia. We would like to pay special attention to the activities of Selim-Beg Khimshiashvili (the beginning of XIX century).

The family and national interests together made Selim-Beg Khimshiashvili the leader of the anti-Turkish struggle. He tried to liberate south-west Georgia from the Ottoman supremacy and incorporate it with the rest of Georgia under the rule of the Russian Empire. For that reason, he actively cooperated with the political forces of Christian Georgia and the Russian Empire. In the Struggle Selim Khimshiashvili was defeated, but he willed to his descendants to accomplish the great deed.

Indeed, the children and the grandchildren of Selim Khimshiashvili in the alliance with the Russian Power and the Georgian Society played a great role in the liberation of Adjara and the other Georgian regions from the Ottoman rule.

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის ქოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორიის მუზეუმისათვის დოქტორი, პროფესორი

შერიფ ხიმშიაშვილი – საქართველოს ერთიანობის მემკონილი

შერიფ ხიმშიაშვილის ეროვნულ-პატრიოტული სულის-კვეთება ოჯახსა და მშობლიურ გარემოში ჩამოყალიბდა. მის ბავშვობაში ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ წინაპართა (მათ შორის, პაპის – სელიმ ხიმშიაშვილის) თანამებრძოლები. ისინი გატაცებით ყვებოდნენ თავიანთ გარდასულ დღეთა საგმირო საქმეებზე, რასაც შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა მოზარდის სულიერ განწყობილებაზე, მისი ხასიათის ფორმირებაზე. ამას დაემატა მამის, ოსმალო დიდმოხელის, აღმოსავლეთ ანატოლიის ჯარების მთავარსარდლის ახმედ ფაშის მოულოდნელი სიკვდილი (1836). გავრცელებული ხმების მიხედვით, იგი სულთნის ბრძანებით მოწამდეს, რასაც, ცხადია, უნდა გაედვივებინა შვილში სიძულვილი არსებული ხელისუფლებისადმი.

შერიფ ხიმშიაშვილი დავაჟკაცდა XIX საუნის 40-50-იან წლებში, ე. წ. თანზიმათის, ანუ რეფორმების ხანაში, როდესაც მთავრობა ცდილობდა იმპერიის ძლიერების აღდგენას განაპირა მხარეთა სეპარატიზმის აღმოფხვრის გზით. თანზიმათი მაშინ მწარედ შეეხო აჭარასაც. რუსეთის გაბატონებამ საქართველო-ამიერკავკასიაში დააჩქარა მთავრობის ღონისძიებანი ამ კუთხის გაოსმალებისათვის. ამიტომ ბრძოლა გამოუცხადეს ყველაფერ ქართულს, განსაკუთრებული იერიში მიიტანეს და მოშალეს ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული მიწათმფლობელობისა და საგადასახადო სისტემის ნაშთები. ამის საფუძველზე ხიმშიაშვილებს (და სხვებსაც) თანდათან

წაართვეს ადრინდელი სამემკვიდრეო უფლებები თავიანთ ყმა-მამულზე, ჩამოართვეს სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობები (გაბატონებულ მდგომარეობას ამიერიდან ისინი მხოლოდ ტრადიციით ან სიმდიდრით ინარჩუნებდნენ), რამაც უფრო გააძლიერა მათი ანტიოსმალური განწყობილება და ისინი ხელისუფლებას დაუპირისპირა (ამიტომაც 1844 წლის, აგრეთვე 60-70-იანი წლების ანტიოსმალურ მღელვარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსახლეობის ზედა ფენის წარმომადგენლები). ოპოზიციური სულისკვეთების ჩამოყალიბების ამ თანამდებობით პროცესს კარგად გამოხატავს 1879 წლის ივნისში გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნებული სტატია „გულწრფელი აღსარება“, რომელშიც შერიც სიმშიაშვილი გულახდილად მოუთხრობდა ქართველ მკითხველს: „თუმცა მე კერძოდ ჩემს ღირსების შესაფერად მომეტებული სახელიც მქონდა, პატივიც, კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამა-პაპისეული, ... შემეძლო თავისუფლად ოსმალური გალადებით და შვებით სიცოცხლე, მაგრამ ესე... თვალში სულ არაფრად არ მომდიოდა. ან როგორ ავიცილებდი თავიდან ეგრეთ ბოროტმოვლინებათ, როდესაც ერთის მხრით ოსმალების უსამართლობა, მძლავრობა, ცარცვა-მგლეჯელობა, დამაქცევლობა და ჩემ ტკბილ სამშობლოს უკიდურესი აოხრება, გატიალება დღითგან-დღეზე უფრო და უფრო მატულობდა? მეორე მხრით, ჩემსა საყვარელ მომმე მესხ-კლარჯთა ზნეობრივი საშინელი გარევან-განებივრება, ავგულობა, მეძავეობა, სიხარბე, მგლეჯელობა, მოსისხლეობა, ჭრა, კვლა და მისთანა, კაცობრიობითის გზა-კვალთაგან გარეთ გასვლა დუპავდა ჩემს ქვეყანას!“ [1]

ასეთ ვითარებაში სრულიადაც არ იყო მოულოდნელი შერიც სიმშიაშვილის სწრაფვა მშობლიურ კერაზე დაბრუნებისათვის, რადგან ამაში და ქვეყნის ერათიანობაში ხედავდა თავისი მხარის გადარჩენის ყოველგვარ მანკიერებათაგან განკურნების რეალურ საფუძველს. მისი ლტოლვა განსაკუთ-

რებით შესამჩნევი გახდა XIX საუკუნის 70-იან წლებში. მაშინ რუსეთი ოსმალეთთან ომისთვის ეზადებოდა და თავის სამსახურში მყოფ ქართველებს აქეზებდა მიტაცებულ მხარეებში თანამემამულეებთან კავშირის გაფართოებისაკენ. კავკასიის რუსული აღმინისტრაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ურთიერთობას შერიფ ხიმშიაშვილთან, რომელსაც შეეძლო „ფასდაუდებელი სამსახური“ გაეწია რუსეთისათვის. ამიტომ ომის წინ გახშირდა არალეგალური მოგზაურობა აჭარასა და მის მიმდებარე ქართულ რეგიონებში. ხიმშიაშვილების მოყვრის – გრიგოლ გურიელის მეშვეობით, ზემო აჭარას სხვადასხვა დროს ეწვივნენ ქართული ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენლები: ივ. კერქევლიძე, დიმ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი და სხვ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, შეიქმნა შესანიშნავი ნაშრომები, რომლებითაც მეცნიერულმა სამყარომ პირველად გაიცნო სამხრეთდასავლეთ საქართველო, მისი წარსული და სულიერი ცხოვრება, განსაკუთრებით ურდვევი კავშირი მშობლიურ კერასთან, და მეორეც, რაც მთავარია, ამ ვიზიტებით კიდევ ერთხელ დადასტურდა „აქეთა მხარის ქართველთა“ დიდი ეროვნული სულისკვეთება და სწრაფვა გაერთიანებისაკენ („მექი, – ილიასი არ იყოს, – კვლავ მექიდ დარჩენილიყვნენ“) [2].

ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოდვაწემ – ნიკოლოზ არჯევანიძემ 1887 წელს კავკასიის არმიის პირველი კორპუსის სარდალთან, გენერალ-ლეიტენანტ ზაქარია ჭავჭავაძესთან ერთად იმოგზაურა ზემო აჭარაში, სადაც შეხვდა შერიფ ხიმშიაშვილს და შემდეგი დახასიათება მისცა მას: „შერიფ ხიმშიაშვილი ოსმალეთის ბატონობის დროს ზემო აჭარის მფლობელი იყო და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს და ომის გამოცხადებამდეც დიდად დაეხმარა რუსეთის სამეფო მთავრობას აჭარის რუსეთისათვის გადაცემის და საქართველოსთან შეერთების საქმეში. შერიფ-

ბეგი წარმოსადეგი, საშუალოზე მაღალი, მხარ-ბეჭიანი კაცი იყო, დარბაისლური გამომეტყველებით, ჰავიანი თვალებით, იგი მარტო გარეგნულად კი არ იყო წარმოსადეგი, არამედ ჰქუითაც. განთქმული იყო ენამახვილობითა და ოხუნჯობით, მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულს, ცოტა არ იყოს გურულ კილოზე უქცევდა. მთელი ჩვენი ხულოში ყოფნის დროს არ მოშორებია ზაქარია ჭავჭავაძეს, რომელსაც ართობდა თავისი საამური საუბრით აჭარის წარსულის, მისი თავგადასავალის და თანამედროვე ცხოვრების შესახებ“ [3].

თანამედროვეები ახასიათებენ შერიფ ხიმშიაშვილს ენერგიულ და დაუდალავ მშრომელ ადამიანად. გადმოცემით მას ხელიდან ყველაფერი გამოდიოდა. სახლში საოჯახო ავეჯი მისი დამზადებული იყო. ეხერხებოდა მხატვრობა. მისი სახლის შიდა კედელი მისი მოხატული იყო. საბრძოლო იარაღსაც კი ამზადებდა.

შერიფ ხიმშიაშვილი ეწეოდა დიდ აღმშენებლობით საქმესაც ზემო აჭარაში. გაჟყავდა სარწყავი არხები, გზები, აშენებდა ხიდებს. ხულოდან ახალციხისაკენ მიმავალი შარაგზა მისი ხელმძღვანელობით და ინიციატივით გაკეთდა. მისი მიზანი იყო აღნიშნული გზა ბათუმამდევრული რაზედაც ოსმალთა ხელისუფლებამ ნება არ დართო. მიზეზი ის იყო, რომ ომის შემთხვევაში რუსეთის ჯარს გაუადვილდებოდა აჭარის დაპყრობა. მის სახლსა და სამუშაო რეზიდენციას შორის აშენდა სასმელი წყლის აუზი [4].

დიმიტრი ბაქრაძე გადმოგვცემს: „ხულოში ყოველდღე ახლომახლო სოფლებიდან საქმეზე ჩამოსულ უამრავ ხალხს გხედავდი. საერთოდ ასეთი თავშეყრილობა იყო ყველგან, ჩურუქ-სუსა და სხვაგან. მიამბობდნენ, რომ აჭარის სასამართლობს უმთავრესად საქმე აქვთ მსხვილფეხა საქონლისა და ცხენების ქურდობასთან. ზემო აჭარაში ეს დანაშაული, ისევე როგორც სისხლის აღება, შერიფ ბეგის ძლიერი გავ-

ლენის წყალობით საგრძნობლად ნაკლებია, ვიდრე ქვემო აჭარასა და ჩურუქ-სუში“ [5].

1877 წლის აპრილში დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. საბრძოლო ოპერაციები საქართველოში გაჩადდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებითაც. შერიფ ხიმშიაშვილს, როგორც ოსმალეთის არმიის ოფიცერს, უბრძანეს მოხალისეების შეგროვება – 1000 კაცი არტაანს უნდა გაეგზავნა, თავად კი 2 ათასი მოლაშქრით ციხისძირის გარნიზონს მიშველებოდა, შემდეგ ოზურგეთზეც დაერტყა. მაშინ შერიფმა გადადგა ერთადერთი სწორი ნაბიჯი, მოიმიზება ავადმყოფობა, აგრეთვე ახალციხიდან რუსთა შემოჭრის საშიშროება და ადგილიდან აღარ დაიძრა. ამავე დროს, მიძიშვილის ანტონ მეფისაშვილის მეშვეობით დაუკავშირდა რუსთა ძალების სარდალს კომაროვს, აღუთქვა სრული უშიშროება და გზის მიცემაც კი ზემო აჭარაში შემოსვლის შეთხვევაში. მასვე შესთავაზა აგრეთვე აქედან შეტევის განხორციელება ბათუმზე, რადგან ქობულეთ-ციხისძირიდან ამის გაკეთება, საზღვაო ძალების გარეშე, მნელი იქნებოდა. ეს გეგმა არ მიიღეს, რაც შემდეგ რუსებს ძალზე ძვირი დაუკვდათ.

ოსმალეთის ხელისუფლებამ ეჭვით შეხედა შერიფ ხიმშიაშვილის „ავადმყოფობას“ და უმოქმედობას. თავად შ. ხიმშიაშვილი მოგვიანებით აღნიშნავდა – დევრიშ ფაშა ყოველ კვირაზე მწერდა „გეიწი, გეიწი ახალციხისაკენო, რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასო. ჯერ კიდევ ვაღორებდი, რომ გზა მაქვს გამაგრებული, ვერ დავიძრები აქედან, მაგრამ როცა ჯარი (რუსთა – ო. გ.) არტანუჯისაკენ გაუშვი ხელუხლებლად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დევრიშ-ფაშამ.... ჩამასმინეს იმას რუსეთისკენ უჭირავს თვალიო.“ მაშინ მას მოხთხოვეს ბათუმში შვილების გამოგზავნა. ჩანს, ამით ფიქრობდნენ მამის შესაძლო განდგომის აღკვეთას. ამიტომ შერიფმა თხოვა რუსთა სარდლობას „ახალციხიდან მოქმედების დაწყება“, რომ „თავის მართლების“ საშუალება ჰქონ-

და. მართლაც, შეიქმნა ცალკე რაზმი პოლკ. ტრეიტერის მე-
თაურობით, რომელსაც დაევალდა „ძალის ენერგიული დემონ-
სტრირება“ ზემო აჭარაში. სწორედ ამ დროს, 1878 წლის
მარტში, გაფორმდა სან-სტეფანოს ზაფი და საომარი მოქმე-
დებაც შეწყდა [6].

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბედი
საბოლოოდ ბერლინის კონგრესს უნდა განესაზღვრა. ამ
მხარის მოსალოდნელი დაკარგვით შეშვეოთებული ოსმალე-
თი შეეცადა აქ მდელგარების ორგანიზებასა და მსოფლიო
საზოგადოების დარწმუნებას, რომ მოსახლეობას არ სურდა
რუსეთთან შეერთება. შერიფი ახლა ამ დონისძიებას დაუპი-
რისპირდა. ოსმალთა ოვალსაზრისით ეს უკვე აშკარა დალა-
ტი იყო და დერვიშ ფაშამ ბათუმიდან გაგზავნა რაზმი მის
შესაპყრობად. შერიფი ახალციხეს გადავიდა. დამსჯელმა ექ-
სპედიციამ მას ოჯახი დაურბია, სახლი გადაუწევა.

5 მაისს შერიფ ხიმშიაშვილს ახალციხეში ეწვია თბი-
ლისის საზოგადოების დელეგაცია და რუსეთის არმიის გვ-
ნერალ-მაიორის ჩინში ამაღლება მოულოცა. დელეგაციის
წევრებმა რწმენა გამოოქვეს, რომ ისტორიის ბედუკულმარ-
თობით დაშორებული მმები კვლავ მჭიდროდ შეუკავშირდე-
ბოდნენ ერთმანეთს. „შერიფსაც მმობისა და ერთგულების
პირობა მიუცია და დიდი კმაყოფილებით მადლობა გადაუხ-
დია სტუმრებისათვის“.

ამასობაში, ბერლინის კონგრესმა აჭარა ბათუმითურთ
რუსეთს მიაკუთვნა. გადაცემა 1878 წლის 25 აგვისტოსთვის
დაინიშნა. დაიწყო რუსთა ჯარების შემოსვლა ახლადშემო-
ერთებულ ტერიტორიაზე. გოდერძის უღელტეხილით ზემო
აჭარაში გადმოვიდა პოლკ. ტრეიტერის რაზმიც, რომელსაც
თან ახლდა შერიფ ხიმშიაშვილი. 26 აგვისტოს ისინი უქვე
სულოში იყვნენ. დახვედრით კმაყოფილი ტრეიტერი სარ-
დლობისადმი პატაკში სპეციალურად აღნიშნავდა „ადგი-
ლობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობას“.

დიდი გულითადობით გამოირჩეოდა შეხვედრა ქობუ-ლეთშიც, სადაც გულო კაიკაციშვილმა უბრწყინვალესი სიტყვით მიმართა რუსეთის არმიის „გურიის დრუჟინას“. პატრიოტ-მამულიშვილი არა მარტო მიესალმა მშობლიურ კერაზე დაბრუნებას, არამედ ისურვა ისეთი მომავალი საქართველო, როგორიც იყო იგი „დავითისა და თამარის მფლობაში“. ჩანდა, უცხოობაში ხანგრძლოვი ცხოვრების მიუხედავად, მოსახლეობაში ძალუმად ჩქვდა ეროვნული ერთიანიბის სულისკვეთება [7].

იმავე წლის ნოემბერში თბილისს ეწვია შემოერთებული ქართულ მხარეთა დეპუტაცია. მათ შორის იყო შერიფ ხიმ-შიაშვილიც. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ძირფას სტუმრებს. მასპინძელთაგან ბანკეტს ესწრებოდნენ გრ. ორბელიანი, აკ. წერეთელი, გრ. წერეთელი, სერგეი მესხი და სხვები, სულ 90-მდე კაცი (ილია მაშინ პეტერბურგში იმყოფებოდა). მრავალი თბილი სადღეებოდებო ითქვა მაშინ, რადგან „ამ დღეს საქართველოს შვილნი, – როგორც სერგეი მესხი აღნიშნავდა, – განაწილებულ საქართველოს შეერთებას დღესასწაულობდნენ“. განსაკუთრებით გულში ჩამწვდომი აღმოჩნდა შერიფ ხიმშიაშვილის სიტყვა, რომელიც, არსებითად, ამ მხარეში ქართული საზოგადოების მომავალი სამოქმედო პროგრამის საფუძველი გახდა. კერძოდ, მან თქვა: „განათლება უჭირვებათ, ბატონებო, იმათ. ამდენი ახალგზრდა კაცები ხართ, განათლებულები. წადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ“. ჩანს, ავტორი არა მარტო მაღალი შეხედულებისა იყო საერთოდ სწავლა-განათლების შესახებ, არამედ აღნიშნავდა მის დიდი როლს მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და ეროვნული სულისკვეთების ამაღლების საქმეში. თავის ვრცელ „გულწრფელ აღსარებაში,“ რომელიც ამ შეხედრიდან ერთი წლის შემდეგ დაიბეჭდა, შ. ხიმშიაშვილმა კვლავ მოუწოდა თანამემამულეებს აჭარაში „სწავლა-მუცნიერების ამაღლება-

ში“ დახმარებისაკენ. ამიტომაც იყო, რომ ქართველმა საზოგადოებამ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, უპირველეს მიზნად დაისახა განთავისუფლებულ მხარეში სწორედ ქართული სკოლების გახსნა. ჩვენ მოძღვარს განათლება მიაჩნდა მაპმადიან ქართველებთან „სულით და გულით“ შეერთებისა და ადრინდელი „მშური სიკარულის“ აღდგენის მძლავრ საშუალებად. მართლაც, მისი ხელმძღვანელობით 1881 წელს ბათუმში დაარსდა პირველი ქართული სკოლა, რითაც პრაქტიკულად განახორციელა მამული შვილის პროგრამული მოთხოვნა.

1880 წელს, იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიწვევით, შერიფ ხიმშიაშვილი პეტერბურგს ჩავიდა. თან იახლა ორი ქე, რომლებიც სამხედრო სასწავლებელში მიაბარა. იმპერატორმა შერიფი დიდი პატივით მიიღო, მადლობა უძღვნა გაწეული სამსახურისათვის და შეპირდა, რომ არ დაუვიწყებდა ამაგხს.

პეტერბურგში ყოფნისას შერიფმა გადადგა ნაბიჯი, რომელიც იმ ვთარებაში გმირობის ტოლფასი იყოს – ის და მისი შვილები დაუბრუნდნენ წინაპართა რელიგიას და მართლმადიდებელ ქრისტიანებად მოინათლნენ. შერიფის ნათლია თავად იმპერატორი იყო და მის პატივსაცემად ალექსანდრე დაირქვა. მამასაც სახელი ახმედი იმპერატორის უფროსი მმის, ასევე ალექსანდრეს სახელით შეუცვალა. ამასთან, მან იქვე იქორწინა ქრისტიან (გერმანელ) მანდილოსანზე და იგი აჭარაში ჩამოიყვანა. ყველაფერი ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მშობელი ხალხის სულიერი შეკავშირების გზაზე [8].

ალექსანდრე (შერიფყოფილი) ხიმშიაშვილის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ თანამედროვენი. „ბეგის სახე მუდამ იქნება დიდებით მოსილი. მან მოელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ერთიანობას შესწირა. მისი ქართველური შეგნება საძირკვლად გაუხდება ქართვე-

ლი ქრისტიანებისა და ქართველი მაპმადიანების დღევანდელ ერთობა“. ასე წერდა 1915 წლის ქურნალი „ოქატრი და ცხოვრება“. და მართლაც, განახლებულ საქართველოში მას მოიხსენიებენ და პატივს მიაგებენ, როგორც დიდ მამულიშვილს, რომელმაც თავისი მოღვაწეობით თუ პირადი მოქმედებით ხელი შეუწყო სამშობლოს ერთიანობისა და აღორძინების დიად საქმეს [9].

ლიტერატურა:

1. შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1976, გვ. 80-84;
2. თ. კომახიძე, დუდი ხანუმ ბეჭანიძე და მე მისი შერიფ ბეგ ხიმიაშვილი, ბათ., 2002, გვ. 146-149;
3. ბ. ახვლედიანი, ნარპევვები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1978, გვ. 59-62;
4. ბ. ახვლედიანი, სამხრეთ საქართველოს განტავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათ., 1972, გვ. 45-47;
5. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოძრაობა გურიასა და აჭარაში, თბ., 1969, გვ. 34;
6. შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956, გვ. 87-88;
7. შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956, გვ. 93-94;
8. თ. კომახიძე, დუდი ხანუმ ბეჭანიძე და მე მისი შერიფ ბეგ ხიმიაშვილი, ბათ., 2002, გვ. 226-230;
9. ქურნალი „ოქატრი და ცხოვრება“, 1915, № 45.

Otar Gogolishvili

Sherif Khimshiashvili – the Warrior for the Unity of Georgia

Summary

Sherif Khimshiashvili was the ruler of Adjara. During the Russian-Turkish war of 1877-1878, he contributed to the return of Adjara to the motherland.

შუშანა ფუტკარაძე

ბეჭ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინხტიტუტის
ფოლკლორის, დააღვემოლოგიისა და ემიცრანტული
ლიტერატურის კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

სახალოვანი ქართველი ქალები ნიმუშიავილთა ოჯახიდან

ქართველმა ქალმა დასაბამიდან დღემდე ბევრი სასახე-
ლო ფურცელი ჩაწერა მშობელი ქვეყნის ისტორიაში. იგი
მტკიცე დედაბოძად ედგა ოჯახსა და სამშობლოს ჩვენი
ერის ისტორიის გრძელ გზაზე. პატიოსნებითა და ერთგულე-
ბით გამორჩეული ქართველი ქალები სანატრელ საპატარ-
ძლოებად ითვლებოდნენ ოდითგანვე მეზობელ ხალხებშიც.
XVII საუკუნის თურქი პოეტი ნიაზი მისრი ერთ თავის დი-
დაქტიკურ ლექსში უმდევრის ქართველი ქალის სათნაებას
და თავის შვილს ურჩევს ცოლად აირჩიოს სათნო ქართვე-
ლი ქალი. გავიხსნოთ ამ ლექსის თამაზ ნატროშვილისეუ-
ლი თარგმანის ფრაგმენტი:

„ხომ გსურს იცხოვრო, შვილო ჩემო,
მშვიდად და ტკბილად?
მაშ, უყოფმანოდ აირჩიე სათნო ქართველი!
მთელს ღუნიაზე ჰეშმარიტად ერთადერთია,
ცოლად, მეგობრად, მიჯნურად რომ გამოგადგება...
ნუ დაიწუნებ უხეირო სამოსლის გამო,
სამაგიეროდ, გულწრფელია, ნაზი, ხალასი...
მაშ, შვილო ჩემო, აირჩიე ქალი ქართველი;
მასთან ცხოვრებით შენ იხილავ ყველაფერს იმას,
რასაც ალაპი უწყალობებს უბრალო მოკვდავთ
ამქვეუნიური ნეტარების მოსაპოვებლად”...

მართლაც, ქართველი ქალები დიდი ხნის მანძილზე ამ-შეენებდნენ ბიზანტიის, ირანის, სელჩუკების, ოსმალების... სამეფო სასახლეებს; იყვნენ სილამაზით, მისაბაძი კულტუ-რით, განათლებით, ქველმოქმედებით გამორჩეული დედოფ-ლები (მართა-მარიამ ბაგრატიონი, გურჯი ხათუნი – თამარ ბაგრატიონი, თამთა ათაბაგი, მესხი შალიკაშვილის ასული – შაჰ-აბასის ბებია, მიპრიშაჰ სულთანი, ბეზმიალემ ვალიდე სულთანი...). მათ შესახებ მოგვითხრობენ ქართული და უცხ-ოური წყაროები.

ბუნებამ კდემამოსილებითა და სილამაზით გამორჩეულ ქართველ ქალებს გმირული სულიც შთაბერა. სამშობლოს დაცვისა და მისი ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში ხში-რად ვაჟაპეტს გვერდში ედგნენ ეს ნაზი არსებანი. ეროვნუ-ლი იდეალებისათვის წამებულნიც ყოფილან ისინი და სა-თუთი სატრფოებიც; გმირი დედების სახელიც უტარებიათ, ძლევამოსილი მეფის გვირგვინიცა და პატიოსანი მანდილოს-ნის მანდილიც...

საქართველოში ოდითგანვე დიდების შარავანდედით მო-სავდნენ ქალის სახელს. ქართველი ერის ასეთნაირი დამო-კიდებულება ბუნების ამ ქმნილებისადმი უპირველესად იმით აისხება, რომ ქალის არსებას ჩვენი წინაპრები დასაბამით-განვე უკავშირებდნენ მშვენიერების, სათნოების, სიკეთის, სიყვარულისა და დედობის ამაღლებულ, დკონებრივ გრძნო-ბებს. ეს ეროვნული შეგნება შესაბამისად აისახა ქართულ ენაში. ქართველ ქალს ჩვენი ენა ადარებს ციურ მნათობებს, ყვავილს, ვარდს, სინათლეს... ქალთა საკუთარი სახელები, ჩვენი ენის მიერ ჩამოქნილი, სწორედ ამაზე მიგვითოებს: მზისა, მთვარისა, მზისადარი, მზექალა, ქალთამზე, მზევინა-რი, მზიური, გულთამზე, გულვარდი, გულნაზი, ნარგიზი, შუქია, ნაზიბროლა, ციური... ესენი ჩვენი ენის მიერ შექმნი-ლი ქალთა საკუთარი სახელებია, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეს ნაკლებად გვესმის...

ქალისადმი დამოკიდებულებაში გამოხატულია ქართველი ერის შინაგანი კულტურა, ჰუმანიზმი, პატივისცემა, მაღალი სულიერება. დიდი ილია ხშირად მიგვანიშნებდა ხოლმე ქართველი ხალხის ამგვარ დამოკიდებულებაზე ქალის მიმართ. სწორედ მან მიგვაქცევინა ყურადღება ქართული ენის ერთ ლამაზ სიტყვაზე, როგორიცაა **გათხოვება**. დაგვანახვა, რომ ქართველი ქალს კი არ ჰყიდდა (როგორც ეს ძველად მრავალ ხალხში ქორწინებასთან დაკავშირებულ ტრადიციად იყო ქცეული), არამედ **ათხოვებდა**. ამ „თხოვებაში“ იდო სწორედ დიდი აზრი, კეთილშობილური დამოკიდებულება ქალიშვილის მიმართ, რომელიც სხვა ოჯახში მიდიოდა საცხოვრებლად. ამ საკითხეზე დიდმა **ილია ჭავჭავაძემ** და **ივანე ჯავახიშვილმა** გაამახვილეს ყურადღება და ჩაგვახვდეს ქართული ენის წიაღში, ქართველი კაცის მდიდარ სულიერ სამყაროში.

ქართველმა ქალმა ისტორიის გრძელ მანძილზე, მამაკაცთან ერთად, თანაბრად ზიდა ცხოვრების მძიმე უდელი. იგი ჭეშმარიტი მეუღლე იყო. ქართულმა ენამ ეს ურთიერთობა შესანიშნავად ასახა და გამოძერწა სიტყვა „**მეუღლე**“. ასეთი სახელდება დედამიწაზე არც ერთ ენაში არ არის შენიშნული ენათმეცნიერთა მიერ.

XVII საუკუნეში იტალიელი **პიეტრო დელა ვალე** წერდა: „ქართველი ქალები ყველაზე მშვენიერნი არიან მთელს აზიაშიონ“. ეს შესაშური თვისება ხშირად საბედისწერო ხდებოდა არა მხოლოდ ამ ლამაზი არსებისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვისაც, რაც ცხობილია ჩვენი ისტორიის ფურცლებიდან.

სახელოვანი ქართველი **პოეტი აგაზი წერეთელი** გვასწავლის: „თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლოო. ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრია ტაროსისათ-ამინდისათ... თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგა-

ნან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგასო“. სახელოვანი ქართველი დედების სულიერი და ფიზიკური მშვენიერების წყალობით, საუკუნეთა მანძილზე ქართველ ერს დარი ედგა დალოცვილ მიწაზე – საქართველოში. სწორედ ქართველი დედები იყვნენ ქართველობის მაჩვენებელი ბარომეტრები ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ გადაურჩა გადაშენებას ქართველი ერი. ქართველთა ასაკის მქონე ერების დიდი ნაწილი კი კარგა ხანია გადაშენდა და მათი ხსენება მხოლოდ ისტორიულ ნაშრომებშია საძიებელი.

მეცნიერთა დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ ერის მეობის, თვითმყოფადობის შემნახავი, გადამრჩენი უმთავრესი ძალა მტკიცე ტრადიციების მატარებელი ოჯახია. ოჯახის ბურჯი – დედაბობი კი დიასახლისია, ქალია, დედა.

ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე პაიდარ აბაშიძე სამართლიანად წერდა: „აჭარამ სამი საუკუნის მანძილზე ცეცხლში გამოატარა თავისი ყოფა-ცხოვრება. აჭარელმა ქალმა, ამ სახელოვანმა ქართველმა დედამ, სუფთად შემოგვინახა ქართული სისხლი და ჩვენამდე ბრძოლით მოიტანა ჩვენი ტკბილი დედაენაო“. მართლაც, განუზომელია ქართველი ქალის ლვაწლი აჭარაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ულამაზეს კუთხეში – აჭარაში საუკუნეთა ქარტეხილებმა კიდევ უფრო გამოკვეთა ქართველი ქალის არსება. აქ ქალი-დედა მოგვევლინა ქართველობის, ქართული გენისა და ენის სიძლიერის, უკვდავების სიმბოლოდ. აქაურმა დედებმა შავბენელ წარსულში თავიანთ თბილ უბეებში სათუთად შეინახეს მშობლიური ქართული. ისინი აკვანში თავიანთ შვილებს, დედის რძესთან ერთად, არწყელებდნენ მშობლიური ქართულით. მათ მამაპაპათა ნაფუძარებზე არ გააცივეს ქართული კერა, არ მოშალეს ეროვნული ზნე-ჩვეულებანი და ჩვენამდე მოიტანეს სა-

პატრონებლად, საშვილიშვილო იადგრად (სამახსოვრო საჩუქრად).

ამ სახელოვან ქალთა შორის საპატიო ადგილი უჭირავთ აჭარის დიდებულთა ოჯახებში დღენიადაგ მოფუსფუსე, სამშობლოს ზრუნვაში მუხლჩაუხრელ, ერის წინამდლოლი შვილების გამზრდელ, ერისკაცთა ერთგულ მეუღლებს, აჭარის დირსეულ მანდილოსნებს, უპირველესად, ხიმშიაშვილთა საგვარეულო ოჯახებში მოღვაწე დიდებულ ქალბატონებს.

ხიმშიაშვილთა ოჯახებში ქართული ცნობიერების, მშობლიური ენის, ძირძველი ტრადიციების შენარჩუნებას, ხიმშიაშვილთა ძარღვიდან მომდინარე სუფთა ქართული სისხლის ქალბატონების გარდა, ემსახურებოდნენ, აგრეთვე, სხვა წარჩინებულ გვართა წარმომადგენლებიც, ხიმშიაშვილთა საპატიო პატარძლები. მოგეხსენებათ, დიდებული გვარი სამოყვროდ ისევ დიდებულ გვარს ეძებდა. საუკუნეთა მანძილზე ასე ყალიბდებოდა საზოგადოების წარჩინებული წარმომადგენლობა. ხიმშიაშვილთა ოჯახების პატარძლები სახელოვანი გვარის შვილები იყვნენ. ბოლო 170 წლის ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ხიმშიაშვილთა ოჯახებში პატარძლებად შესული არიან ბეჟანიძეების, ფალავანდიშვილების, აბაშიძეების, ათაბაგების (ჯაველების), ერისთავების, ლორთქიფანიძეების, თავდგირიძეების, გურიელების... ულამაზესი ასულები. თითოეული მათგანის ბიოგრაფია საინტერესოა და მისაბამი, გამოდგება ისტორიული რომანების სიუჟეტებად.

ამჯერად, მკითხველის უურადღებას შევაჩერებთ სამი სახელოვანი ქალბატონის შესახებ. ესენი გახლავთ: **დუდისანუმ ბეჟანიძე, ფიქრიე და მელაათ ხიმშიაშვილები.**

დუდისანუმ ბეჟანიძე იყო ჩაქველი თავადიშვილის უსეინ-ბეგ ბეჟანიძის და. უსეინ-ბეგ ბეჟანიძე ისტორიული პიროვნებაა. 1883 წელს ჩაქველ თავადს ქსტუმრა ცნობილი ფოლ-

კლორისტი პეტრე უმიკაშვილი და მისგან ჩაიწერა თამარ მეფის ლექსი „ათასი კაბა ყმა ყმავდა“.

„ათასი კაბა ყმა ყმავდა, ყველანი ოქროს დილითა;

გაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმევდი ბროლის ჭიქითა.

ვინც რომ შემება, შევები ალალითა და ჯიქითა;

აწი თქვენ იცით, მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა“.

ეს ლექსი უსეინ ბეგს გაგონილი და ნასწავლი ჰქონია წინაპართაგან. ლექსი, ჩამწერის წერილთან ერთად, დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. ეს გამოსათხოვარი წერილი იყო, უსეინ ბეგ ბეჟანიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი. გაზეთი მოგვითხოვთს, რომ უსეინ ბეგმა თურმე მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, კარგი მექაროულე და სამშობლოს მოსიყვარულე იყო. მისი საქმიანობით მუჭაჯირობის პროცესი საგრძნობლად შეჩერებულა ჩაქვსა და ქობულეთში.

უსეინ ბეგ ბეჟანიძე ყოფილა „გონიერი, მოსწრებული სიტყვის პატრონი, გულკეთილი, კეთილშობილი, საყვარელი ხასიათის მქონებელი. სულითა და გულით ნამდვილი გურჯი (მუსლიმანი ქართველი), მაიორის ჩინით... მომეტებულად გადასახლების (მუჭაჯირობის) მოწინააღმდეგეთაგანი. მას ძლიერ უყვარდა მამა-პაპის მიწა-წყალი და მისი მოშორება სიკვდილად მიაჩნდა თავისთვისაც და ჩვენს ხალხისთვისაც“. პ. უმიკაშვილი ასე ეთხოვება ამ დიდ ქართველს: „ვერც არავითარი ცრემლი, ვერც არავითარი მეტყველი ენა და კალამი ვერ გამოსახავს შენს და შენს მსგავს ღვაწლს, კეთილო კაცო უსეინ-ბეგ, რაც საშვილიშვილო, საუკუნოდ მოსახსენებელი, საქართველოს საისტორიოდ საღალადებელი, ქართველთ ქვეყნისთვის ძვირფასი საქმე მოიმოქმედე; ასი ათასი შვილი გადაურჩინე დედა ქვეყანასა... იყავნ უკვდავ მაგალითად ჩვენის შთამომავლობისათვის... იყავნ საუკუნოდ სახსენებელი, შენ, პატიოსანო, ერთგულო შვილო შენის ქვეყნისაღ“ (უმიკაშვილი, 1883).

აი, ასეთ ოჯახში, ასეთი ძმის გვერდით იყო აღზრდილი დუდი ხანუმ ბეჭანიძე – დიდი სელიმის რძალი, ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილის მეუღლე, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის დედა.

ქართული სულისკვეთებით აღზრდილ ქალბატონს მეუღლის – ახმედ ხიმშიაშვილის ოჯახშიც საქართველოს სიყვარულით გამობარი ატმოსფერო დახვდა. იგი მეუღლესთან ერთად შენატროდა იმ დღის გათვენებას, როცა დედის კალთას დაუბრუნდებოდა ისტორიული საქართველოს მიწა-წყალი: აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, შავშეთ-კლარჯეთი, არტანი და ტაო.

დუდი ხანუმის პიროვნების სიდიადე დღემდეა შემონახული არა მარტო ისტორიულ წყაროებში, არამედ ზეპირსიტყვიერების შედევრებშიც, თქმულება-ლეგენდებში. დუდი ხანუმისა და ახმედ ხიმშიაშვილის ოჯახში საქართველოს დაჭრილი სხეულის გაერთიანების, გამთლიანების ოცნება შლილა ფრთხებს.

ჰკვიანმა მანდილოსანმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ რუსეთის არმიის დახმარებით შეიძლებოდა დაკარგული ისტორიული ქართული მიწების დაბრუნება. ამიტომაც თანაუგრძნებლივ თავი მეუღლეს, მამაცსა და შეუპოვარ მეომარს, რომელსაც, ოფიციალურ პირთა სიტყვებით, მხოლოდ მას შეეძლო მორჩილებაში პყოლოდა დაუდგრომელი ხალხი. ახმედ ხიმშიაშვილის შესაძლებლობას, ნიჭე კარგად აფასებდა თურქი ისტორიოსი **ჯვედეთი**. იგი ნაშრომში – „თარიში ჯვედეთი“ ახმედ ხიმშიაშვილს ახასიათებს როგორც მამის – სელიმის საქმის გამგრძელებელს, რომელმაც მოსახლეობა ზემო აჭარაში თურქეთის წინააღმდეგ ააჯანება და მთავრობის რწმუნებული, ამ მაზრის უფროსი მუთესელიმი განდევნა აჭარიდან.

სამშობლოს ნათელი მომავლისათვის მოღვაწე ხიმშიაშვილთა საგვარეულო ოჯახის – დუდი ხანუმისა და ახმედ ხიმშიაშვილის სანუაგარი ოცნება სინამდვილედ ნაწილობ-

რივ იქცა 1828-29 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებისთანავე, როცა სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი დედა-სამშობლოს დაუბრუნდა.

ოცნების სრული გამართლება კი, მოგვიანებით, 1877-78 წლების ომის შემდეგ განხორციელდა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა დუდი ხანუმის იდეებზე აღზრდილმა შერიფ ხიმშიაშვილმა. 1878 წლის აგვისტოს ბოლოს ახალციხიდან ბათუმში მომავალ განმათავისუფლებელ რუსი ჯარისკაცების არმიას გენერალ ტრეიიტერის ხელმძღვანელობით წინ მოუძღვდა თეთრ ცხენზე ამხედრებული, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. მან ეს არმია გოდერძის უდელტეხილით გადმოიყვანა აჭარაში; მშვიდობიანად გამოატარა აჭარისწყლის გრძელი ხეობა. შერიფ-ბეგის პატივისცემითა და რიდით ერთი ტყვიაც არ გასროლილა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ბევრ ვინძეს არ გაუხარდებოდა რუსეთის არმიის აჭარაში შემოსვლა. შერიფ-ხიმშიაშვილი სიხარულით შემოუძღვა ბათუმში ამ არმიას; გამარჯვების ნიშანად ბათუმში დიდებული ლხინი გაიმართა. „ტოლუმბაშად“ შერიფ ბეგი აირჩიეს. ამის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს სამხედრო უურნალისტები – ალ. ფრენკელიდ ა. ნ. ვასილევსკი (ფრენკელი, 2012: 143-144; Васи-ლевский, 1880: 296).

დუდი ხანუმ ბეჟანიძისა და ახმედ ხიმშიაშვილის ოჯახში ქართული სული ტრიალებდა, პუმანიზმისა და პატრიოტიზმის სანთელი ენთო. დუდი ხანუმი ღარიბთა, ქვრივობოლთა მფარველი და გამკითხავი იყო. მან ხშირად იცოდა მოწყალების გაღება, გამოირჩეოდა ქველმოქმედებით. ხიმშიაშვილების სახელოვანი რძლის სახელი დღესაც ლეგენდებში ცოცხლობს აჭარის მთიანეთში. ღრმად მოხუცები დღესაც პყვებიან მამა-პაპათა მონათხრობს ამ კეთილშობილი მანდილოსნის შესახებ.

დუდი ხანუმი ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული მანდილოსანი გახლდათ. მას არაერთხელ გამოუვლენია ეს დადებითი თვისებები და მოუხიბდლავს უცხოელებიც კი. ამ თემასთან დაკავშირებით შესანიშნავი წყარო გახლავთ ცნობილი პიროვნების **პოტტოს** დღიურები, **აქტები** და სხვა ისტორიული წყაროები. თავისი პიროვნების სიდიადე ამ ქალბატონმა კარგად გამოავლინა 1829 წლის აგვისტოს ბოლოს ზემო აჭარაში ვერაგულად შემოჭრილ ოსტენ-საკენთან დაკავშირებით (Потто, 1885: 96).

დუდი ხანუმ ბექანიძე ადრე დაქვრივდა; ქმარი, ახმედ ხიმშიაშვილი – ეზრუმის სერასკირი – 1836 წელს ეზრუმში ტრაგიკულად დაიღუპა. ზოგიერთი ცნობით, იგი ბაბა ფაშას მიმდევრებმა მოწამლეს. მას ოთხი მცირევლოვანი შვილი დარჩა: შერიფი, ასლანი, ფატმა და დილდარი (ყაზბეგი, 1995: 68).

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, სულთნის ბრძანებით აჭარის გამგებლობა დუდი ხანუმ ბექანიძეს დაევალა. იგი 14 წლის მანძილზე – 1836-1850 წლებში – იყო აჭარის გონიერი მმართველი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ – 1836 წლის სათვის მისი ვაჟიშვილი – შერიფი მხოლოდ 7 წლისა იყო. მის დაგაჟაცებამდე აჭარას თვითონ მართავდა. შერიფს მიაღებინა შესაბამისი განათლება ოსმალეთის სამეფო კარზე. ქართულ ენასა და ლიტერატურაში კი შვილს თვითონ წვრთნიდა. ოსმალეთის სამეფო კარზე მას ეხმარებოდა სულთან აბდულ მეჯიდის დედა – წარმოშობით ქობულეთები თავდგირიძის ქალი, რომელიც ოსმალეთში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და იწოდებოდა **ბეზმი ალემ ვალი-დე სულთანად ანუ ხალხის დედა-დედოფლად**. სწორედ ამ დიდბუნებოფანი ქალბატონის – ფადიშავის (სულტან აბდულ მეჯიდის) დედის წყალობით შეძლო დუდი ხანუმმა აჭარაში თანზიმათის კანონების შერბილება, 1844 წლის აჯანყების

მშვიდობიანად დამთავრება და აჯანყებულთა ხელმძღვანელების სასჯელისაგან განთავისუფლება (ქასაბ, 2012: 140).

აჭარის წარსულის ეს მონაკვეთი მეტად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციებით გამოირჩეოდა. როგორც ცნობილია, 1844 წლიდან ოსმალეთის მთავრობა მთელს იმპერიაში შეუდგა ეწ. თანზიმათის კანონების შემოღებას, მმართველობის რეჟიმის გამკაცრებას. დიდი ხნით ნახევრადგასალურ მდგომარეობაში ყოფნას მიჩვეული აჭარის მოსახლეობა ამ ფაქტმა ააღელვა. 1844 წელს აჯანყებამ მთელი აჭარა მოიცვა და ერთი წელი გრძელდებოდა. დუდი ხანუმ ბექანიძე მშობელი ხალხის წინაშე წარსდგა, როგორც ბრძენი მმართველი, დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული პოლიტიკოსი. მშობელი მხარის დასჯისაგან გადასარჩენად მან ბევრი იდგაწა.

დუდი ხანუმ ბექანიძე სტამბოლში რამდენიმე თვეს დარჩა სულთნის დედასთან და მისი დახმარებით ოსმალეთის ხელისუფლებასთან თავისი ქვეყნის სასარგებლოდ მიაღწია შეთანხმებას. აჭარის მოსახლეობა იხსნა ოსმალეთის ახალი რისხებისაგან, რაც ოსმალეთის იმპერიის სხვა ამბოხებულ რეგიონებში დიდი სიმკაცრით განხორციელდა. ამ შეთანხმებით აჭარის მოსახლეობა სამხედრო ბეგარისაგან გაათავისუფლეს და გადასახადების რაოდენობა შეუმცირეს. თანაც მალე დუდი ხანუმმა თავისი 15 წლის ვაჟიშვილი – შერიფი სტამბოლიდან ხულოს საგვარეულო სასახლეში ბეგის ტიტულით დააბრუნა. მან თავისი გონიერი საქმიანობით დაამშვიდა აჯანყებულები და აჭარას მშვიდობიანი ცხოვრება დაუბრუნა („ივერია“, 1899, №203).

დუდი ხანუმი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული იყო. ოქრომკედით დაგვირისტებული ქარგვის საიდუმლოს ფლობდა. მისი ხელით ნაქსოვი ფარდაგები და ნაქარგობა დიდხანს ამშვენებდა ხიმშიაშვილთა სასახლეებს. რამდენიმე ერთეული დღემდე დაცულია სტამბოლელი და ბაქოელი ხიმ-

შიაშვილების ოჯახებში და ძვირფას სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენს.

დუდი ხანუმი ბეჟანიძე საკმაოდ განათლებული, ქართულ მწერლობაში განსწავლიული მანდილოსანი იყო. ბავშვობაში თავის ძმას – უსეინ ბეგ ბეჟანიძეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დაზეპირებაში ეჯიბრებოდა. იგი ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა არა მარტო თავის შვილებსა და შვილიშვილებს, არამედ მოსამსახურეთა ოჯახის წევრებსაც. მისი დარბაისლური ქართულის მადლი ათბობს შერიფ ხიმშიაშვილის წერილებს, მის ნაფიქრ-ნააზრევს. ამ მხრივ აღსანიშნავია 1879 წლის 29 თიბათვეს არტაანში დაწერილი წერილი „გულწრფელი ადსარება“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, 1879 წელს. ქართული პუბლიცისტიკის ეს შედევრი გამოიჩინა ფილოსოფიური სიღრმითა და მხატვრული ოსტატობით, მეტაფორული აზროვნების საუკეთესო ნიმუშებით, მოხდენილი ეპითეტებითა და შედარებებით, პატრიოტული სულისკვეთებით (ფუტკარაძე, 1989)..

სამართლიანად არის ნათქამი: „ყოველი ხე ნაყოფითა მისითა იცნობებისო“. მშობლების პროგრესულმა იდეებმა, ოჯახში შეთვისებულმა ქართული ლიტერატურის სიყვარულმა, შვილის სულიერ სამყაროში გაშალა ფრთები, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის საქმიანობაში განხორციელდა... 1879 წლის 19 ივნისს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და არტაანის მაზრის მმართველი მიხეილ მეფისაშვილი სადილად იყვნენ მიწვეულნი თბილისში თაგად მელიქიშვილთან. მასპინძელს შერიფისათვის უკითხავს: – ქართული ხომ არ დავიწყნიათ თქვენკენო. შერიფ-ბეგს უპასუხია: – რა ბრძანებაა, ბატონო! მთელს აჭარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ.

– წერა-კითხვა, ბატონო ბეგო?

– მაგაში კი სუსტობენ: ალაგ-ალაგ კიდევ იციან ზემო აჭარაში, მაგრამ სხვაგან ძვირად... უფრო დედაქაცებმა იციან ქართული წერა-კითხვა“ („დროება“, 1879, № 26). ცხადია,

უპირველესად, საყვარელ დედას გულისხმობდა შერიფ-ბერი, რომელმაც არა მარტო თავის შვილებს, არამედ შვილიშვილებსაც შეასწავლა ქართული წერა-კითხვა და მწიგნობრობა.

შერიფ ხიმშიაშვილს სწორედ დედამ შეაყვარა ხელოვნება, შეატვრობა, ხელოსნობა. **გ. ყაზბეგი**, რომელმაც 1874 წელს იმოგზაურა ზემო აჭარაში, ასე ახასიათებს შერიფს: „იგი ძალზე ჭკვიანია, კარგი მოუბარი და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული და, რაც მთავარია, ხელიდან ყველაფერი გამოიყდის. ჩვენ ვნახეთ მისი გაკეთებული ხმალი, რომელსაც ოქროს ზარნიში და ვერცხლის შემცულობა აქვს. იარაღის ყველა წვრილმანი ჩვენი მასპინძლის ხელითაა გაკეთებული. ეს კიდევ ცოტაა – ბეგმა თვითონ ჩამოასხა სპილენძის პატარა ზარბაზანი; კაკლის ხისგან კი საკმაოდ ფაქიზად გააკეთა რამდენიმე სკამი და დივანი. გარდა ამისა, შერიფ-ბეგი კარგი მხატვარიცაა; სახლის თითქმის ყველა კედელს მისი ნახატები ამშვენებს“ (ყაზბეგი, 1995: 44).

დუდი ხანუმის ხელსაქმეს სახელი ჰქონდა განთქმული. მისი ხელით ნაქსოვი ფარდაგები, ნაქარგი გულისპირები, დაგვირისტებული ყაბალახები, ხელმანდილები დიდხანს ინახებოდა ხიმშიაშვილთა ოჯახებში; ხიმშიაშვილთა გათხოვილი ქალიშვილების მზითვის წიგნებში საპატიო ადგილას იყო ჩაწერილი დუდი ხანუმის ხელსაქმის ნიმუშები, როგორც საგვარეულო რელიქვია. ერთ-ერთი, ასეთი მზითვის წიგნი დღემდე დაცულია ბაქოში მცხოვრები ფიქრიები ხიმშიაშვილის ოჯახში. ეს ისტორიული წყარო დაწერილია შერიფ ხიმშიაშვილის ვაჟის ჯემალ ხიმშიაშვილის მიერ; წარმოადგენს დუდი ხანუმის შვილიშვილის ნიგარ ხიმშიაშვილის საკუთრებას, რომელიც არტაანში იყო გათხოვილი.

დუდი ხანუმმა ოქრომკედით ანუ სირმა ძაფით ქარგვის ოსტატობა შეასწავლა არა მხოლოდ თავისი ოჯახის წევრებს – ქალიშვილებსა და რძლებს, არამედ მოსამსახურე

ქალებსაც. როგორც ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, თავადაზნაურთა სასახლეებში ქალები ასწავლიდნენ წერა-კითხებს, ჭრა-კერვასა და ქარგვას დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებსაც. „არ იყო ისეთი სოფელი თუ დაბა, რომ ოსტატ დედაკაცებს სკოლა არ ჰქონოდათ“ (ჯანაშვილი, 1914: 142; დროება“, 1880, №119). ეს ტრადიცია საქართველოში სათავეს უმთავრესად იღებდა დიდი თამარ მეფის სამეფო კარიდან. დუდი ხანუმის წინაპრები, ისტორიული წყაროების თანახმად, თამარ მეფის პირისმსახურები იყვნენ. აქედან მომდინარეობს გვარის სახელი „პირმსახურისძენი“, რომლებიც სახელოვანი შვილის ბეჭან პირისმსახურის ძის შემდგებ ბეჭანიძეებად იქცნენ.

ცნობილი სახულიერო პირი, ისტორიკოსი დიმიტრი ჯანაშვილი, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაპვირვების საფუძველზე, ასეთ დასკვნას აქვთებდა: „საზოგადოება ისე კეთილად ვერა ზრდის და ვერ სწორთნის კეთილ-ცხოვრებისათვის ადამიანს, როგორც ოჯახში დედაკაცი. ხალხს საზოგადო ზრდილობას და გაწვრთნილობას დედა-კაცი აძლევს ოჯახში... დედა და დედაკაცი არიან ნამდვილნი მწვრთნელნი და განმანათლებელნი ხალხისა. იმათ მოჰყავთ ხალხის ცხოვრება მოძრაობაში; იმათ ხელშია ყმაწვილკაცობაში კაცის ბედი და უბედობა, მისი მომავალი. სწორედ ასეთი იყო ქართველი ქალების ისტორიული მნიშვნელობა წარსულში“ (ჯანაშვილი, 1914: 199-200). ეს სიტყვები ესადაგება დუდი-ხანუმ ბეჭანიძის საქმიანობასა და ღვაწლს, გაწეულს აჭარაში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში.

დუდი ხანუმი არა მარტო ნიჭიერი პოლიტიკოსი, არამედ გამორჩეული ღვთის მსახურიც იყო. მისი რიდით სხალთის ეპლესიას ავი თვალით ვერავინ შეხვდავდა. სხალთის უძველესი საყდარი ხიმშიაშვილების სასახლესთან ახლოს დგას. სახელოვანი ქალბატონი ეკლესიის ხშირი სტუმარი და ნამდვილი ჭირისუფალი იყო; მის ბებერ კედლებს ედგა ერ-

ოგულ დარაჯად. მამისეული ოჯახიდან გამოყოლილ ბევრ ქრისტიანულ რიტუალსა და ტრადიციას ხიმშიაშვილების ოჯახშიც იცავდა. ისტორიული წეაროვბისა და ხალხური გადმოცემების თანახმად, ხიმშიაშვილები XVIII საუკუნის ბოლომდე და XIX საუკუნის 20-იან წლებამდე ქრისტიანული აღმსარებლობისანი იყვნენ. ეს კარგად ჩანს სელიმ ხიმშიაშვილის წერილებიდანაც (ფუტკარაძე, 2014: 358-360; ფუტკარაძე, 2006: 4-5). დუდი ხანუმის სიცოცხლეში სანთლის შუქი და სითბო არ მოჰკლებია დაობლებულ სხალთის საყდარს.

ასეთივე სიყვარული აკავშირებდა მას ხულოს ეკლესიასთანაც. მართალია, მისი მეუღლე, ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის გამგებელი – ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი ოფიციალურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, მუსლიმანური რწმენისა გახლდათ, მაგრამ ხულოს ტაძარში სიარულსა და მისთვის ზრუნვას არ უშლიდა მეუღლეს – დუდი-ხანუმ ბეჭანიძეს. სამწუხაროდ, 1829 წლის აგვისტოს ბოლოს ზემო აჭარაში გენერალ ოსტენ-საქენის ხელმძღვანელობით ვერაგულად შემოჭრილ რუსის ჯართან შეტაკების დროს ხულოს ულამაზესი ეკლესია დაიწვა, დაინგრა; განადგურდა საეკლესიო ნივთები და ხატები (Потто, 1885: 96, 394-398).

დუდი ხანუმ ბეჭანიძე დვთის სიყვარულს უნერგავდა შვილებსა და შვილიშვილებს. სხალთის ტაძრისადმი პატივისცემა და სიყვარული დუდი ხანუმის შვილებზე, შვილიშვილებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზედაც გადადიოდა. სხალთის გალესიის გადარჩენას მეტწილად მის სახელს უნდა ვუმადლოდეთ. მოგზაურთა ცნობით, შერიფ ბეგის სიცოცხლეში ტაძარი საქმაოდ კარგად ყოფილა მოვლილი და შენახული. სხალთის ტაძრისადმი პატივისცემა და მოკრძალება გახდა შემდეგში იმის საფუძველი, რომ შერიფ ხიმშიაშვილმა პეტერბურგში ყოფნის დროს შეძლო სარწმუნოების გამოცვლა, ქრისტიანულად მონათვლა. როგორც ჩანს, იგი

შინაგანად, სულიერად უკვე მზად იყო ასეთი ნაბიჯისათვის. მას ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარული და პატივისცემა სხალთიდან გაჰყვა პეტერბურგში.

ისტორიული წყაროების თანახმად, 1883 წელს შერიფ ბეგი, დედის ძმასთან უსეინ ბეგ ბეგანიძესთან, უსეინ-ბეგ აბაშიძესთან, თეოლოგის პროფესორ ლომან-ეფენდი ქარცივაძესთან და სხვა დიდებულებთან ერთად, მიწვეული იყო პეტერბურგში ალექსანდრე მესამის სამსახურატორო კარზე. იგი ქრისტიანულად მონათლა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ. შერიფის ნათლობის სახელიც „ალექსანდრე“ იყო. მან პეტერბურგში ყოფნის დროს გაიცნო ალექსანდრე მესამის მეუღლის – დედოფალ მარია თეოდორეს ასულის ბიძაშვილი, დანიის მეფის ქრისტიან IX-ის ძმის შვილი და მასზე იქორწინა. ცნობილია, რომ ჯვრისწერისა და ნათლობის ცერემონიალი რუსეთის სამეფო კარზე გაიმართა დედოფლის თაოსნობით. მალე მონათლული შერიფი ჯვარდაწერილი მეუღლითურთ სხალთაში დაბრუნდა. რამდენიმე ხანს ეს ქალბატონი გახლდათ სხალთის ტაძრის მზრუნველი.

დუდი ხანუმის პიროვნება ჭეშმარიტად ნათელ ფურცელს ჰმატებს ქართველი ქალების გმირული ცხოვრების ისტორიას; იგი სამშობლოს ნათელი მომავლისათვის მუხლჩაუხრელი ზრუნვის მაგალითია; შთამომავლობა მისგან „ოვლილ“ გზას უნდა გაჰყვეს.

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“, – უთქვამს ლაიბნიცე. წვენი აწმყოც დიდებულ ფესვებზეა აღმოცენებული და გვეამაყება დიდად. ამიტომაც მტკიცედ გვჯერა ნათელი მომავლისა. დიდებული მანდილოსნის – დუდი ხანუმ ბეჯანიძის ფესვებზე ამოზრდილი იყო ცნობილი ქალბატონი ფიქრიე ხიმშიაშვილი, დუდი ხანუმის შვილიშვილის – ჯემალ ხიმშიაშვილის ქალიშვილი. ფიქრიეს დედა – საადეთ ბეგანიძე თავის გვარში გამორჩეული

ლი ასული იყო, კდემამოსილი, ქართული ლიტერატურის მცოდნე, განათლებული. მან შეასწავლა თავის შეილებს ქართული წერა-კითხვა, ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარული.

ფიქრიე ხიმშიაშვილი, დედისა და დიდედის მხგავსად, სილამაზით ქებული, შესანიშნავი მექართულე, განათლებული ქალბატონი გახლდათ; ექვს ენას ფლობდა. ქართულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, ფრანგულ, არაბულ, რუსულ ენებზე თავისუფლად შეეძლო საუბარი. კარგად იცნობდა ამ ენებზე შექმნილ მხატვრულ ლიტერატურას. იყო დაგვირისტებული, ოქრომკედით მქარგავი, მქსოველ-დეკორატორი, მუსიკისა და მხატვრობის მოტრფიალე და მცოდნე. იგი XX საუკუნის 20-40-იან წლებში ბევრი ქართველი ვაჟკაცის ტრფობის საგანი გამხდარა. მაგრამ თვითონ მას პირად ცხოვრებაში სრულყოფილ ბედნიერად თავი მხოლოდ 3-4 წლის მანძილზე თუ უგრძებნია. პირველი ქორწინება ხანმოკლე და უძედური გამოდგა. მისი მეუღლე შორეული მოგვარე, ცნობილი პიროვნება – **თახსიმ ხიმშიაშვილი** ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი შეიქმნა. გაზეთ „**სამუსლიმანო საქართველოს**“ ერთ-ერთი რედაქტორი, ახლად ჩამოყალიბებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაბული ენის მასწავლებლად **ა. შანიძის** მიერ მიწვეული, უგანათლებულები პიროვნება, ხუთი ენის საუკეთესო სპეციალისტი (ქართული, არაბული, ოსმალური, ფრანგული, რუსული) ბოლშევიკურმა რეჟიმმა სასიკვდილოდ გაიმეტა. გადმოცემის თანახმად, ჯერ სამსახურიდან დაითხოვეს, შემდეგ კი იგი მოწამდეს, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ გვაუბოდა, ბოლშევიკური ხელისუფლების იდეოლოგია არ მოსწონდა.

ახალგაზრდა ულამაზესი ქალბატონი, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის ქალიშვილი – ფიქრიე აჭარიდან განდევნებს; თბილისში გაასახლეს. მას სასტიკად ეკრძალებოდა აჭარაში ჩამოსვლა, მამა-პაპისეულ სახლში ცხოვრება. ერთხანს ულუკ-

მაპუროდ დარჩენილი ხელსაქმით ირჩენდა თავს: ნაქარგებს, ნაქსოვებს, სათამაშო თოჯინებს ამზადებდა გასაყიდად; მოელი დღე ქუჩაში იდგა, ყიდდა თავის ნახელავს და ისე შოულობდა სარჩოს. დვოის წყალობით, დედის ნათესავის – ნარგიზ ბეჭანიძის ბინაში ათევდა დამეს.

„დრო გადიოდა დუხვირ წუთისოფელში, „მაგრამ დმერთი არ გასწირავს“ წუთისოფლის მარწეხებში მოქცეულ კეთილ ადამიანებს; და ასეც მოხდა. თბილისში მაშინ, 1924-28 წლებში, უნივერსიტეტში სწავლობდა აზერბაიჯანელი თავადიშვილი, ყარაბაღელი ბეგის შვილი ილიუშა ახუნდოვი. მას შეუყვარდა ულამაზესი ფიქრი და ცოლად შეირთო; ისინი ბაქოში დასახლდნენ და შესანიშნავი ოჯახი შექმნეს, შვილები შეეძინათ.

ფიქრი სიმშიაშვილს გული მაინც აჭარისკენ, ხულოსკენ მოუწევდა; დარდობდა, აჭარაში ჩამოსვლა რომ ეკრალებოდა დიდხანს. მოელი სიცოცხლე აჭარის თბილ მიწას ოცნებით ეფერებოდა, დედის – საადეთ ბეჭანიძის საფლავი ესიზმრებოდა, მამისეული 180 წლის სახლი ენატრებოდა. სტამბოლელი სიმშიაშვილების თხოვნით მე მის სანახავად 1998 წლის აპრილში ბაქოში ჩავედი, გავეცანი ოთხმოცდაცხრამეტი წლის ქალბატონს და აღფრთოვანებული დავრჩი მისი გამძლეობით, სამშობლოს სიყვარულის ჩაუქრობელი გრძნობით. მან გადმომცა წინაპართა ფოტოსურათებისა და სამუზეუმო ექსპონატების ორიგინალები, რომელთა ასლები დღეს ამშვენებს აჭარაში არსებულ სიმშიაშვილთა მუზეუმებს; სურათების ორიგინალები კი ჩემს არქივშია დაცული.

ფიქრი სიმშიაშვილის ოცნება იყო ხულოში, მამაპაპისეულ ისტორიულ, 180 წლის სახლში სელიმ სიმშიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის გახსნა. მას სურდა თავის ოჯახში შემონახული ისტორიული წყაროები (მზითვის წიგნი, წერილები, საქმიანი ქაღალდები) ამ მუზეუმისთვის გადა-

ეცა. დღეს ეს საუნჯე ბაქოში ორჟან და საადეთ ახუნდოვების ოჯახებშია დაცული. აქედა ძვირფას ჩარჩოებში ჩასმული ოქრომკედით შესრულებული, დაგვირისტებული ნაქარგობის ნიმუშები. როგორც ცნობილია, ქარგვის ოსტატობის ეს სახეობა მომდინარეობს თამარ მეფის სასახლიდან. ამ ოსტატობის ნიმუშები შენარჩუნებული პქონდათ აჭარელ პირსახურისძეებს (ბეჭანიძეებს). დუდი ხანუმის მეშვეობით, ამ ხელოვნებას ეზიარა ხიმიაშვილთა საგვარეულოც. ამ საუნჯის დაპარგვას შთამომავლობა არ გვაპატიებს...

ხიმშიაშვილთა საგვარეულო სახლში დაბადებულ ქალბატონებს შორის სამშობლოს უსაზღვრო სიყვარელით გამოიჩევა მელათ ხიმშიაშვილი, დუდი ხანუმ ბეჭანიძის შვილთაშვილი, შერიფ ბეგის შვილიშვილი.

მელათ ხიმშიაშვილზე საუბრის დროს, უნებურად მახსენდება ცნობილი ნოველისტის, სახელოვანი მწერლის, ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა - „გული“. მოგეხსენებათ, მასში სულ რამდენიმე სტრიქონით ნაჩვენებია თავგადასავალი უცხოეთში გადახევწილი ქართველისა, სამშობლოზე დარდს რომ ვერ გაუძლო, დასნეულდა და ნაადრევად გარდაიცვალა. მეგობრებმა გვამი გააკვეთინეს; ნახეს, რომ მკვდარს გული აღარ პქონდა. სამშობლოზე სევდას გული ფერფლად ექცია. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა: მელათ ხიმშიაშვილის ცხედარიც რომ გავაკვთათ, გულის მაგივრად ფერფლი დახვდებოდათ.

...მელათი დაიბადა ზემო აჭარის ულამაზეს ადგილას, დაბა ხულოში 1922 წლის 14 ივნისს, პაჭი ალი სეიდიშვილი-ხიმშიაშვილის ოჯახში. მამა ვაჭრობას მისდევდა; სტამბოლიდან სამრეწველო საქონელი ჩამოჰქონდა აჭარაში და იმით ახერხებდა ოჯახის შენახვას, ხიმშიაშვილთა დიდი გვარის სიძეობას. გულისხმიერი, თავაზიანი, სტუმართმოყვარე პიროვნება ხიმშიაშვილთა საყვარელი სიძე გახლდათ.

მელაათის დედა – ქალბატონი **მინირე** – ხიმშიაშვილთა სახელოვანი შვილის – შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ქალიშვილი იყო, დანის მეფის ქრისტიან IX-ის (1818-1906) ძმის შვილიშვილი.

შერიფ ხიმშიაშვილი 1880 წელს პეტერბურგში მიიწვია რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრე მეორემ** (1855-1881 წწ.), აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეების დაბრუნების საქმეში გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად. პეტერბურგში ყოფნის დროს შერიფის პირად ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა...

შერიფი სამხერეთ-დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, აჭარიდან, პირველი ქართველი მუსლიმანი გახლდათ, რომელიც პეტერბურგში ქრისტიანულად მოინათლა. იგი მონათლა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ (1881-1894). ნათლობის სახელიც მეფე შეურჩია – **ალექსანდრე**. მალე შერიფმა ჯვარი დაიწერა ნადევდა დაგმარაზე – დანიელ პრინცესაზე და რუსეთის იმპერატორს დაუმოყვრდა. ამ ქორწინებით ხიმშიაშვილთა საგვარეულო, აგრეთვე, დაუახლოვდა ინგლისისა და დანიის სამეფო კარებს.

ალექსანდრე მესამის მეუღლეს – **მარია თეოდორეს ასულს** – სასახლეში სეფექალთა ამალა ჰყავდა. ამ ამალის საპატიორო წევრი იყო ნადევდა (ნადია) დაგმარა. რუსეთის იმპერიის დედოფალი, დანიის მეფის ქრისტიან IX-ის (1818-1906) ქალიშვილი – **მარია თეოდორეს ასული** – ნადევდას ღვიძლი ბიძაშვილი იყო; შერიფ ხიმშიაშვილის ნათლობისა და ჯვრისწერის დღესასწაულები სამეფო კარმა რომანოვების სასახლეში გადაიხადა.

ამიერიდან რუსეთისა და დანიის სამეფო კარი დაუმოყვრდა აჭარის მმართველ გვარს – ხიმშიაშვილებს. ეს მოყვრობა გაგრძელდა 1917 წლის ოქტომბერიდან, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის შვილის – **ნიკოლოზ მეორის** (1894-1917 წ.წ.) გადადგომამდე. იმ მდიმე დღეებში **ალექსან-**

დრე მესამის ქვრივი, ნიკოლოზ მეორის დედა – მარია თეოდორეს ასული (დაგმარა) ისვენებდა ლივადიაში (ყირიმის ოლქი, იალტასთან ახლოს), მკურნალობდა კარდიოლოგიურ სანატორიუმში. რუსეთის სამეფო კარის განადგურებამ, შვილის – ნიკოლოზ მეორის – წამებულმა სიკვდილმა, დაამძიმა დედოფლის ჯანმრთელობა. მას, როგორც დახვრეტილი ნიკოლოზ მეორის დედას, საფრთხე შეექმნა.

ინგლისის მაშინდედმა დედოფალმა ალექსანდრამ (1844-1925 წ.წ.) სამხედრო კრეისერი „მარლბორო“ გამოგზავნა ოდესაში, ლივადიაში, თავისი დის – ნიკოლოზ II-ის დედის ლონდონში წასაყვანად. რუსეთის იმპერიის ყოფილი დედოფალი მარია თეოდორეს ასული (ნიკოლოზ მეორის დედა) თავისი ამაღლით შეიფარა ინგლისის სამეფო კარმა. ამ ამაღლაში ირიცხებოდა შერიფ ხიმშიაშვილის ქვრივიც – ნადეჟდა (ნადია) დაგმარა. როგორც ცნობილია, შერიფი გარდაიცვალა პეტერბურგში 1892 წლის ზამთარში. ასე დაშორდა ნადია დაგმარა თავის ერთადერთ ქალიშვილს – მინირეს, რომელიც მაშინ სტამბოლში ცხოვრობდა ქმართან ერთად.

მაღვე ოსმალეთშიც დამბიძლა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ევროპის ძლიერი სახელმწიფოები, ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, ცდილობდნენ სტამბოლის დასაკუთრებას. **ჩანაქქალესთან** გამართულ ბრძოლაში (1915 წელს) ოსმალეთის მტრები დამარცხდნენ, მაგრამ სახელმწიფოს მმართველმა ორგანოებმა ვეღარ შეძლეს ხელისუფლების შენარჩუნება; ბოლო იმპერატორმა (ფადიშავმა), დედით ქართველმა – სულთან მეჰმედ გაჰიდუდინმა (1918-1922) სამეფო ტახტი დაკარგა.

ოსმალეთის იმპერიის გულში აღმოცენდა ახალი ძლიერი სახელმწიფო – **თურქეთის სახალხო რესპუბლიკა, ქემალ ათათურქის** მეთაურობით.

თურქეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გა-
მო, მელაათის დედმამა საცხოვრებლად სტამბოლიდან ხუ-
ლოში გადავიდა, **ჯემალ ბეგ სიმშიაშვილის** ოჯახში. ე.ი.
ძმამ შეიფარა დის – მინირეს ოჯახი. 1922 წელს მელაათი
დაიბადა. იგი ხულოში ცხოვრობდა 1935 წლამდე; მან აქ მი-
იღო დაწყებითი განათლება.

ბოლშევიკური მმართველობის მძიმე პერიოდმა მის
თვალწინ გაიარა. მელაათს ბოლომდე დაწვრილებით ახსოვ-
და ყველაფერი: ბოლშევიკები როგორ აგიროებდნენ ხიმში-
აშვილთა ოჯახებს, უმოწყალოდ ძარცვავდნენ, სიკვდილით
ემუქრებოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ; აბუჩად იგდებ-
დნენ ადებსა და ბეგებს (აზხაურებსა და თავადებს). სწო-
რედ, მაშინ განადგურდა საზოგადოების მოწინავე ნაწილი,
განათლებული ქართველობა: ბევრი განუკითხავად დახვრი-
ტებ, დახოცეს, ციმბირში გადასახლეს, სადაც, ცხოვრების
მძიმე პირობების გამო, მალე დაიხოცენენ. სამეცნიერო ლიტე-
რატურაში ობიექტურადაა შეფასებული ხიმშიაშვილთა
დვაწლი და დამსახურება სამშობლოს ნათელი მომავლისათ-
ვის ბრძოლაში. თურქეთში იძულებით გახიზნული ხიმშიაშ-
ვილების გვარი. „თურქეთისა და რუსეთის იმპერიის საზღ-
ვრებში მოქცეული, სამშობლოს გადასარჩენად იღვწოდა და
მწვავედ იწვნია რეპრესიების სუსტი – მათ სიკვდილით
სჯიდნენ, უწვავდნენ სახლ-კარს, ასახლებდნენ. მიუხედავად
ამისა, თურქეთში მცხოვრებმა ხიმშიაშვილებმა დღემდე მოი-
ტანეს თავისი გვარის ღირსება“ (ლორთქიფანიძე, 2004: 6).

მელაათის მშობლები იძულებული გახდნენ 1935 წელს
დაეტოვებინათ აჭარა და ყარსში გადასულიყვნენ. მათ მოი-
ნახულეს ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ხიმშიაშვილები, ამ
მხარეების გამგებლები. ყველანი – თლითისში, ტაოსკარში,
შავშეთში, არტაანში, არტანუჯში, ფოცხოვში მცხოვრები
ხიმშიაშვილები – ამ მხარეების ყოფილი გამგებლები – მძი-
მე პირობებში იმყოფებოდნენ. მალე თურქეთის მთავრობამ

ისინი გადაასახლა შიდა თურქეთში და გაფანტა. შემდეგ წლებში ნელ-ნელა წელში გაიმართნენ და სტამბოლში, ან-კარაში, ბურსაში გადმოსახლდნენ, რათა შვილებისათვის მი-ეღებინებინათ შესაბამისი განათლება.

ქალბატონი მელათი დიდი სიყვარულით იგონებდა ხუ-ლოში გატარებულ ბავშვობას. მას ხულოს საბაზო სკოლა-ში პქონდა მიღებული დაწყებითი განათლება. ხშირად იხსე-ნებდა **ნინო მასწავლებელს**, რომელმაც ქართული წერა-კითხვა ასწავლა. მისი მადლით ცხებულს დრმა სიბერეშიც კი ახსოვდა „დედა ენის“ ლექსები, ქართული წერა-კითხვა; უყვარდა ქართული ლიტერატურა..

მელათ ხიმშიაშვილმა დაამთავრა სტამბოლის უნივერ-სიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტი. მიიღო დაწყებითი სკო-ლის მასწავლებლის სპეციალობა. პენსიაზე გასვლამდე მას-წავლებლობდა. ძალიან უყვარდა ბავშვები. თავის ენერგიას უანგაროდ ახმარდა მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს. ნათესავების ბავშვებს ასწავლიდა ქართულ ენას, ქართულ წერა-კითხვას, საქართველოს ისტორიას. სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლებში აღვივებდა ისტორიული სამ-შობლოს სიყვარულს. მთავრობისაგან მიღებული პქონდა სი-გელები და ჯილდოები. სიკვდილამდე იღებდა დამსახურებუ-ლი პედაგოგის პენსიას.

სარფის კარის გახსნის შემდეგ, 1990 წლის შემოდგომა-ზე, მის შვილიშვილთან, **ენვერ ხიმშიაშვილთან** ერთად, ეს-ტუმრა სამშობლოს; მოიარა მშობლიური აღგილები. მომდევ-ნო წლებშიც რამდენიმეჯერ გაახარა გული სამშობლოს ნახვით. თუმცა მონატრების გრძნობა მაინც დაუკმაყოფილე-ბელი დარჩა. სულ ენატრებოდა მშობლიური კუთხე, სამშო-ბლოს დელფ-დურდანი; ბარში – კოპტია ბათუმი, ლილისფერი თვალხატულა ზღვა. მთაში კი... ხულოს სასახლის ეზო-კარ-ში გავლაზე ოცნებობდა. შადრევანთან მდგარი ხეების ჩე-როში ჩამოჯდომა ენატრებოდა. სასახლის სასტუმრო დარ-

ბაზში მდგარ, პეტერბურგიდან პრინცესა ელიზავეტას მიერ ნაჩუქარ, პიანინოს კლავიშებთან გათამაშება სწყუროდა. პაპისეულ მაღალ სარკეში ჩახედვას ნატრობდა და თანაც იდიმებოდა: „იმ სარკეში ჩემს ახალგაზრდობას დავინახავ... წლები მხრებიდან ჩამომცვივდება, ნაოჭები გამისწორდება, კვლავ ისეთი მოსაწონი შევიქმნები, ოდესდაც თაყვანისმცემლებს რომ ვუნახივარ და ამდერებულან: „**მიყვარს ვარდი, მომწონს ია, ბეგის ქალმა გადამრიალ**“...

ენატრებოდა ხულო, სხალთა, ნიგაზეული; სხალთის წყალში ჩაძირული მთვარე; ხულოს სასახლის ბაღის ძველი შადრევანი, სხალთის ტაძარი, ხულოს ძველი მეჩეთი, წინაპართა საფლავები, ხულოს გაღმა დამცავი კედელივით აღმართული არგინეთის ქედი....

ბედის უკუდმა ტრიალს რომ ასცდენოდა მელაათის ცხოვრება, ვინ იცის, როგორ ამაღლდებოდა იგი საზოგადოებრივ სარბიელზე, დანიის, რუსეთისა და ინგლისის სამეფო ოჯახების, ხიმშიაშვილთა სახელოვანი გვარის შთამომავალი, მუსიკისა და მხატვრობის მცოდნე და მოყვარე, დეკორატიული ქსოვისა და დაგვირისტებული ქარგის ოსტატი, ქართული ჩუქურთმის მესაიდუმლე...

მშობლიურ კერას მოშორებული, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონების – ფიქრიე და მელაათ ხიმშიაშვილების ოცნება იყო დაბა ხულოში, დიდი სელიმ ხიმშიაშვილისა და მისი შთამომავლების ისტორიულ, 180 წლის სახლში, სამშობლოს ერთიანობისათვის თავშეწირული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმის გახსნა. ორივე ქალბატონის ანდერძის თანახმად, მათ საცხოვრებელ ბინებში (ბაქოში, სტამბოლში) დაცული საარქივო მასალები და სამუზეუმო ექსპონატები ნაანდერძევია აღნიშნული მუზეუმისათვის. ღვთის შეწევნით, ეს მუზეუმი მართლაც გაიხსნება ხიმშიაშვილთა საგვარეულო სახლში, დაბა ხულოში და ეს ძვირფასი საუნჯეც იქ დაიდებს ბინას.

ბაქოსა და სტამბოლში უცხო, ცივ მიწას მიბარებული მათი სულები, ალბათ, მხოლოდ მაშინ დაისვენებენ და ზე-ციური საქართველოდან დალოცავენ მიწიერ საქართველოს. ჩვენც თხრობას დაგასრულებოთ ასევე უცხო, ცივ მიწაში მიბარებული გენიოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებით: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა ტბილსახსოვარნო!“...

ლიტერატურა:

1. **ლორთქიფანიძე, 2004:** – ლორთქიფანიძე ქეთევან, ლორთქიფანიძე გურამ, „პმედ აჯარი და ხიმშიშვილების გვარის ისტორია, თბილისი;
2. **უმიგაშვილი, 1883:** – უმიგაშვილი პეტრე, უსეინ-ბეგ ბექა-ნოდლი“, გაზეთი „დროება“, №60, თბილისი;
3. **ფრენკელი, 2012:** – ფრენკელი ალ., ნარკვევები ჩურუქესუზე და ბათუმზე, თბილისი;
4. **ფუტკარაძე, 1989:** – ფუტკარაძე შ., დუდი ხანუმი აჭარის მმართველი, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 25 აპრილი, ბათუმი;
5. **ფუტკარაძე, 2006:** – ფუტკარაძე შ., ჩვენებურების სულიერი საგანმცერი: „ნაწერი განძად დარჩების“, გაზეთი „სხალთის ზარები“, №2 (23), ბათუმი;
6. **ქასაბ, 2012:** – მურად ქასაბი, ოსმალეთის ქართველები, სტანბული;
7. **ყაზბეგი, 1995:** – ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი;
8. **ხიმშიაშვილი, 1879:** – ხიმშიაშვილი შერიფ, „გულწრფელი აღსარება“, იხ. გაზეთი „დროება“, №26, თბილისი;
9. **ჯანაშვილი, 1914:** – ჯანაშვილი დ., „ისტორიული სურათები“, გორი;
10. **Acar, 1995:** – AHmet Acar, TARIHTE HAMŞİOĞLULARI, Ankara;

11. Василевский, 1880: – Василевский Н., От Ахалциха через Годерзский перевал до Батума, см. «Военный сборник», №12, стр. 296, С. Петербург;

12. Потто, 1885: – Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, С. Петербург.

Shushana Putkaradze

Women from the Khimshiashvili Family

Summary

Georgian women wrote many glorious pages in the centuries-old history of the Georgian nation. They stood as strong pillars of families and motherland during the longtime history of Georgia. Georgian women, distinguished by their chastity and faith were considered as desired brides even by the neighboring nations. As a confirmation to this the article gives a didactic verse by a 17th century Turkish poet Niyazi Misri in which the poet praises Georgian women and advises his son to marry a virtuous Georgian woman. And indeed, Georgian women beautified the royal courts of Byzantium, Iran, the Seljuk and the Ottomans. They used to be the queens of high cultural and educational background, philanthropic, benevolent and charitable, as the historical sources mention about them (Martha-Mariam Bagrationi, Tamar Bagrationi – Gurji Khatuni, Tamta Atabagi, the daughter of Meskhian Shalikashvili, Mihri Shah Sultan, Bezmi Alem Valide sultan, etc.).

Apart from beauty and tenderness the Nature granted Georgian women with heroic spirit as well. They often fought beside the men for the defense of their motherland and bright future. They used to be martyrs for national ideals as well as tender lady-loves; they used to bear the names of mother-heroes, crowns of powerful queens and kerchiefs of honorable women. Our ancestors have always associated the feelings of be-

auty, virtue, kindness, love and motherhood with women. This national consciousness has respectively been reflected in the Georgian language. The language compares Georgian women with celestial luminary bodies, flowers, roses and light. The attitude towards women reflects the high inner culture of the Georgian nation, humanism, veneration of women and high spirituality. All, this is reflected in the Georgian language. In this respect especially interesting are the words “gatkhoveba” – “giving away as bride” and “meughle” – “a spouse”. The article deals with the contents and meaning of these words, the principle of naming as well as the richness of the language.

After a general introduction the article deals with the outstanding women living and working in the famous family of the Khimshiashvilis in Georgia. The readers get acquainted with Dudi Khanum Bezhanidze. I am her first researcher. On the basis of the information delivered by the Khimshiashvilis immigrated to Turkey as well as the sources found in Georgia I have presented the contribution of this historical lady to the Georgian society for the first time (see “Dudi Khanum – the Ruler of Ajara”, newspaper “Sabchota Achara”, 25 April, 1989, p.4). Dudi Khanum Bezhanidze was the daughter-in-law to Selim Pasha Khimshiashvili, the wife of his son – Ahmed Pasha Khimshiashvili. She was the ruler of Ajara in 1836-1850 until her son Sherif Beg Khimshiashvili became of the legal age. With her wise command she evaded Ajara - confined within the Turkish borders – from many troubles.

The article also deals with the main biographical episodes from the lives of Sherif Beg Khimshiashvili’s grandchildren – Pikrie Khimshiashvili and Melaat Khimshiashvili. These women were of tragic fate. They became the victims of the Bolshevik repressions. Pikrie Khimshiashvili died in Baku, while Melaat died in Istanbul.

All these three women of the Khimshiashvili family living and working in emigration were distinguished by physical and spiritual beauty and faithful love towards their motherland. New generations should be raised on the examples of such glorious Georgian women.

ნუგზარ ზოსიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორიის დოქტორი, პროფესიონალი

სალიმ ხიმშიაშვილის შვილთაშვილთა პატრიოტული მოღვაწეობა

ახალციხის სამთურიანი ფაშის სელიმ ბეგ ხიმშიაშვილის ანდერმა რეალური ხორცშესხმა პპოვა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად. შავშეთ-იმერხევი და აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს. ომამდე და ომის შემდეგაც ხიმშიაშვილთა დირსეულმა წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ მამული შვილურ საქმეში. ამჯერად, ჩვენ ყურადღებას დაუთმობოთ თემურ-ბეგისა და ნური-ბეგის ცხოვრება-მოღვაწეობას.

სელიმის შვილთაშვილებს შორის დირსეულ ადგილი უჭირავს აბდი-ბეგის ვაჟს ნური ხიმშიაშვილს, რომელმაც მამული შვილური დგაწლით თავისი სიტყვა თქვა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

სელიმ ხიმშიაშვილის სიკვდილით დასჯის შემდეგ მამის სამფლობელო შვილებმა გაიყვეს: აბდის ერგო შავშეთ-იმერხევი და სათლელი, ქორხუსეინს – ფანაკი, ღურსუნს – თაგასკერი, ხოლო აქმედს წილად ხედა აჭარა და არტანუჯი. აბდის გარდაცვალების შემდეგ, შავშეთ-იმერხევს ფლობდნენ მისი შვილები ნური და სელიმი. ნური-ბეგის შესახებ პირველი წერილობითი ცნობა მოგვაწოდა გიორგი ყაზბეგმა. იგი, პოლკოვნიკ გრიგოლ გურიელთან ერთად, 1874 წელს ხოფელ შინდობანში ეწვია ნური ხიმშიაშვილს. გ. ყაზბეგი შემდეგნაირად ახასიათებს მას: „ნური-ბეგი, სელიმ-ბეგის ძმა, ახალგაზრდა და ახალი წრთობის კაცია. მის მამულში (შინდობანში) მიეცა დასაბამი აბრეშუმის ჭიის წესიერ განვითარებას, კონსტანტინეპოლში გამოცემული სახელმძღვანელოს

მიხედვით, აქ სწორად არის დაგეგმილი თუთის ბაზი, აგრეთვე ბახჩა, სადაც იზრდება ფერადი კომბოსტო. გარდა ამისა, აქვს რამდენიმე ძირი ლივანური ვაზი. საერთოდ, ნური-ბეგის კარ-მიდამო თავის პატრონთან ერთად წარმოადგენს სასიამოვნო გამონაკლისს...“ (ყაზბეგი, 1876: 93).

როგორც ხიმშიაშვილთა გვარის სხვა წარმომადგელებმა, ნური-ბეგმაც განაცხადა თანხმობა, რომ კარს მომდგარ რუსეთ-ოსმალეთის ომში აქტიურად ჩაერთვებოდა სამხრეთ საქართველოს ოსმალეთის იმპერიის უღლისგან განთავისუფლების მიზნით. ომის შემდეგ რუსეთის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ჭ. ლიხოვგევი შემდეგნაირად აფასებს ნური ხიმშიაშვილის დგაწლს: „თურქეთთან უკანასკნელი ომის დროს (იგულისხმება, 1877-1878 წლების ომი – ნ. ზ.) შერიფ-ბეგმა, რომელიც აჭარის მმართველი იყო, საბოლოოდ დაიჭირა ჩვენი მხარე და შავშეთის მმართველის ნური-ბეგის თანაბრად გაგვიწია მნიშვნელოვანი სამსახური“ (ხიმშიაშვილი, 2003: 445).

ნური-ბეგის თაოსნობით შავშეთის მცხოვრებლები რუსების ჯარს სურსათითაც დაქმარნენ. ნური-ბეგის პოზიცია მიმდინარე ომში ნათლად ჩანს გენერალ ჭ. კომაროვთან გაგზავნილ მის კორესპონდენციებში.

1878 წლის 30 აგვისტოს, ნური-ბეგის ხელმძღვანელობით, ბათუმში შავშეთიდან, ართვინიდან და მაჭახლიდან ჩამოვიდა წარმომადგენლობითი დელეგაცია. მან თავის სიტყვაში კიდევ ერთხელ დაადასტურა ბათუმ-შავშეთ-იმერხევის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. ასევე, ნური-ბეგს ვხედავთ ქ. თბილისში 1878 წლის 20 ნოემბერს გამართულ ისტორიულ ბანკეტზეც, რომელიც დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით ქართველმა საზოგადოებრიობამ გაუმართა აჭარის დელეგაციის. 1880 წლიდან ნური ხიმშიაშვილი ინიშნება შავშეთ-იმერხევის უბნის უფროსად. ორ ათწლეულზე მეტი ნური ბეგი თავდადებით ემსა-

ხურებოდა თავის კუთხეს. 900-იანი წლების დასაწყისში იგი ხელისუფლების დავალებით ზედამხედველობას უწევდა ართვინის ოლქის ცალკეულ სოფლებსაც. საარქივო წერტილით დასტურდება, რომ იგი იყო იყო შავშეთ იმერხევის მოსახლეობის ქომაგი და ნუგეში. 1904 წლისათვის ნური ბეგ ხიმშიაშვილმა თადარიგის პოდპოლკოვნიკის ჩინით დაასრულა სახელმწიფო სამსახური.

ნური-ბეგი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართულ ინტელიგენციაში. მას ახლოს იცნობდნენ ილია ჭავჭავაძე, დავით კლდიაშვილი და სხვები. ილია ჭავჭავაძე ნური ხიმშიაშვილს აფასებდა, როგორც განათლების მომაგეს. ნური-ბეგ ხიმშიაშვილის დიდი ქართველობა და არსებულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღების, რეალური განსჯის ნათელი დადასტურებაა ილია ჭავჭავაძისადმი 1982 წლის მარტში გაგაზავნილი წერილი. იგი წერილში ასაბუთებდა შავშეთში ქართული სკოლის გახსნის აუცილებლობას „...რათა იქა მცხოვრებთა, რომელნიც ქალაქებს მოშორებულნი არიან, მიეცეს საშუალება, აღზარდონ თავისი შვილები და ასწავლონ მათ ჩვენი დედა ენა...“. ამისათვის ნური ბეგი ილიას თხოვდა ეშუამდგომლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე შავშეთში დანიშნულიყო მასწავლებელი და დანიშნოდა ჯამაგირი. თვითონ კი თავის თავზე იღებდა ვალდებულებას 60-80 ბავშვის სწავლისათვის სკოლის გასამართავად საჭირო ფართის უსასყიდლოდ გამოყოფას და მზად იყო დარიბებისა და ობლებისათვის მიეცა სწავლისთვის საჭირო სარჩო (ახვლედიანი, 1979: 221-222; ურნ. „ჭოროხი“, 1971, №1 : 70-71). სამწუხაროდ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა ნური-ბეგის თხოვნა.

რაც შეეხება ნური-ბეგის ოჯახს, მასზე უაღრესად მწირი ცნობებია შემორჩენილი. თითქმის უცნობია მისი ხი-

ცოცხლის ბოლო წლები. მიუხედავად ამისა ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნური-ბეგ ხიმშიაშვილი იყო დიდი ქართველი მამულიშვილის სელიმის იდეების დირსეული გამრგძელებელი.

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილიშვილმა თემურ-ბეგმა საკუთარი საქმიანობით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და თავისი სიტვა თქვა მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში. იგი დაიბადა 1867 წელს (სურმანიძე, 2006: 3). მას წილად ხვდა პატივი ეტარებინა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის მიერ მინიჭებული ახალი საგვარეულო ტიტული – ხიმშიევ ადეარსკი, რომელსაც დირსეულად ატარებდა აგრეთვე მისი სახელოვანი ბაბუა შერიფ-ბეგი.

თემურ-ბეგ ხიმშიევ ადეარსკიზე დღეისათვის ისტორიოგრაფიაში ორი რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება არსებობს: ის, როგორც თურქოფილი თავისი რთული ცხოვრებით და მეორე, როგორც ქართული საქმის მქონებელი მამულიშვილი!

მეფის რუსეთის სამსახურში მყოფი თემურ ხიმშიაშვილი სულ სხვანაირად წარმოაჩენს თავის ცხოვრებას, აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში და ცდოლობს რამენაირად მოერგოს ახალ რეალობას, რაც თუ ისე მარტივად აღსაქმელი იყო მისთვის. ახალ შემოერთებულ მხარეში მეფის ცარიზმი მტკიცებ იმკვიდრებდა პოზიციებს, რასაც ადექვატურად მოჰყვა გავლენიანი ფეოდალური გვარების, მათ შორის ხიმშიაშვილების პოზიციებისა და უფლებების შეზღუდვა. მიუხედავად ამისა ის მაინც არის სახელმწიფო სამსახურში და არ ამჟღავნებს აშკარა ანტირუსულ განწყობილებას. უფრო მეტიც, თემურ ბეგი 1913 წელს იყო პეტერბურგში წარგზავნილი ბათუმის ოლქის დელეგაციის წევრად, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რომანვების სამეფო დინასტიის 300 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ დონისძიებებში.

1904 წლიდან თემურ ბეგი აბასთუმანში ადგილობრივ პოლიციაში ეწევა სამსახურს. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერატრიცა მარია ფიოდოვნოვნასა და დიდი მთავარის მიხეილის მასპინძლობის ცერემონიალში. 1911 წელს მას კხედავთ აქტიური საქმიანობით ბათუმის ოლქის წოდებრივი კუთვნილების შემსწავლელ კომისიაში (სურმანიძე, 2006: 22).

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თემურ ბეგმა ძალა და ღონე არ დაიშურა ქართველთა მოძულების მიერ შეთითხნილი კწ. „აჭარელთა სახელმწიფო ღალატის“ გასაჭარწყლებლად. მან ამიერკავკასის ეგზარქოსსაც მიმართა და სთხოვა დახმარება განსასჯელების დასაცავად. იმ ავტელით ჟამს თემურ-ბეგი ხშირად წარმოადგენდა ქ. თბილისში ამ კუთხიდან წარგზავნილ დელეგაციის აქტიურ წევრს.

აისანიშნავია 1916 წლის მარტში კწ. „მოლალატე აჭარელთა“ დასაცავად ამიერკავკასიის მთავარმართებელთან გაგზავნილი დელეგაციის წევრის თემურ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვა. ეს შეხვედრა ვრცლად გაშუქდა იმჟამინდელ პრესაში. აქვე მოგვყავს თემურ ბეგის პატრიოტული სიტყვიდან ერთი ამონარიდი: „მართალია, დიდ გაჭირვებაში ვიმყოფებით, ქვეყნის ნახევარი დაგვარგეთ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო – ნ.ზ.), მაგრამ გახარებულნი ვართ, რომ ამ გაჭირვებაში ვცანით ჩვენი ნამდვილი ძმები და დავრწმუნდით მათს ძმურ გრძნობაში. დიდი ხნის განათლებულნიც რომ ვყოფილიყავით, შეიძლება მაშინაც ასე ძლიერად ვერ გვებრძნო ჩვენი ძმური განწყობილება“ (გაზ. „საქართველო“, 1916, №52).

თემურ ბეგის ქართული ორიენტაციის სიმტკიცის ნათელი გამოვლინებაა ისიც, რომ 1916 წელს, დედასთან, მესუდე ხანუმთან შეთანხმებით, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ორი ოთახი უანგაროდ დაუთმო ახლად გახსნილ თხილვა-

ნის ქართულ სკოლას. ყოველივე ეს, ნათლად აჩვენებს თვე-მურ-ბეგ ხიმშიევის დიდ ქართველობას.

ახლა გავაანალიზოთ თემურ ხიმშიევ ადჟარსკის ცხოვ-რების ბოლო პერიოდი, რაც საქართველოს დამოუკიდებლო-ბის ხანას ემთხვევა... აქ ნამდვილად ჩნდება კითხვები, რაც არასახარბიელო ჩრდილებს ფენს მის ცხოვრებას. მოვლენა-თა განსჯისათვის თვალი გავადგვნოთ სამეცნიერო თუ მემუ-არულ ლიტერატურაში დამოწმებულ ფაქტებსა და მოვლე-ნებს. ჩენს ყურადღებას იძყრობს 1995 წელს თურქეთში თვე-მურის შვილიშვილის პრემიე აჯარის ანგარაში თურქულ ენა-ზე გამოცემული 234-გვერდიანი წიგნი „პიმშიაშვილების ის-ტორია“. ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ რამაზ სურმანიძის აზრს იმის შესახებ, რომ ამ წიგნში და მის ქართულ თარ-გმანში (ლორთქიფანიძე, 2004), თემურ ბეგი წარმოდგენილია არა ქართული მენტალურობის საზოგადო მოღვაწედ, არამედ პრემიე აჯარი თავის დიდ ბაბუას საერთოდ ვერ ცნობს ქარ-თული სულისკვეთებით გამსჭვალულ პატრიოტად, უფრო მე-ტიც, იმუამინდელ ქართველ პატრიოტთა (ისკენდერ-ეფენდი ცივაძის, აბდულ დიასამიძის, ყადიოდლი ბოლქვაძის და სხვათა ქმედებებს აფასებს დალატად – თითქოსდა აჭარა მათ მაჰყიდეს საქართველოს!!!). ცხადია აქ საუბარია ქ. ბა-თუმში 1921 წლის მარტში განვითარებულ მოვლენებზე.

პრემიე აჯარს თავის წიგნში მოთხრობილი აქვს ერთი ცნობილი ფაქტის შესახებაც. კერძოდ, საუბარი ეხება 1914 წელს თემურ-ბეგის ხელმძღვანელობით აჭარელთა 200-კაცი-ან რაზმის არგაან-ართვინში განხორციელებულ სომხური მოსახლეობის ხოცვა-უდებაში მონაწილეობის მიღებას. ის-ტორიულ დოკუმენტთა სიმწირის გამო ძალიან მნელია ამ ფაქტის შეფასება... თუმცა, ავტორის აზრსაც ვერ გავიზია-რებთ, რომ ეს იყო მხოლოდ თურქოფილური განწყობის დე-მონსტრირება, რადგან ცნობილია სომებთა იმდროინდელი ანტიქართული ქმედებებიც.

თემურ ხიმშიევ ადგარსკის საქმიანობა ერთსახოვნად ვერ შეფასდება. როგორც ჩანს, იგი ყოველთვის ვერ ინარჩუნებდა მტკიცე პოზიციებს, რაშიც ძალიან დიდ როლს თამაშობდა არსებული პოლიტიკური სიტუაციაც. 1918-1920 წლებში საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მრავალ კატაკლიზმებს გაუძლო. უამრავი პატრიოტი შეეწირა უკომპრომისო ბრძოლას. მრავალი მათგანის სახელი ისტორიაში ვერც კი შემოგვინახა. თემურ ხიმშიევ ადგარსკი იმ ბობოქარი ცხოვრების შვილი იყო, რომელიც ადექვატურად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას პოლიტიკურ მოვლენებზე. ეს კარგად გამოჩნდა ოსმალთა საოკუპაციო რეჟიმისა (1918 წლის გაზაფხული-შემოღვამა) და 1921 წლის მარტის მოვლენების დროს, რაც ნამდვილად არ სძენს ხიბლს მისი საქმიანობის ამ პერიოდს. მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, თემურ ხიმშიევ ადჯარსკი მაინც დადებით პიროვნებად მიგვაჩნია.

სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავლებმა, მათ შორის ნური-ბეგ და თემურ-ბეგ ხიმშიაშვილებმა, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედა-სამშობლოსთან დაბრუნების საქმეში და დიდი პაპის ანდერძი – „აჭარა მაინც გურჯისტანს დარჩება“ – დირსეულად დაიცვეს.

ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1979: – ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი;

გაზ. „საქართველო“, 1916 წ., №52;

ზოსიძე, 1995: – ზოსიძე ხ., ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოქმედობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი;

ლორთქიფანიძე, 2004: – ლორთქიფანიძე ქ., ლორთქიფანიძე გ., „აძმედ აჯარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია“, თბილის;

უკრ. „ჭოროხი“, 1971, №1;

სურმანიძე, 2006: – სურმანიძე რ., თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი (ცხოვრება და მღვაწეობა), ბათუმი;

გაზბეგი, 1876: – გაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბილისი;

ხიმშიაშვილი, 2003: – ხიმშიაშვილი ი., ხიმშიაშვილები (წყაროები, დიტერატურა, პუბლიკაციები, წიგნი I, ბათუმი).

Nugzar Zosidze

Selim Khimshiashvili's Greatgrandchildrens' Patriotic Activity

Summary

The Will of Akhaltsikhe Phasha Selim Beg Khimshiashvili found its real implementation in the years 1877-1878 Russo-Turkish war. Shavshet-Imerkhevi and Adjara returned back to the homeland.

Before and after the war dignified representatives of Khimshiashvili family played an important role in this patriotic endeavor. At present, our attention will be drawn to Temur-Beg and Nuri-Beg's Life and work.

Selim Khimshiashvili descendants, including Nuri-beg and Temur-Beg Khimshiashvili have played an important role in the return of southwest Georgia to the homeland in the last quarter of XIX century and honorably defended the Will of their great grandfather: "Adjara will still belong to Gurjistan".

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნიმუში გვილა ეროვნულ-კოლეგიუმი თვალთახალვის ნარმომარენი პასუხი მიხეილ ჯავახიშვილის „არსენ მარაბლეშვილი“

მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937 წწ.) ქრონოლოგიური
თვალსაზრისით პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც
მხატვრულ ლიტერატურაში თუმცა ეპიზოდურად, მაგრამ მა-
ინც საქმაოდ ნათლად და შთამბეჭდავად წარმოსახა სელიმ
ხიმშიაშვილისა (1755-1815 წწ.) და მისი შემკვიდრეების ეროვ-
ნულ-პოლიტიკური თვალთახედვა და აქტიური როლი ოსმა-
ლეთის იმპერიის კირთებისაგან დედასამშობლოს ხანგრძლი-
ვი დროის განმავლობაში მოწყვეტილი მესხეთისა და აჭარის
განსათავისუფლებლად ბრძოლის საქმეში. მ. ჯავახიშვილამ-
დე მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესწავ-
ლის თვალსაზრისით პირველი წარმატებული ნაბიჯები ქარ-
თველ ავტორთაგან ცნობილმა მოგზაურებმა და ისტორიკო-
სებმა: დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, თედო სახოკიამ
და ზაქარია ჭიჭინაძემ გადადგეს.

რაც შეეხება მხატვრულ ლიტერატურას, მ. ჯავახიშვი-
ლის შემდგომდროინდელ ქართულ მწერლობაში სელიმ ხიმ-
შიაშვილისა და მისი შთამომავლების ეროვნულ-პოლიტიკუ-
რი მოღვაწეობა და მეტად მნიშვნელოვანი დამსახურება აჭა-
რისა და ოურქეთის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობა-
ში მიტაცებული სხვა ქართული მხარეების დედასამშობ-
ლოსთან შემოერთების საქმეში არაერთი მწერალისთვის იქ-
ცა შემოქმედებითი შთაგონების წყარო.

ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, მაინც აჭარაში მოღვაწე მწერლები გამოირჩევიან (ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, ჯემალ ჯაველი, ზურაბ გორგილაძე, შოთა ზონძე...). მათ მხატვრულ ტექსტებში ღრმად შთამბეჭდავი სახით აისახა ხიმშიაშვილთა წინამდოლობით ხანგრძლივი დროს განმავლობაში მიმდინარე ის ბრძოლები, რომელთაც აჭარის მოსახლეობა აწარმოებდა ოსმალეთის იმპერიის კირთებისაგან მათი მხარის განსათავისუფლებლად.

ხიმშიაშვილთა ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის წარმოჩენას მ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ისტორიულ რომანში – „არსენა მარაბდელი“ (1925-1932 წწ.). კერძოდ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1828-1829 წლებში მიმდინარე ომთან დაკავშირებული ამბების თხრობის დროს, რის შედეგადაც ჩვენს ქვეყანას კვლავ შემოუერთდა მნიშვნელოვანი ნაწილი თსმალთა მიერ თო საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მიტაცებული ქართული ტერიტორიებისა, მწერალმა სელიმ და ახმედ ხიმშიაშვილთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამისის გამომხატველ პასაჟებსაც მიაპყრო მკითხველის კურადღება.

როგორც მ. ჯავახიშვილისეული მონათხოვიდან ნათლად ჩანს, იგი საკმაოდ კარგად იყო გარკვეული ისტორიულ მოვლენათა არსები და ძირითადად მართებულ შეფასებას აძლევდა სელიმ ხიმშიაშვილისა და მისი მემკვიდრის – ახმედის (1781-1836 წწ.) დამოკიდებულებას იმ პოლიტიკისადმი, რომელსაც ოსმალეთი და რუსეთი ატარებდნენ ქართული სამეფო-სამთავროების მისასაკუთრებლად.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ყოველივე ზემოთქმულის არსებ, განვიხილავ შესაბამის ეპიზოდებს მიხეილ ჯავახიშვილის ხსენებული ნაწარმოებიდან.

როგორც რომანიდან ვიცით, ბატონებური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის გამო ხელისუფლებისაგან დევნილმა არსენა მარაბდელმა თავი ახალციხეს შეაფარა. ეს

ამბავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1828-1829 წლებში მიმდინარე ომის დროს მოხდა, რის გამოც არსენა და მისი ძმობის წევრები, მათდა უნებურად, ამ ომის მონაწილეებადაც იქცნენ. ახალციხეში არსენას გადახვეწა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი და ახალციხის საფაშოდ გარდაქმნილი მესხეთი იმსანად, მწერლის თქმით, „ცხო ქვეყანას,“ „ხონთქრის მიწას“ წარმოადგენდა, სადაც რუსული კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა და ე. წ. რუსეთის საქართველოდან გამოქცეული დევნილები თავს იქცნავთ აფარებდნენ.

მ. ჯავახიშვილის შეფასებით, ოსმალეთის დაქვემდებარებაში მოქცეული „სამუხლიმანო საქართველო“ მაშინ „ამ“ „საქართველოზე უფრო თავისუფალი იყო,“ რის გამოც იქაურებმა „უთვალავი დევნილი შეიკედლეს და საცხოვრებელიც გაუჩინეს“ (ჯავახიშვილი, 1961: 449).

„კურაზანას ბუდისა“ და „ჩამოგდებული ნამგალა მთვარის“ სახელებით დასათაურებულ რომანის იმ ნაწილებში, რომლებშიც რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებული ამბებია მოთხოვნილი, მ. ჯავახიშვილმა მეტად საინტერესოდ წარმოგვიდგინა იმუამინდელ ახალციხეში არსებული ვითარება და რუსეთსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე იმ ომის პერიპეტიები, რომელმაც ქართველობა თრ, ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ, ბანაკად გაჰყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოშში რუსეთის გამარჯვებით ქართველი ხალხი თავის მრავალსაუკუნოვან თცნებას ისრულებდა და დაკარგდებოდ ქართულ ტერიტორიებს იბრუნებდა, ოსმალეთის მიერ მიტაცებულ მესხეთში მცხოვრები ჩვენი მოძმეუბის დიდი ნაწილი მაშინ სხვაგვარად ფიქრობდა და რელიგიური რწმენიდან გამომდინარე, რუსეთის დაქვემდებარებაში ცხოვრებას სიკვდილს არჩევდა.

იმის გამო, რომ რომანში ისტორიული ვითარების ზედმიწევნითი სიმართლით წარმოსახული ამ მდგომარეობის შე-

სახებ საფუძვლიანი მსჯელობა ამჯერად ჩემს მიზანს არ წარმოადგენს, მასზე საუბარს მეტად აღარ გავაგრძელებ და მას მხოლოდ იმდენად შევეხები, რამდენადაც ამ პროცესში მაშინ სელიმ ხიმშიაშვილის შვილებიც იყვნენ აქტიურად ჩართულნი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე ზემოთ ხელნებული ომის დროს სელიმ ხიმშიაშვილი უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, ოსმალეთის იმპერიის კირთებისაგან მისი მშობლიური მხარის – მესხეთის განსათავისუფლებლად მისი გმირული ბრძოლისა და სიკვდილის დასჯის ამბავს მ. ჯავახიშვილი მაინც იხსენებს. ეს ყველაფერი მას უპირველესად იმისთვის სჭირდება, მკითხველს უფრო სიღრმისეულად და შთამბეჭდავად რომ დაანახოს აღნიშნული ომის დროინდელი ვითარების ნამდვილი არსი.

მ. ჯავახიშვილის მონათხობში ერთმნიშვნელოვნად ეს-მება ხაზი იმ გარემოებას, რომ ოსმალთა და რუსთა ამ საომარ დაპირისპირებაში თურქეთის მხარეზე მებრძოლ ქართველთა თავგანწირვა ეროვნულ ინტერესებზე უფრო მეტად მათი მუსლიმანური რწმენით იყო განპირობებული. მათ შორის იყვნენ ხიმშიაშვილებიც, რომლებიც იმდროინდელ მესხეთში ერთ-ერთ ყველაზე მეტად დაწინაურებული და სახელისუფლებო ასპარეზზე აღზევებული იმ გვარის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მათი მხარის მართვა-განმგებლობის საქმეში.

კერძოდ, მწერლის თქმით, არტაანელი და აჭარელი ხიმშიაშვილები ახალციხის საფაშოს სათავეში „სხვის ხიშტებით, ორი თუდით, ორი გულით, ორი სულით და ერთი პირობით“ მოვიდნენ – „რომ ისინი ოსმალებზე უფრო მკაცრ ოსმალობას გამოიჩნდნენ და ქართულ ბუდისას ნავლსაც კი არ დასტოვებდნენ“ (ჯავახიშვილი, 1961: 420).

მესს ქართველთა ეროვნული ცნობიერების ამგვარი დეგრადაციის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად მწერალი, უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთის ხელისუფლების მიერ გატარებულ იმ მზაკვრულ რელიგიურ პოლიტიკას მიიჩნევს, რომლის არსიც რომანში შემდეგნაირადად განმარტებული: „ოსმალებმა მახვილს ცეცხლი და ოქრო მიაშველეს. რჯულ-შეცვლილს ყველაფერით – ბაჯაღლო, უფლება, წეაღლობა, მიწა და განდიღება, კრაზანა გურჯებს კი – ხარკი, საქაჯავი, ტყვეობა, ხუნდი და ძაღლის ბედი. მათ ესეც ეყოფათ! მათოვის ესეც ბევრია!

რამდენიმე საუკუნემ, შეგუების კანონმა და „სიცოცხლე ტაბილია“-ს ჩერჩულმა მესხეთ-ტაო-კლარჯელებს ძველი სული გამოაცალეს და ჰაერილა დაუტოვეს. „ოღონდ მაჰმადის სული ჩავტეროთ და სამოსელი ისევ თავიანთი ეცვათ“ – ამბობდნენ ფაშა-ხოჯები და ძველ დვინოში ახალ შხამს ურევდნენ. მერე სამოსელიც კი გამოაცვლევინეს“ (ჯავახიშვილი, 1961: 420).

როგორც რომანის გ. წ. ახალციხურ ეპიზოდებში დაბეჭითებით ესმება ხაზი, ოსმალეთის დაქვემდებარებაში მოქცეული მესეთის მკვიდრთა ეროვნული ცნობიერება ყოველივე ზემოთქმულის შედეგად იმდენად აღმოჩნდა „მოწამლული“, რომ ზემოთ ხსენებულ იმში ისინი ოსმალებზე მეტი თავგანწირვით იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. მ. ჯავახიშვილის თვალთახედვით, ჩვენი გამაჰმადიანებული მომქენების ამგვარი პროცესმაღური სულისკვეთება იმით კი არ იყო განპირობებული, ისინი საქუთარ ეროვნულ იდენტობაზე საპუთარი ნება-სურვილით რომ ამბობდნენ უარს, არამედ იმის შიშით, რომ რუსეთის იმპერიაში მოქცევით მათ უკვე აღარც ეროვნული თვითმყოფადობა შერჩებოდათ და აღარც ის უფლებამოსილებანი, რაც მაჰმადიანური რელიგიის მიღების ფასად მიანიჭათ ოსმალეთის ხელისუფლებამ.

რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებული ომის მონაწილე ხიმშიაშვილების ეროვნულ-პოლიტიკურ მრწამსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად მ. ჯავახიშვილი იმ დაპირისპირებებსაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას, მათ წინაპრებს რომ პქონდათ ოსმალეთის ხელისუფლების მესვეურებათ.

მწერლის თქმით, იმისდა მიუხედავად, რომ მათ „მაკმადის დროშას შეაფარეს გოროზი თავი, იგი მაინც ვერ მოდრიქეს საბოლოოდ. ხიმშიაშვილებსაც ათაბაგების ფიცხი სისხლი უდიდეთ და უკვე დაკარგულ ხელისუფლებას ისინიც ქილებით და ჭანგებით ეჭიდებოდნენ. როცა ახალციხეში ოსმალო ფაშა იჯდა, ათაბაგი – ხიმშიაშვილი ციხის გალავანში მხოლოდ ათასი მხედრის თანხლებით და საკუთარი დროშის ფრიალით შედიოდა. ამგვარი სტუმრობა უფრო მტრის შემოჭრას ჰგავდა, ვიდრე ხელქვეითის ხლებას. და ამიტომ ოსმალები ზარბაზნებს სტენავდნენ, ციხის კარებებს ჰკეტავდნენ და სანგრებს ამზადებდნენ. ოსმალო ფაშა ამ დროს შიდა-ციხეში იჯდა ჩაკეტილი და მოითხოვდა, რომ ათაბაგი ან ხიმშიაშვილი მარტო პხლებოდა მას. მაგრამ როცა სტუმარ ბეგს კარს შეუდებდნენ, მას ძალით ოციოდე მხლებელი შეჰყვებოდა და ფაშას სასაუბრო კილოს შეაცვლევინებდა ხოლმე. ოსმალოს ჯარი აზღარებებული იდგა და მეზარბაზნენიც ნიშანსდა ელოდებოდნენ, რათა ქედმადალი გურჯი ბეგები სამუდამოდ მოედრიკათ, მაგრამ თვითონაც შიში პქონდათ და ვერ „უბედავდნენ“ (ჯავახიშვილი, 1961: 422).

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, აქვე ისიც ითქვას, რომ მ. ჯავახიშვილის არაერთგზისი ხაზგასმით, ხიმშიაშვილების, ჯაყელებისა და ოსმალეთის სახელისუფლებო ასპარეზზე აღზევებულ სხვა ქართველ და არაქართველ დიდგვაროვანთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას ერთმანეთან საფუძვლად ხშირ შემთხვევაში ეროვნულ ინტერესებზე

უფრო მეტად მათი ამბიციური და კარიერისტული მისწრავები ედო. მათ შორის, პერმანენტულად მიმდინარე ამგვარი ბრძოლები, რომელთაც ხელისუფლების მესვეურები თავიანთი ძალაუფლების კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად იყენებდნენ, ხშირად ბევრი მათგანის მკვლელობითაც მთავრდებოდა.

მაგალითად, აი, როგორ აღწერს მწერალი ახალციხის საფაშოს ტახტის დასაუფლებლად ხიმშიაშვილებსა და ჯაველებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე ამ ბრძოლას ერთგან: „ხუთმეტიოდე წლის წინათ ტრაპიზონის სარასკირი შერიფი და აჭარელი სელიმ ხიმშიაშვილი ერთმანეთს მიუსიეს და ურთიერთი შეაჭმევინეს. ჯერ სელიმ ფაშამ გააგდო შერიფი და ახალციხეში დაჯდა. აზრუმის სარასკირი გაწყრა და სელიმ ფაშას შემოუტია. მაგრამ მესხებიც გაჯავრდნენ და ისე შემუსრეს ოცდახუთიათასი მეომარი, რომ სელიმს ამბავის წამდებიც კი არ დაუტოვეს. ფეხლევანი სელმეორედ წამოვიდა, სელიმი ხახას-ციხეში შეამწყვდია, მისი კარი ოქროთი გაადებინა და ურჩი გურჯის თავი ხონტეარს გაუგზავნა. გახარებული შერიფ ფაშა მესხეთის დასაბრუნებლად ეახლა ფეხლევანს, მაგრამ მან მისი თავიც სელიმის თავს დაადევნა. ასე დაისაჯა ორივე ფაშა, რადგან მათ ჩურჩული გაებათ რუსებთან“ (ჯავახიშვილი, 1961: 422).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მ. ჯავახიშვილის რომანში იმ გარემოებასაც ერთმნიშვნელოვნად ესმება ხაზი, რომ სელიმ ხიმშიაშვილის ფარულ მოლაპარაკებებს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან საფუძვლად, უპირველეს ყოვლისა, მისი ეროვნული მიზანსწრავგა ედო. სამუსლიმანო საქართველოს მართვა-განმგებლობის სადავების ხელში ჩასაგდებად სელიმ ხიმშიაშვილის ხანგრძლივი და უკომპრომისო ბრძოლა, მართალია, პიროვნული ინტერსეპტორის მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული, მაგრამ,

როგორც მ. ჯავახიშვილის რომანიდანაც ნათლად ჩანს, ამ ბრძოლას მკვიდრ საფუძვლად, პირველ ყოვლისა, მაინც მისი ეროვნულ-პოლიტიკური მიზანსწრაფვა ედო, დაუცხრომებლი სურვილი იმისა, რომ ისტორიული ავბედობის გამო ოსმალეთის მიერ მისაკუთრებული მესხეთი კვლავ შემოერთებოდა დედასაშობლოს.

სიკვდილით დასჯის წინ სელიმ ხიმშიაშვილის მიერ შთამომავლობისთვის ანდერძად დატოვებული ეს დიდი ოცნება მ. ჯავახიშვილის რომანში ამ სიტყვებითაა გაცხადებული: „ფაშავ, გადაეცი სულთანს, რომ ჩვენ მუსლიმანები ვართ, მაგრამ გურჯებიცა ვართ და ოდესმე ჩვენს ძმებს ქრისტიანებს შევუერთდებით. საცაა ეს დროც მოვა და თქვენი აღსასრულის დღეც მაშინ დადგება“ (ჯავახიშვილი, 1961: 423).

იქიდან გამომდინარე, რომ მ. ჯავახიშვილის რომანში რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომთან დაკავშირებული ამბებიცაა მოთხრობილი, მწერალმა ამ ომში ხიმშიაშვილის მემკვიდრეთა, პირველ ყოვლისა კი ახალციხის იმჟამინდელი ფაშას – ახმედის მონაწილეობასაც მიაპყრო ყურადღება და საკმაოდ ნათლად წარმოსახა მისი ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა.

მ. ჯავახიშვილის მიერ ხორცშესხმული ახმედი მამის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების ერთგულად დამცველი ის პირვნებაა, რომლის უმთავრეს ცხოვრებისეულ ორიენტირად სელიმის მიერ თავის მოკვეთის წინ დატოვებული ანდერძია ქცეული. მიუხედავად იმისა, რომ ახმედი ოსმალეთის სახელისუფლებო კარზე იმდენად პატივგებული პირვნება იყო, რომ საკმაო დროის განმავლობაში ახალციხის საფაშოსაც ედგა სათავეში, მის უზენაეს ეროვნულ იდეალს, პირველ ყოვლისა, მაინც ოსმალეთის მიერ მისაკუთრებული მშობლიური მხარის დედა გურჯისტანთან შეერთება წარმოადგენდა.

როგორც ახმედ ხიმშიაშვილის მიერ შვილისთვის დატოვებული ანდერძიდან ნათლად ჩანს, ამ დიდი ეროვნული ოცნების რეალურად განხორციელებას იგი რუსეთთან მოკავშირობის გზით ხდიდა შესაძლებლად: „იცოდე, შერიფ, – უთქმამს სიკვდილის წინ მას შვილისთვის, – რომ ადრე თუ გვიან, ჩვენს მხარეს დაიყრობს რუსეთი ისე, როგორც დაიყრო ახალციხე და სხვა მხარეები. იქონიე მეგობრობა რუსებთან და მოსაზღვრე მცხოვრებლებთან. ჩვენი პავა (ბედიდბალი) რუსებზე იქნება დამოკიდებული. იცოდე, რომ ჩვენი გზა იქნება იქით და არა სტამბოლისაკენ“ (კომახიძე, 2002: 119).

ახმედ ხიმშიაშვილი მისი ამ ეროვნული იდეალის განხორციელების გზაზე არსებულ სირთულეთა გადალახვას უწინარესად თავისი აქტიური ლავირებული პოლიტიკით ცდილობდა და გარეგნულად ვითომდედა ოსმალეთის იმპერიული ხელისუფლების სამსახურში უდალატოდ მდგომი, რუსეთის მაღალჩინოსნებთან მართავდა ფარულ მოლაპარაკებებს.

ახმედის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის მკაფიოდ გამომხატველი ეს პოლიტიკური მანევრირება რომანში ასეა წარმოსახული: „ახმედ ფაშა ხშირად იმეორებდა ქართულ ანდაზას: „არ გათეორდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითა“. და არც თეორდებოდა. მამის მოჭრილი თავი მას ნიადაგ თვალწინ ედგა, მისი უკანასკნელი სიტყვებიც წმინდა ანდერძად მიაჩნდა და მუდამ ბეჭვის ხიდზე დადიოდა. დაჯდა თუ არა ახმედი მამის ალაგას, იმანაც მაშინვე გაუბაძაფი ერმოლოვს და შეუთვალა: ჩვენი სურვილია რუსული კანონი, ქართული ენა და მუსლიმანური რჯულიო. ერმოლოვმა შუამავლად ბებუთოვი აირჩია, რომელსაც რუსული საბეჭურები, ქართული თავადობა და სომხური სისხლი ჰქონდა, ხოლო ზურგის უკან კათოლიკოსი ნერსესი და ეპისკოპოსი კარაპეტი ედგა“ (ჯავახიშვილი, 1961: 423).

ერმოლოვთან გამართული წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ ახმედ ხიმშიაშვილმა შუამავლები კავკასიის ჯარების მთავარსარდალს, გენერალ პასკევიჩსაც გაუგზავნა და „ერთხელ კიდევ შეეხვეწა: კანონი რუსული, ენა ქართული და რჯული მუსლიმანური. მაგრამ კავკასიის მთავარმართებელს საკუთარი ფორმულა ჰქონდა: სჯული მუსლიმანური, ენა და კანონი რუსული. პასკევიჩი მაშინაც არ უთმობდა ხიმშიაშვილს, როცა ორთავიანი არწივი ბორჯომს ვერ გასცილებოდა და ახლა რაღად დაუთმობდა, როცა მესხეთ-ჯავახეთში ნახევარზე ნაკლები ქართველი დარჩა და იქაურობაც უკვე ხელთ ეჭირა? რაღად დაუთმობდა იარაღაყრილსა და განახევრებულ მესხებს, რომელნიც რუსეთის იმპერატორს ყოველგვარი უფლების დათმობას სთავაზობდნენ, ხოლო თავიანთვის კი თავისუფლების მცირე ნაწილს იტოვებდნენ – იტოვებდნენ უფლებას დედაენაზე ელაპარაკათ, დედაენაზე ეძიათ სამართალი და დედაენაზე ემართნათ მცირე სოფლურ-კუთხეური საქმენი“ (ჯავახიშვილი, 1961: 470).

როგორც დამოწმებული ციტატებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ახმედ ხიმშიაშვილი ეროვნულ-სახელმწიფო უნივერსიტეტის თავისუფლების დათმობის სანაცვლოდ, რუსეთის ხელისუფლებისაგან თრი უმთავრესი პირობის აუცილებლად შესრულებას მოითხოვდა – მშობლიური ქართული ენის შენარჩუნებას, რაც, ფაქტობრივად, ეროვნული იდენტობის დაცვის მტკიცედ გარანტირებული პირობა უნდა ყოფილიყო და თავიდან თუმცა ძალდატანებით მიღებულ, მაგრამ შემდგომში უკვე ღრმად შეთვისებულ მაკმაღლიანურ სარწმუნოებაზე ლოცვის უფლებას.

მაგრამ როცა ახმედ ხიმშიაშვილის ამ მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყვა, ისიცა და მისი მებიც იმ საომარ ბატალიათა აქტიური მონაწილეები გახდნენ, რომელთა ორივე მხარეს ყველაზე მეტი გააფორებით პირველ ყოვლისა ქართველები იბრძოდნენ. მ. ჯავახიშვილის რომანში ეს ტრა-

გიკული მოვლენა უმძაფრესი ემოციურობითა და ისტორიული სიმართლითა აღწერილი.

ნათქვამის დასტურად, ვფიქრობ, ნაწარმოების ამ ეპიზოდის გახსენებაც იქნება საქმარისი: ახალქალაქის ციხეში გამაგრებულ ფერხად ბეგ სიმშიაშვილს ციხის ასაღებად დიდ-ძალი ჯარით მისულმა რუსმა გენერალმა პასკევიჩმა დანებება მოოხოვა, მაგრამ მისგან ასეთი პასუხი მიიღო: „მე სელიმ ფაშას შვილი ვარ და მაგგვარი სიტყვა არ უნდა გეპადრებინა ჩემთვის. გარდა ამისა, ჩვენ ერევნელები და ყარსელები ნუ გგონივართ, – შეუბრუნა ქედმაღალმა აჭარელმა. – ჩვენ ძარღვებში მაჰმადის მიერ ნაცურთხი გურჯის სისხლი სდულს და თითო მესხი ათ ერევნელს მაინც უდრის“ (ჯავახიშვილი, 1961: 427).

როგორც მწერლისეული მონათხოვიდან ნათლად ჩანს, სელიმ სიმშიაშვილის მემკვიდრემ და მისმა ქართველმა მეციხოვნებმა ამ სიტყვების სიმართლე არა მარტო ციხესიმაგრის დაცვის დროს გამოჩენილი გმირობით დაამტკიცეს, არამედ საკუთარი სიცოცხლის გაწირვითაც. ახალქალაქის ციხეში შესულ პასკევიჩს ასეთი სურათი დახვდა: „ათასი მეციხოვნე იყო და ექვსასი დამარხეს. ფერხად ბეგი სიშტებით იყო დაცხრილული. არტაანის გზით მომავალმა ქოხა ფაშამ შემოუთვალა მას, ან მოკვდი, ან მანამდე შეაჩერე რუსი, მანამ ახალციხეში შესვლას დავასწრებო. ციხის თავმა ბრძანების ორივე ნახევარი შეასრულა.“

რუსეთ-თურქეთის ომში ოსმალეთის მხარეზე ასეთი თავგანაწირვით არა მარტო სელიმ სიმშიაშვილის მემკვიდრენი და ე.წ. სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრნი იბრძონენ, არამედ თვით რუსეთის მიერ დაპყრობილი ჩვენი ქვეშნის სხვადასხვა მხარეებიდან მუსლიმან მომქეთა დასახმარებლად წასული ქრისტიანი ქართველებიც. ვითარების ამგვარი წარმოსახვით მკითხველს ერთი შეხედვით შეიძლება ისეთი წარმოდგენაც შეექმნეს, თითქოს ოსმალეთსა და რუს

სეთს შორის მესხეთის მისასაკუთრებლად გაჩაღებულ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში მ. ჯავახიშვილი მხარს ოსმალეთს უფრო მეტად უჭერდეს.

მაგრამ, როგორც რომანიდან ნათლად ჩანს, ამგვარი და-ეჭვებისთვის რეალური საფუძველი არ არსებობს, რადგანაც მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დედაბუდიანად გამოსული ქართველები ამ შემთხვევაში ოსმალთა იმპერიულ ინტერესებს კი არ ეწირებოდნენ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ მიწა-წყალს იცავდნენ ახალი და უფრო სასტიკი დამპყრობლისაგან. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას რომანის თუნდაც ეს ფრაგმენტიც ადასტურებს:

„როცა რუსების შეტევისგან უმძიმეს მდგომარეობაში ჩა-ვარდნილმა ოსმალურმა მხარემ პასკევიჩს რამდენიმედღიანი დაზავების თხოვნით შუამავლები გაუგზავნა, ამ ამბით აღ-შფოთებულმა ახმედ ხიმშიაშვილმა და სამუსლიმანო საქარ-თველოს მკვიდრმა ქართველებმა თავიანთი პროტესტი ამ საქმის ინიციატორ ქოსა ფაშას ამ სიტყვებით განუცხადეს: „ოქვენ აქ სტუმრები ხართ, ჩვენ კი მასპინძლები. თქვენ ხელცარიელი მოსულხართ და ისევ ხელცარიელი გაბრუნ-დებით, ჩვენ კი გიაურებს უნდა დავუტოვოთ ჩვენი სახლ-კა-რიც, ბაღებიც, მამულიც, წინაპართა საფლავებიც და თქვენ უნდა წაგყვეთ. ოსმალეთი ჩვენთვის უცხო ქვებადა და არა-გინ გვიპატრონებს... ამიტომ ჩვენს ბედს მარტო ეს ხმალი გადასჭრის“ (ჯავახიშვილი, 1961: 435).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს, სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა თავგანწირული ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთის მხარეზე მათ დგომას კი არ წარმოადგენს, არამედ საკუთარი სამშობლოს დაცვას ახალი დამპყრობლის ხელყოფისაგან. ასე რომ, თა-გად მწერლის მიერ ნათქვამს სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „ისინი იბრძოდნენ თავიანთი თავისუფლებისთვის და ახალი სამშობლოსთვის. იგი მუსულმანური იყო, სამაგიეროდ, ისინი

იქ უფრო ლალად ცხოვრობდნენ და მათ ეს ახალი სამშობლოც რომ დაკარგვოდათ, მაშინ უკლებლივ ყველაფერი და-ეკარგებოდათ“ (ჯავახიშვილი, 1961: 449).

მიუხედავად იმისა, რომ ხიმშიაშვილებთან დაკავშირებული ამბების მოთხოვნის დროს, რომანის ძირითადი სამოქმედო სივრციდან გამომდინარე, მ. ჯავახიშვილი უმთავრესად ახალციხეში განვითარებულ მოვლენათა შესახებ საუბრით შემოიფარგლება, ისტორიული ვითარების ღრმად მცოდნე მწერალი აჭარაში იმხანად არსებულ მდგომარეობასთან და-კავშირებითაც გვაწვდის თუმცა მეტად ფრაგმენტულ, მაგრამ ისტორიულად ზუსტ ინფორმაციას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ახმედ ხიმშიაშვილის დასასჯელად აჭარაში რუსი გენერლის – ოსტენ-საკენის ლაშქრობის ამბის ავტორისეული მონათხობი. მასში მწერალმა მკითხველის ყურადღება რომანის ძირითადი სიუჟეტისაგან სრულიად განშტოებულ ისეთ ისტორიულ მოვლენებსაც მიაპყრო, როგორებიცაა: რუსი გენერლის მიერ გურიის აკლება და ამ სამთავროს იმუამინდელი დე-დოფლის – სოფიო გურიელის ტრაპიზონში გახიზვნა.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგ-მენტს ტექსტიდან: „გენერალმა ოსტენ საკენმა არ მოიცადა, სანამ პასკევიჩი პასუხს გასცემდა ხიმშიაშვილს და მის სამ-შობლო აჭარას შეესია, შემუსრა, დასწრა, ახმედ ფაშას სამ-ყოფელი ხულოც მიწასთან გაასწორა, მისი სასახლეც ცეცხლს მისცა, მერე დაგვიანებით დაბრუნებულ პატრონს წააწყდა და უკანვე გამობრუნდა. აჭარლებმა გზები მოუჭრეს, გენერალი უღრანი ტყით შემოსილს აჭარის მთებში შე-აგდეს და ძალა გაუნახევრეს. გენერალმა ძლივს გადმოლახა აჭარის ქედი, დაბეგვილ-დამსხვრეული ჩამოგორდა გურიაში და უნაგირს ეცა – გურულები დაარბია და ქობულეთში შე-იჭრა. იქ განდგომილი სოფიო გურიელი და მისი ვაჟი ეგულებოდა. მაგრამ აქაც დამარცხდა: მთავრის მეუღლე ნავში

ჩაჯდა, თითებს შუა გაუსხლტა და მეორე დღეს უკვე ტრაპიზონის ვალის სტუმრად ითვლებოდა“ (ჯავახიშვილი, 1961: 470).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იმ დროისათვის, როცა ქავახიშვილის რომანი დაიწერა, სელიმ ხიმშიაშვილისა და მისი მემკვიდრეების მოღვაწეობის შესასწავლად მწერლი-სათვის ხელმისაწვდომ უმთავრეს მასალას დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, თედო სახოკიასა და ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომები წარმოადგენდა. დასახელებულ ავტორთა ნაშრომებთან მ. ჯავახიშვილის რომანის შესაბამის ეპიზოდთა შედარებით ვრწმუნდებით, რომ ხიმშიაშვილებთან დაკავშირებულ ამბავთა მოთხრობის დროს მწერალი ძირითადად სწორედ ამ ავტორთა მიერ მოწოდებულ ცნობებს ემყარებოდა და მათზე დაყრდნობით შეთხხული სიუჟეტებით წარმოაჩენდა იმ როგორ ვითარებას, რომელიც ახალციხის საფაშოსა და მის დაქვემდებარებაში მოქცეულ აჭარაში არსებობდა სელიმ და ახმედ ხიმშიაშვილების მმართველობის დროს.

ლიტერატურა:

ბაქრაძე, 1987: – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა ა. ტოტოჩავამ, ბათუმი;

კომახიძე, 2002: – კომახიძე თ., დუდი ხანუმ ბეჟანიძე და მე მისი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ბათუმი;

სახოკია, 1950: – სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი;

ყაზბეგი, 1995: – ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია სარაზმა, ბათუმი;

ჯავახიშვილი, 1961: – ჯავახიშვილი მ., რჩეული თხზულებანი
აქა ტომად, ტ. IV, თბილისი.

Avtandil Nikoleishvili

Passages Demonstrating the National-Political Views of the Khimshiashvilis in “Arsena Marabdeli” by Mikheil Javakhishvili

Summary

From chronological point of view Mikheil Javakhishvili is the first Georgian writer who episodically but still managed to impressively depict the active role of Selim Khimshiashvili and his successors in the fight of liberating Meskhetia and Adjara from the Ottoman Empire that have long been torn from their homeland in literature.

In this respect his historical novel 'Arsena Marabdeli' (1825-1832 yy.) is particularly interesting. While retelling the current war-related story between Russia and the Ottoman Empire in the years of 1828-1829 the writer managed to draw the reader's attention to the passages describing national political views of Selim and Ahmed Khimshiashvili.

By the time, when M. Javakhishvili's novel was written, the available materials for the writer to explore the activities of Selim Khimshiashvili and his successors were the works by Dimitri Bakradze, Giorgi Kazbegi, Tedo Sakhokia and Zakaria Chichinadze. When comparing the works of the abovementioned authors with the episodes from M. Javakhishvili's novel it can be detected that when retelling the stories related to the Khimshiashvilis the author uses the information provided by the above mentioned authors. He tried to show the difficult situation in Akhaltsikhe pashalik and Adjara during the governance of Selim and Ahmed Khimshiashvili through the passages based on the information.

სერგო დუმბაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სახელოვანი წინარეკაბი თაობათა მასივისაში

ვახხ დახდებს ბოლოს ქვეყანა,
კინაც რა დაუთვესა.
ვ. ვაველა

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართულ სახელოვან გვარებს შორის ხიმშიაშვილთა გვარს, მის პატრიოტ მამულიშვილებს დირსეული ადგილი უკავიათ საქართველოს ისტორიაში.

ამ გვარის გამორჩეულ წარმომადგენელთა შორის განსაკუთრებით ადსანიშნავია სელიმ ხიმშიაშვილი, რომელმაც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე სათავე დაუდო ეროვნულ (სახალხო) - განმათავისუფლებელ მოძრაობას სამხრეთ საქართველოში. ამ მოძრაობის მიზანი ოსმალთაგან დაპყრობილი ტერიტორიების „გამოხსნა“ და დედასამშობლოსთან დაბრუნება იყო.

სელიმ ხიმშიაშვილი ეკუთვნის იმ სახელოვან მამულიშვილთა თაობას, რომელთა წარმომადგენლებს საქართველოს ერთიანობისა და ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში თავი უსახელებიათ და სამშობლოს გმირული წარსულის ისტორია დიდების შარავანდებით შეუძიათ.

ერის მამამთავარი დიდი ილია გვმოძღვრავდა: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს... თავის ხატსა და მაგალითს... საჭიროა მათი ხსოვნა და არ დავიწყება“. ქართველი ერი ასრულებს ილიას ანდერძს, არ ივიწყებს მათ სახელებსა და ღვაწლს. ამ თვალსაზრისით სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები, სამშობლოსათვის თავდადებული

პატრიოტები, ჩვენი ხატი და მაგალითები გახდნენ. ქართველი ერი არ ივიწყებს მათ სახელებს, სამშობლოსათვის თავდადებასა და დვაწლს.

სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს ამ მიმართებით გადადგმული ნაბიჯები და გატარებული დონისძიებები. შესრულებული სამუშაოები თეორიული და პრაქტიკული ხასიათისაა.

1. თეორიული მუშაობა, ანუ ხიმშიაშვილთა გვარის ისტორიის, სახელდობრ, სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამ მხრივ პირველები იყვნენ: ივანე კერესელიძე, დიმიტრი ბაქრაძე, თედო სახოვია, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ქორდანია, გიორგი ყაზბეგი, ზაქარია ჭიჭინაძე, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი, მამია და გრიგოლ გურიელები და სხვა (იხ. წიგნში: ხიმშიაშვილი ი., ხიმშიაშვილები, ბათუმი, 2003, გვ.15-191). მათ არა მარტო მოიძიეს და შეკრიბეს საინტერესო მასალები, არამედ სათანადოდ შეაფასეს სელიმ ხიმშიაშვილის დვაწლი ქართველი ხალხის წინაშე.

2. ამ საქმეს უფრო მეტი ბიძგი მისცეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, მიხეილ ჯავახიშვილმა, იაკობ გოგებაშვილმა, აპალონ წულაძემ და სხვებმა...

3. ეს საქმე ჩინებულად განაგრძეს ცნობილმა კვლევარებმა: ხარიტონ ახვლედიანმა, ვუკოლ იაშვილმა, შოთა ლომსაძემ, იური სიხარულიძემ, აბელ სურგულაძემ, რამაზ სურმანიძემ (სურგულაძე ა., სურმანიძე რ., სელიმ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2014), მიხეილ მახარაძემ, ფრიდონ სიხარულიძემ, ქმენ დავითაძემ, ვახტანგ ზოიძემ, შუშანა ფუტკარაძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, სერგო ლუმბაძემ და სხვებმა (იხ. წიგნში: ხიმშიაშვილი ი., ხიმშიაშვილები, ბათუმი, 2003, გვ.3-86).

4. ხარიტონ ახვლედიანმა, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, საარქივო დოკუმენტების, გამოქვეყნებული ნაშრომების, პრესის მასალების, თანამედროვეთა მოგონებებისა

და მოსახლეობაში შემონახული გადმოცემების შეჯერება-გაანალიზების საფუძველზე, არაერთი ნაშრომი შექმნა განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ სამხრეთ საქართველოში და, აგრეთვე, სხვა რამდენიმე სტატიასა და ნაშრომში გამოკვეთა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის სელიმ და შერიფ სიმშიაშვილების ღვაწლი და როლი ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში; მანვე შეადგინა აჭარის ისტორიის ბიბლიოგრაფია და სხვა.

5. საგანგებოდ აღსანიშნავია აჭარის კულტურის ყოფილი მინისტრის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ქველმოქმედის – თეიმურაზ კომახიძის და მისი მეუღლის – მეცნიაზ ნარინ აბაშიძის ღვაწლი. თეიმურაზ კომახიძემ არა მარტო წიგნები მიუძღვნა ამ გვარის წარმომადგენლებს, არამედ თავისი საქველმოქმედო საქმიანობით, მეცნიაზ მეუღლესთან ერთად, თხილვანასა და სხალთაში გახსნა მუზეუმები, სადაც თავმოყრილია მრავალი ექსპონატი. ხიხანის ციხეზე გაიყვანა გზა-ბილიკი (ამ საქმეში მონაწილეობდნენ ანზორ და სიმონ ბოლქვაძეები – თხილვანელი ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად), ქოჩახსა და სხალთაში რეაბილიტაცია გაუკეთდა შერიფ სიმშიაშვილის, მისი დედის (დუდი-ხანუმ ბექანიძის) და დანიელი მეუღლის – დაგმარასა და მისი ქალიშვილის საფლავებს; სოფელ ბაკოში დაიდგა სელიმის მემორიალური დაფა. ნიგაზეულში (შუახევის მუნიციპალიტეტი) აღდგენილ იქნა სიმშიაშვილის ციხე, მის ტერიტორიაზე გაისხნა მუზეუმი, იქვე, წყანიშურის უბანში კეთილმოეწყო სელიმის საფლავი (კომახიძე თ., დუდი-ხანუმ ბექანიძე და ძე მისი შერიფ სიმშიაშვილი, ბათუმი, 2002).

6. 1990 წელს ქ. ბათუმში დაფუძნდა და მუშაობს სრულიად საქართველოს სელიმ სიმშიაშვილის საზოგადოება, რომლის პრეზიდენტია პროფესორი სიმონ შარაძე. მან გამოსცა გაზეთი სახელმიწოდებით „ფესვები“ (გაზ. „ფესვები“,

2005, ნოემბერი), რომელშიც გამოქვეყნდა ხიმშიაშვილთა გვარის გენეალოგიური ხე და სხვა საინტერესო მასალები ამ გვარის სახელოვანი შვილების შესახებ. ამ საზოგადოებამ ამავე წელს სელიმ ხიმშიაშვილის სოფ. ნიგაზეულში (შუახევის მუნიციპალიტეტი) ჩაატარა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა. აქვე ჩატარდა აბელ სურგულაძის ნაშრომის – „სელიმ ხიმშიაშვილი“-ს პრეზენტაცია, რომელმაც უფრო გააძლიერა მოსახლეობის სიყვარულის მუხტი ამ პატრიოტი პიროვნებისა და მთლიანად ხიმშიაშვილთა გვარისადმი.

7. 2000 წელს გამომცემლობა „ალიონმა“ გამოსცა მრავალტირაჟიანი და დიდი ფორმატის წიგნი „ხიმშიაშვილები“, რომელიც მოამზადა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და საძიებელი დაურთო იოსებ ხიმშიაშვილმა. წიგნი ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია, ხელს უწყობს ამ გვარისა და ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველ საზოგადოებას (იოსებ ხიმშიაშვილი, ხიმშიაშვილები, გამომც. „ალიონი“, ბათუმი, 2003).

8. 2005 წელს შესრულდა სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 250 და თავის მოკვეთიდან 190 წელი. ამ თარიღის აღსანიშნავად გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა ჩემი და შოთა ბოლქვაძის (თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი) ერთობლივი წერილი სათაურით „სელიმ ხიმშიაშვილი- საქართველოს ერთიანობისთვის წამებული რაინდი“ (გაზ. „აჭარა“, №192, 2005 წლის 11 ოქტომბერი, გვ.5-7).

9. 2005 წლის 21 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის (გამგე პროფ. ბიჭიკო დიასამიძე) ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „სელიმ ხიმშიაშვილი - ეროვნულ (სახალხო) - განმანავისუფლებელი მოძრაობის მედროშე“.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ სელიმ ხიმშიაშვილის თურქეთში მცხოვრები შთამომავლები – ქალბატონი ზეინაბ-სანუმი და მისი მეუღლე იალჩინ ნალბანდოღლუ. ზეინაბ ხანუმი მიესალმა კონფერენციას და მადლობა გადაუხადა უნი-გერსიტეტის კოლეგიის, ღონისძიების ორგანიზატორებს კონფერენციაზე მოწვევისათვის. კონფერენციაზე მოწვეული იყო „აგრეთვე, სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების პრეზი-დენტი სიმონ შარაძე, რომელმაც გაზეთი „ფესვები“-ს რამ-დენიმე ათეული ეგზემპლარი ჩამოიტანა საჩუქრად. კონფე-რენციაზე ხაზი გაესვა სიმშიაშვილთა გვარის, კერძოდ, სე-ლიმ ხიმშიაშვილის, როგორც განმათავისუფლებელ მოძრაო-ბის მედროშის, აგრეთვე, შერიფის, როგორც აჭარის მმარ-თველის, როლსა და მისი ორიენტაციის მნიშვნელობას აჭა-რის ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნის საქმეში. ითქვა, აგრეთვე, სხვა სახელოვან ადამიანებზე (ახმედი, დუდი-ხანუ-მი, ქორ-ხუსეინი, აბდი, ნური ხიმშიაშვილები).

10. 2005 წლის 11დეკემბერს ბაკოელი ახალგაზრდების ინიციატივით, ამ წერილის ავტორის რეკომენდაციითა და მეცნიერული ხელმძღვანელობით ბაქოში (თავის მოკვეთის ადგილას) დაფუძნდა სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ (ინფორმ. იხ.: გაზ. „ხულო“, 2006 წლის 13 იანვარი). გადაწყ-და „სელიმობის“ აღნიშვნა ყოველი წლის 3 ივნისს სელიმის თავის მოკვეთის ადგილზე ბაქოში, აგრეთვე ნიგაზეულსა და სხალთაში.

11. 2006 წელს ბაკოში, საჯარო სკოლის დაარსებიდან 80 წლისთავის აღნიშვნასთან ერთად, ჩატარდა „სელიმობის“ პი-რელი სახალხო დღესასწაული (დუმბაძე ს., როგორ მომზად-და და ჩატარდა პირველი „სელიმობა“, გაზ. „შუახევი“, 2015 წლის ივნისი). სოფ. ბაკო საზეიმოდ იყო მორთული დოზუნ-გებით, პლაკატებით, მხატვრული გამოფენებით, რომელიც მო-ამზადა მხატვარმა გურამ ფუტბარაძემ. დღესასწაულს ესწრე-ბოდნენ არა მარტო ხეობის მოსახლეობა, არამედ ინტელიგენ-

ციის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები. აქ იყვნენ აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს, მათ შორის სხალთის ეპარქიის წარმომადგენლები. საზეიმო ღონისძიება ჩატარდა მაღალორგანიზებულ დონეზე და მას მოჰყვა საზოგადოების, სპეციალისტების, ხელმძღვანელობის დიდი გამოხმაურება. გაზეთ „აჭარა“-ს ინტერვიუ მისცეს პირველი „სელიმობას“ მონაწილე მეცნიერებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა: პროფესორმა მალხაზ სიორიძემ, თეიმურაზ კომახიძემ, სიმონ შარაძემ, ბიჭიკო დიასამიძემ, რამაზ სურმანიძემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა; ხელისუფლების წარმომადგენლებმა: ედუარდ ფუტკარაძემ, თამაზ დიასამიძემ, ალექსანდრე ჩიკვაძემ, გორგა შერვაშიძემ, რომლებმაც აღიარეს სახალხო დღესასწაულის სელიმობის დაწესება, როგორც ჩვენი წინაპრების, პატრიოტი მამულიშვილების, კერძოდ, ხიმშიაშვილთა გვარის წარმომადგენელთა სამშობლოსათვის ერთგულების, თავდადების, კრიტიკულ შემთხვევაში თავგანწირვის, მათი დამსახურებული სახელებისა და საქმეების უკვდაგვოფის გამოხატულება. ითქვა ისიც, რომ სელიმის ანდერძი და შთამომავლობის მიერ მისი განხორციელება ნიმუშია დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის, თუ როგორ უნდა იცხოვრონ და იბრძონ საქართველოს გამთლიანებისა და ერთიანობის დასაცავად. როგორც ილია ამბობდა: „ვაჟაპატობა უნდოდა, ვაჟაპატობი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლით ჰედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა...“

12. 2007 წლის 3 ივნისს ჩატარდა მეორე „სელიმობა“ ნიგაზეულში, საზოგადოების ფართო მონაწილეობით (დუმბაძე ს., როგორ მომზადდა და ჩატარდა პირველი „სელიმობა“, გაზ. „შეახევი“, 2015 წლის ივნისი).

13. 2009 წელს ჩატარდა მორიგი „სელიმობა“ ბაკოში. ამჯერად „სელიმობის“ დღესასწაულის შინაარსი უფრო დატვირთული იყო იმით, რომ ბაკოელთა და სკოლის პედაგოგთა ინიციატივით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (№466, 2009 წელი) ბაკოს საჯარო სკოლას მიენიჭა სელიმ ხიმშიაშვილის სახელი. მალე – 2012 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებით (№38/6) – მთისუბნის საჯარო სკოლას მიენიჭა შერიფ ხიმშიაშვილის სახელი (დუმბაძე ს., იქვე).

14. მიმდინარე წლის ივნისი არის „სელიმობის“ საიუბილეო მეათე წელი. შექმნილია აჭარის სამთავრობო კომისია. მიღებულია გადაწყვეტილება „სელიმობა“ უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდეს. მასში ჩაერთვება ხეობის მოსახლეობა, სკოლები, კულტურის სახლები. კინოდოკუმენტალისტმა გივი ნახუცრიშვილმა შექმნა დოკუმენტური ფილმი „სელიმ ხიმშიაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი“. ასრულდა დიდი ილიას შთამაგონებელი სიტყვები. სელიმ ხიმშიაშვილი, სამშობლოსათვის თავდადებული რაინდი, მისმა სამშობლომ გულში ჩაიკრა.

ასრულდა მოსახლეობის ნება – მიმდინარე წლის ივნისში, „სელიმობის“ მეათე წლისთავის ადსანიშნავად, ქალაქ ბათუმში დაიდგა სელიმ ხიმშიაშვილის ძეგლი (ავტ. მხატვარ-მოქანდაკე დავით ბოლქვაძე).

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ღონისძიებას ეხმაურებოდა ტელევიზია და პრესა (გაზეთები „აჭარა“, „ხულო“, „მთიანეთი“, „შუახევი“).

დიდი მადლობა ყველას, ერსა და ბერს, მოსახლეობას, ინტელიგენციას, დიდსა და პატარას, მეცნიერ-მკვლევარებს, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, ხელისუფლებას, რომლებმაც იზრუნეს სელიმ ხიმშიაშვილის სახელის უბრავსაყოფად.

ქართველი ერის მადლიერებას სელიმ ხიმშიაშვილისადმი კარგად გამოხატავს ცნობილი ქართველ პოეტის მამია ვარშანიძის ლექსი „სელიმ ხიმშიაშვილს“:

„სელიმ, შენი აჭარა
გულის ხატად გიგულებს,
თაგანწირებას მამაცურს,
სიყვარულად გიბრუნებს“.

(იხ. გაზ. „ფესვები“, 2005 წლის ნოემბერი)

რა თქმა უნდა, გაკეთებულით არ მთავრდება საქმე. უნდა გაგრძელდეს მისი შემოქმედების შესწავლა და საქართველოს საპატრიარქოს, მისი სინოდის გადაწყვეტილების შესაბამისად, სელიმ ხიმშიაშვილის თავის მოძიება, მისი სხეულთან შეერთება და მოხდეს გამთლიანებული ნეშთის მთაწმინდაზე გადასვენება.

ეროვნული სახალხო დღესასწაულები, მათ შორის „სელიმობა“, გამოჩენილი პიროვნებების- სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილების საიუბილეო ღონისძიებები უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების, მოსახლეობის დახვეებისა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის. ამისათვის საჭიროა სელისუფლების მზრუნველობით, მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით, ხეობაში კაპიტალური გზის მშენებლობა განახლდეს, გაგრძელდეს და უახლოეს დროში დასრულდეს ხიხანის ციხემდევ, ციხიდან – ბეჭუმამდე; პირველ რიგში, მარეთის ხეობასთან შეერთებით ერთიანი საგზაო და სატრანსპორტო ქსელი შეიქმნას სათანადო ინფრასტრუქტურით, კაპიტალური წყალსადენების მშენებლობით, სოფლებში საოჯახო ტურიზმის გასაშლელად და ა.შ. ამ ამოცანების გადასაწყვეტად ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ათვისებით დასაქმდება მოსახლეობა, გაუმჯობესდება ცხოვრებისა და დასვენების პირობები, განვითარდება ეკონომიკა, სპორტი და ტურიზმი, შევინარჩუნებთ მთის სოფლებს.

ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ხარიტონ, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1958;
2. ახვლედიანი ხარიტონ, სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი (სელიმ და შერიფ ხიმშიაშვილები), გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1972;
3. ბაქრაძე დიმიტრი, სახოკია თედო, ქორდანია თედო და სხვ., მონარიდები შრომებიდან (იხ. წიგნში – იოსებ ხიმშიაშვილი, ხიმშიაშვილები, გამომც. „ალიონი“, ბათუმი, 2003);
4. გაზ. „ფესვები“, 2005 წლის ნოემბერი;
5. დუმბაძე სერგო, ბოლქვაძე შოთა, სელიმ ხიმშიაშვილი საქართველოს ერთიანობისათვის წამებული რაინდი, გაზ. „აჭარა“, №192, 2005 წლის 11 ოქტომბერი;
6. დუმბაძე სერგო, „სელიმბა“ – სახალხო დღესასწაული; მისივე, მეორე დიმიტრი თავდადებული აჭარაში; გაზ. „ხელო“, 2005 წლის 5-22 მაისი;
7. დუმბაძე სერგო, „სელიმბა“ – სახალხო დღესასწაული (საქონფერენციო მოხსენება), ბსუს პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა, ბათუმი, 25.05.2009;
8. დუმბაძე სერგო, როგორ მომზადდა და ჩატარდა პირველი „სელიმბა“, გაზ. „შუახევი“, 2015 წლის ივნისი;
9. ინფორმაცია სახალხო დღესასწაულის „სელიმბის“ დაფუძნების შესახებ, გაზ. „ხელო“, 2006 წლის 13 იანვარი;
10. კომახიძე თემურაზ, დუდი-ხანუმ ბეჭანიძე და ძე მიხი შერიფ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2002;
11. ლომსაძე შოთა, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1975;
12. მესხია შოთა, სამცხე-სათაბაგო ოსმალეთის უდელქვეშ, I, გამომც. „სახელგამი“, თბილისი, 1958;
13. სურგულაძე აბელ, სურმანიძე რამაზ, სელიმ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2014;

14. ცინცაძე ოთარ, „სელიმობა“ სერიუანაში, გაზ. „აჭარა“, №105, 2006 წლის 13 ივნისი;

15. ხიმშიაშვილი იოსებ, მახარაძე მიხეილ, ვარშანიძე მამია და სხვ. (23 ავტორის წერილები ქურნ. „ჭოროხის“ საიუბილეო ხომერ-ში, რომელიც მიეძღვნა სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 250-ე წლისთავს), ქურ. „ჭოროხი“, № 10, 2005;

16. ხიმშიაშვილი იოსებ, ხიმშიაშვილები (წყაროები, ლიტერატურა, შესავალი, ბიბლიოგრაფია და სამიებელი დაურთო იოსებ ხიმშიაშვილმა), გამომც. „ალიონი“, ბათუმი, 2003.

Sergo Dumbadze

Famous Ancestors in the Memory of Generations

Summery

The article is about the events, that future generations has made in order to study the life and work of “The Khimshiashvili-s Family Name” and its famous representatives and for immortalization of their names and role.

სალიმ ხიმშიაშვილის საიგნოლეო ფლეიბის
ფ თ ბ თ ქ რ თ ნ ი ა ა



სელიმ ხიმშიაშვილი

(ნახ. გურამ ფუტბარაძისა)



სოფ. ბაკო, სერიფანა



სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი (სოფ. ნიგაზეული)



სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირებიდან 200 წლისთავისადმი
მიძღვნილი საერთაშორის სამეცნიერო კონფერენცია
(ბეჭ, 2015 წლის 19 ივნისი)



ბეჭ – სელიმ ხიმშიაშვილის აუდიტორიის გახსნა



სტუდენტთა საუბილეო სპორტული ღონისძიება



სელიმ ხიმშიაშვილის ძეგლის გახსნა
(ბათუმი, 2015 წლის 19 ივნისი)



სოფელი ბაგო (2015 წლის 20 ივნისი)



შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. სხალთა)

პრეზულის ავტორები



აკად. როინ მეტრეველი



პროფ. მერაბ ხალგაში



აკად. წევრ-კორ.
გურამ ლორთქიფანიძე



აჭარის არ განათლების,
აულტურისა და სპორტის
მინისტრი გიორგი თავამაიშვილი



პროფ. როინ მალაქმაძე



პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი



პროფ. შუშანა ფუტკარაძე



პროფ. ბიჭიკო დიასამიძე



პროფ. რამაზ სურმანიძე



სეზენ (სალომე) გონენჯ ოქჯანი



მუსტაფა იაქუთი
(გურამ ხიმშიაშვილი)



პუსეინ უიგური



პროფ. სერგო დუმბაძე



პროფ. ოთარ თურმანიძე



პროფ. ოლეგ
ჯიბაშვილი



პროფ. ოთარ
გოგოლიძე



პროფ. ნუგზარ
ზოსიძე

შინაარსი

მთავარი რედაქტორისაგან	3
კონფერენციის გახსნა – რედაქტორის მ/შ, პროფ. მერაბ ხალგაში	5
მისალმებები	
გიორგი თავამაიშვილი	7
როინ მეტრეველი	9
როინ მალაყმაძე	12
მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი)	14
ავთანდილ ნიკოლევიშვილი	15
სეზენ (სალომე) გონინჯ ოქჯანი	18
პატრიკ უიგური	20
მოხსენებები	
ბიჭიკო დიასამიძე – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა XVI-XVIII საუკუნეებში	23
გურამ ლორთქვანიძე – ხიმშიაშვილების საგარეულო აქმედ აჭარის მიხედვით	37
რამაზ სურმანიძე – სელიმ ხიმშიაშვილი – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გათავისუფლებისთვის ბრძოლის წინამდღოდი	40
ოთარ თურმანიძე – ხიმშიაშვილები XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში	54
მუსტაფა იაქუთი (გურამ ხიმშიაშვილი) – ხიმშიაშვილთა გვარის ისტორიიდან	66
ოლგა ჯიბაშვილი – ხიმშიაშვილთა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში	71
ოთარ გოგოლიშვილი – შერიფ ხიმშიაშვილი – საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი	79
შუშანა გუბრერაძე – სახელოვანი ქართველი ქალები ხიმშიაშვილთა ოჯახებიდან	89
ნუგზარ ზესიძე – სელიმ ხიმშიაშვილის შვილთაშვილთა პატრიოტული მოღვაწეობა	115
ავთანდილ ნიკოლევიშვილი – ხიმშიაშვილთა ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედების წარმომჩენი პასაკები მიხედვით ჯავახიშვილის „არსენა მარაბდებულში“	123
სერგო დუმბაძე – სახელოვანი წინაპრები თაობათა მეხსიერებაში	138
სელიმ ხიმშიაშვილის საიუბილეო დღეების ფოტოქრონიკა	148
პრეზულის ავტორები	155

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – გლეარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.10.2015

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 10

ტირაჟი 100

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35